პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—48.

შაბათი, 18 დეკემბერი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 290 (1745)

დ ღ ი უ რ ი

—დაიხურა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი.
—გერმანიის მთავრობამ მოიწონა შტრეზემანის მოხსენება ერთა ლიგის სესიის შესახებ.
—გერმანიის სოციალ-დემოკრატები თანახმა არიან მიიღონ მონაწილეობა მთავრობის შედგენაში, თუ გადადგება ახლანდელი მთავრობა.
—ლატვიაში შესდგა მემარცხენეკოალიციის მთავრობა.
—ესტონეთის დელეგაცია რიგაში აწარმოებს მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ.
—ბულგარეთში მბეჭდავებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

ფართე კოალიციის საკითხი გერმანიაში

გერმანიის მთავრობაში ამჟამად წარმოდგენილია სამი პარტია: სახალხო პარტია, ცენტრი და დემოკრატები. ნაციონალისტი-მინისტრები, როგორც ვიცით, გავიდნენ კაბინეტიდან ჯერ კიდევ შარშან, რეიხსტაგის ნაციონალისტურ ფრაქციის მიერ ლოკარნოს ხელშეკრულებათა უარყოფასთან დაკავშირებით. მარქსის ეხლანდელი მთავრობა, მაშასადამე, რეიხსტაგის უმცირესობის მთავრობაა: მთავრობის პარტიებს რეიხსტაგში ყავთ სულ 178 დეპუტატი (სახალხო პარტიას ბავარიის სახ. პარტიის ჩათვლით—70 კაცი, ცენტრს—69, დემოკრატებს—39), მაშინ როცა რეიხსტაგის წევრთა საერთო რიცხვი 493-ს უდრის.

ასეთ პირობებში მთავრობას გარკვეული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის გატარება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის თავისთვის უზრუნველყოფს ნაციონალისტების ან სოციალ-დემოკრატების დახმარებას. ის დღემდე სწორედ ასე იქცეოდა; საშინაო პოლიტიკაში უმთავრესად ნაციონალისტებს ემყარებოდა და მათი საშუალებით გაყავდა მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებანი, ხოლო საგარეო პოლიტიკაში სოციალ-დემოკრატების ხმებით სარგებლობდა. კერძოდ ლოკარნოს ხელშეკრულების დადება და ერთა ლიგაში გერმანიის შესვლა იმიტომ მოხერხდა, რომ მთავრობას ამ საკითხში სოციალ-დემოკრატებმა ენერგიულად დაუჭირეს მხარი.

ბურჟუაზიისათვის აუცილებელი გახდა სოციალ-დემოკრატიის უფრო აქტიური თვალსაჩინო თანამშრომლობასთან, რაც პირველ ყოვლისა უნდა გამოიხატოს ფართე კოალიციის შედგენაში—სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობით, უკანასკნელის მიერ ფორმალურადაც მთავრობის პოლიტიკისათვის პასუხისმგებლობის გაზიარებაში. და ეს თანამშრომლობა ბურჟუაზიისათვის საჭიროა დღეს არა მარტო საგარეო საკითხებში, არამედ არა ნაკლებ, და შეიძლება უფრო მეტადაც, საშინაო პოლიტიკაში. საქმე უმთავრესად შეეხება ე. წ. რაციონალიზაციას, რომელსაც გერმანელი კაპიტალისტები ასე ფართე მასშტაბით ატარებენ ამჟამად. ეს რაციონალიზაცია პროლეტარიატისათვის ნიშნავს მასიურ უმუშევრობას, ექსპლოატაციის გაძლიერებას და ცხოვრების პირობების გაუარესებას. ბურჟუაზია მუშების ხარჯზე ცდილობს თავის შერყეულ მდგომარეობის გამოკეთებას. ეს მოვლენა გერმანიაში ყველაზე უფრო საგრძნობია. მაგრამ კაპიტალისტებს მუშათა კლასზე შეტევის განხორციელება არ შეუძლიათ მარტო საკუთარი ძალებით, აქ ისინი სოციალ-დემოკრატიის დახმარებას საჭიროებენ, სწორედ მას აკისრებენ მუშათა მასსების დაშოშმინების ამოცანას. მუშათა მასსების, რომელთაც უკმაყოფილება, კაპიტალისტური რაციონალიზაციით მათთვის შექმნილ მძიმე მდგომარეობის გამო, თანდათან იზრდება. ამიტომაა, რომ კაპიტალისტები მოუწოდებენ სოციალ-დემოკრატებს „საქმიანი თანამშრომლობისაკენ" და მთავრობაშიც ეპატიჟებიან.

თავის მხრივ გერმანელი მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობენ ბურჟუაზიის დავალების შესასრულებლად. ისინი ცდილობენ დაარწმუნონ მუშათა კლასი, რომ კაპიტალისტური რაციონალიზაცია მას სამოთხეს განუმზადებს, ოღონდ საჭიროა „დროებით" სიძნელეების და გაჭირვების ატანაო. გერმანელ მენშევიკებს მოენატრათ მინისტრების პორტფელები და მათ მისაღებად ისინი კანიდან ძვრებიან, რათა დაუმტკიცონ ბურჟუაზიას თავისი „კეთილსაიმედობა" და ერთგულება. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ გაფიცულ მუშების ალაგმვაში და რევოლიუციონურად განწყობილ ელემენტების დევნაში. მათი დახმარებით ყოფილ მეფის გვარეულობამ უამრავი სიმდიდრე დაიბრუნა, მაშინ როცა რამოდენიმე მილიონი უმუშევარი ულუკმა-პუროდ არის დარჩენილი. სოციალ-დემოკრატიამ თავისი ბედი საბოლოოდ დაუკავშირა ბურჟუაზიას, კაპიტალისტურ წყობილებას და მის განსამტკიცებლად თავის სულსა და სხეულს ყიდის.

დღეს გერმანიაში დასმულია საკითხი მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის შეყვანის შესახებ. მარქსის მთავრობამ ამ მხრივ უკვე გამოიტანა დადგენილება. რეიხსტაგის სოც.-დემოკრატიული ფრაქცია დასთანხმდა დაიწყოს მოლაპარაკება ფართე კოალიციის შედგენის შესახებ იმ პირობით, თუ ეხლანდელი მთავრობა გადადგება. სოციალ-დემოკრატიას სურს ზოგიერთი მნიშვნელოვანი პორტფელი მიიღოს მთავრობაში. ამასთან შესცვალოს ისეთი მინისტრები, რომელნიც განსაკუთრებით ძრიან ცნობილი მუშათა კლასისადმი მტრობით, და ამით შექმნას შთაბეჭდილება მასსების თვალში, რომ მთავრობის რაციონალიზაცია თითქო ნიშნავდეს მუშათა კლასის გამარჯვებას.

რეიხსკანცლერი მთავრობის გადადგომაზე არ თანხმდება, მას სურს მხოლოდ რამდენიმე კაცით, სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებით, შეავსოს კაბინეტი, ვინაიდან ეშინია, რომ მთავრობის გადადგომა ხანგრძლივ პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევს გერმანიაში. როგორადაც არ უნდა გათავდეს საქმე, ცხადია, რომ სოციალ-დემოკრატია სამინისტრო პორტფელებს ეპოტინება და სურს ჩამოაყალიბოს ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა, რომელსაც ის დღემდეც ეწევა. მუშათა კლასი სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელთა ამ მორიგ ღალატს ღირსეულად შეაფასებს, ეს გამცემლობა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს პროლეტარიატის დარაზმვას კაპიტალიზმისა და მის დამქაშ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. სხვათა შორის, ამას წინედ მომხდარი სრულიად გერმანიის მშრომელთა კონგრესი ამ მხრივ საიმედო ნიშნებს იძლევა.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის შედეგები

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

კომინტერნის აღმასკომის მე-7 გაფართოებულმა პლენუმმა დაამთავრა თავისი მუშაობა, რომელიც თითქმის ერთი თვე გაგრძელდა.

პლენუმის მუშაობის ხანგრძლივობა აიხსნება იმით, რომ იგი შეიკრიბა ისეთ პირობებში, როცა წამოყენებული იყო საერთაშორისო პროლეტარული ბრძოლის და კომუნისტური ინტერნაციონალის მთელი რიგი ახალი საკითხები. საჭირო იყო ლენინური დიაგნოზის დასმა თანამედროვე საერთაშორისო სიტუაციისათვის, საჭირო იყო სტაბილიზაციის საკითხის მეცნიერული და მასთანვე კონკრეტული დასმა, ზოგადი, არაფრის მთქმელი ფრაზებისათვის გვერდის ავლა. კაპიტალიზმის ყველა შანსებისა და პროლეტარიატის კონტრშანსების ფხიზელი ლენინური აწონ-დაწონვა იყო საჭირო იმისათვის, რომ სწორი ორიენტაცია აელოთ კომპარტიებს მომავალი რევოლიუციონურ ბრძოლაში. ჩინეთის რევოლიუციის გზები, ბრიტანეთის მუშათა კლასის ბრძოლის შედეგები და პერსპექტივები, თავდაცვის საქმის მოწყობა და კონტინენტის პროლეტარიატის კონტრშეტევა კაპიტალის შეტევის საპასუხოდ, სოციალიზმის საბჭოთა კავშირში აღმშენებლობის საკითხები, — ყოველივე ეს შეცნობილი უნდა ყოფილიყო კომუნისტური ინტერნაციონალის კოლექტიური გონებით. ამ მწვავე პრობლემის აუწონ-დაუწონლად შეუძლებელი იქნებოდა რევოლიუციონური მოქმედების ცოცხალი დირექტივების მიცემა ცალკე სექციებისათვის. მხოლოდ ეხლანდელი ხანის თავისებურებათა გათვალისწინებით და მასსების გამოცდილებათათვის ჯამის გაკეთებით შეიძლება სექციების ხელმძღვანელობის სწორი ხაზის დასახვა, სოციალ-დემოკრატებთან ბრძოლის ჯეროვან ნიადაგზე დაყენება, მუშაობის გაფართოება მასსების დასაპყრობად და წარმატებით წარმოება ბრძოლისა ოპორტიუნისტულ, ულტრა-მემარცხენე და მემარჯვენე გადახრათა წინააღმდეგ თვით კომინტერნის შიგნით. კომინტერნის აღმასკომმა მართლაც უდიდესი მუშაობა შეასრულა ყოველ დარგში; ამ მუშაობის ნაყოფიერება მალე იჩენს თავს.

კომინტერნმა ტყუილად კი არ მიაქცია დიდი ყურადღება „რუსეთის" საკითხს. მთელი პლენუმის მწვავე დისკუსიას საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციასთან უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის, ძმური პარტიებისა და თვით ჩვენთვის. დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ჯეროვანად არ შეგვეფასებინა „რუსეთის" საკითხის გარშემო გამართული კამათის დადებითი პოლიტიკური მნიშვნელობა. ჩვენი პარტიის ყველა ძირითადი, ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხები დაყენებულ იქნა [illegible] სიმაღლეზე. ბრძოლა სწარმოებდა ლენინიზმის საფუძვლებისათვის, დავა ეხებოდა ჩვენი რევოლიუციის ბედ-იღბალს. კომინტერნს ეს ბრძოლა ამაოდ არ ჩაუტარებია. როგორც არ უნდა ყოფილიყო დისკუსიით გამოწვეული ზიანი (რომელმაც პლენუმი დროებით ჩამოაშორა საქმიან სიმაღლეს) მაინც ბოლომდე უნდა მიგვეყვანა პრინციპიალური ბრძოლა ოპოზიციის მყვირალა ოპორტიუნიზმთან, საჭიროა ამ ოპორტიუნიზმის გამოაშკარავება და მხილება საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე. მხოლოდ ოპორტიუნისტულ გადახრათა წინააღმდეგ ბრძოლაში, მხოლოდ პრინციპიალური რევოლიუციონური ხაზის შეურიგებელი დაცვაში გამოიჭედება რევოლიუციონური პარტიების და მათი ხელმძღვანელი შტაბის ძლიერება, გამოიბრძმედება მათი ნებისყოფა და გამოცდილება. ჩვენთვის, ჩვენი პარტიისათვის და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური მუშებისათვის უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს კომინტერნის აზრი „რუსეთის" საკითხის შესახებ და მისი რეზოლიუცია. როგორ უყურებენ უცხოეთის კომპარტიები ჩვენს აღმშენებლობას, როგორ აფასებენ მის პერსპექტივებს, სცნობენ თუ არა ისინი, რომ ჩვენ შეტევაზე გადავდივართ და ძლევამოსილად შეგვიძლია წავიდეთ წინ, თუ ჩვენ ერთ ადგილას ვტკეპნით და ჩვენი საშინაო პერსპექტივები უიმედოა, როგორ უყურებენ უცხოეთის კომპარტიები იმათ, ვინც ცდილობს დააბრკოლოს ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა, — ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიისათვის. ჯერ კიდევ 1921 წ. როცა ჩვენ ახალ გზას ვიღებდით, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადავდიოდით, მაშინ ჩვენს პარტიაში უდიდესი როლი ითამაშა იმან, რომ ეს ახალი გზის აღება დაადასტურა კომინტერნმა, და სცნო იგი ერთად-ერთ სწორ გზად პროლეტარიატის თვალსაზრისით. და ეხლაც, როცა ჩვენ აღდგენის პერიოდიდან გადავდივართ რეკონსტრუქციის პერიოდში, როცა ამ გადასვლის განსაკუთრებული სიძნელენი იჩენენ თავს, როცა ზოგიერთი პირებს უიმედობა იპყრობს (სულ ერთია ჩვენ შეგვჭამს კულაკი, ნეპმანი და საერთაშორისო კაპიტალი) მაშინ ჩვენი ხაზის სრული დადასტურება, ინტერნაციონალური რევოლიუციონერების მხნე გამოძახილი ძალას შეგვმატებს, აღგვაფრთოვანებს შემდგომ გამარჯვებათა მოპოვებისათვის.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა იმედები გაუცრუა ჩვენს მტრებს. მან ახალი ცოდნით, ახალი გამოცდილებათი და ახალი დირექტივებით შეაიარაღა მებრძოლი პროლეტარული რაზმები. ოპოზიციის გამოსვლამ არა თუ არ დაშალა მისი რიგები, რაზედაც იდუმალად ოცნებობდენ ჩვენი მტრები. პირიქით, უფრო მჭიდროდ დარაზმა. რევოლიუციონური მხნეობით აღსავსენი, სახელოვანი ლენინური დროშის ქვეშ მიდიან კომპარტიები ინტერნაციონალური ბრძოლის ფართე გზაზე.

მოსკოვი, 17 დეკემბერი.

17 დეკემბერს ლიტვაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება

დაპატიმრებულია პრეზიდენტი და მთელი მთავრობა

გერმანიის რეისხტაგმა უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას.—მთავრობა გადადგა

სახალხო არმიამ სასტიკად დაამარცხა გაერთიანებული რეაქციის ძალები

კანტონის მთავრობა გადავიდა ხან-კოუში

გადატრიალება ლიტვაში

ბერლინი, 17 დეკემბერი. ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ მემელის გაზეთ „მემელერ დამპფბოტ"-ის ცნობით, დღეს ღამის 3 საათ. ჩამოგდებული იქნა ლიტვის მთავრობა. დაპატიმრებულია პრეზიდენტი და მთელი მთავრობა. იტყობინებიან, რომ ახალ მთავრობას მეთაურობს ნაციონალისტების ბელადი სმეტონა. ჯარი ახალი მთავრობის მხარეზეა. ლიტვაში გამოცხადებულია სამხედრო წესები. სატელეგრაფო კავშირი ბერლინსა და კოვნოს შორის შეწყვეტილია. (ადს).

ვარშავა, 17 დეკემბერი. 17 დეკემბერს ნაშუადღევს აქ მიღებული იქნა ცნობები გადატრიალების შესახებ ლიტვაში. პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში ცნობამ გადატრიალების შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ იგი არ ყოფილა მოულოდნელი. მთავრობასთან ახლო მდგომი პრესა უკვე რამოდენიმე დღის წინათ სწერდა ლიტვაში მოსალოდნელ გადატრიალებაზე. ცნობას გადატრიალების შესახებ პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში თანაგრძნობით შეხვდენ. (ადს).

რიგა, 17 დეკემბერი. ლიტვაში მომხდარ გადატრიალების მთავარი ხელმძღვანელებია პოლკოვნიკი გლავაცკი (რომელიც ამას წინად დაპატიმრებული იქნა ჩამოგდებული მთავრობის მიერ) და სმეტონა. სატელეგრაფო კავშირი რიგასა და კოვნოს შორის შეწყვეტილია.

ვარშავა, 17 დეკემბერი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, „გადატრიალება მოახდინეს მემარჯვენე ნაციონალისტებმა და გლეხურ-დემოკრატიულმა ჯგუფებმა. ძალაუფლება გადავიდა სმეტონას ხელში. კოვნოს კომენდანტათ დაინიშნა გლავაცკი. (ადს).

ვარშავა, 17 დეკემბერი. დანციგიდან ტელეფონით იტყობინებიან, რომ გადატრიალება ლიტვაში მოხდა დილის 3 საათზე, ლიტვის სეიმის გამწვავებული სხდომის შემდეგ.

სეიმი გარეკილია. საზოგადოებრივი დაწესებულებები დაკავებულია აჯანყებული ჯარების მიერ. ჯარის ნაწილები, რომლებიც მხარს უჭერენ წინანდელ მთავრობას, თავმოყრილია ოქროს მთაზე. (ადს).

მთავრობა და რეიხსტაგი

ბრძოლის წინ

ბერლინი, 16 დეკემბერი. შესდგა მთავრობის სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა.

ვოლფის სააგენტოს ცნობით, სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ დიდ კოალიციაში მონაწილეობას მიიღებენ ეხლანდელ მთავრობის წინასწარ გადადგომის შემთხვევაში.

ვოლფის სააგენტოს ცნობით, მთავრობა არ გადადგება. მას გადაწყვეტილი აქვს „მიიღოს ბრძოლა რეიხსტაგში". (ადს).

შტრეზემანის მოხსენება

ბერლინი, 16 დეკემბერი. მთავრობამ მოიწონა შტრეზემანის მოხსენება ერთა ლიგის სესიის შედეგების შესახებ. (ადს).

მარქსის კაბინეტის გადადგომა

ბერლინი, 17 დეკემბერი. ვოლფის სააგენტო იტყობინება: **„რეიხსტაგმა 249 ხმით 171 წინააღმდეგ უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას. მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებას შინაური პოლიტიკის მოსაზრებით ხმა მისცეს კომუნისტებმა, სოციალ-დემოკრატებმა, ნაციონალისტებმა და ტევტონელებმა. კენჭის ყრის შემდეგ რეიხსტაგმა სხდომა გადასდო 15 იანვრამდე.**

რეიხსტაგში მომხდარ კენჭის ყრის შედეგების გამო **კანცლერმა მარქსმა ჰინდენბურგს გადასცა განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ.** პრეზიდენტმა დაავალა მთავრობას დროებით დარჩეს თავის თანამდებობაზე, რაზედაც მარქსმა მთავრობის სახელით თანხმობა განაცხადა. (ადს).

გერმანიის სოც.-დემოკრატები ინგლისის იმპერიალიზმს ეხმარებიან

ბერლინი, 17 დეკემბერი. სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც ცდილობენ მთავრობაში შესვლას, განზრახული აქვთ გამოიყენონ ის თანაგრძნობა, რომლითაც ამ გეგმას ხვდებიან დასავლეთის სახელმწიფოები, განსაკუთრებით ინგლისი. სოციალ-დემოკრატები ყოველმხრივ ხაზს უსვამენ იმას, რომ მათი მონაწილეობა მთავრობაში წარმოადგენს გარანტიას, როგორც გერმანიის უკანონო შეიარაღების, ისე გერმანიის „აღმოსავლეთის ორიენტაციის" წინააღმდეგ, ე. ი. გერმანია—საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობის შემდგომი განვითარება-განმტკიცების წინააღმდეგ. ამით აიხსნება სოციალ-დემოკრატების ყველა უკანასკნელი მანევრები: სენსაციური ცნობა, თითქოს კავშირი არსებობდეს რეიხსვერსა და საბჭოთა დაწესებულებებს შორის და სხვ. ამრიგად გერმანიის სოციალ-დემოკრატია ინგლისის იმპერიალიზმის იარაღის როლს თამაშობს. (ადს).

ახალი მთავრობა ლატვიაში

რიგა, 16 დეკემბერი. **ლატვიის სეიმის ფრაქციებს შორის მოლაპარაკების შემდეგ მიღწეული იქნა შეთანხმება მემარცხენე კოალიციის მთავრობის შექმნის შესახებ.** მთავრობის შედგენა მიენდო მემარჯვენე სოციალ-დემოკრატს—სკუენსკის. (ადს).

კანტონის არმიის წინსვლა

ინგლისის პოზიცია

პეკინი, 16 დეკემბერი. გაზეთ „ჩანბაოს" ცნობით, ლემპსონმა ევგენი ჩენს განუცხადა, რომ ინგლისი მზად არის იცნოს, კანტონის მთავრობის უფლება იან-ძი-ძზიანის რაიონში დამატებითი საბაჟო გადასახადის აკრეფის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ კანტონის მთავრობა მიიღებს ზომებს ანტი-ინგლისურ მოძრაობის ლიკვიდაციისათვის. (ადს).

ზეიმი ხანკოუში

პეკინი, 17 დეკემბერი. **ხანკოუში ჩასულ კანტონის მთავრობის წევრთა საზეიმო შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა 150 000 კაცი.** სიტყვები წარმოსთქვეს სუნ-იატ-სენის ქვრივმა და სხვებმა, რომელთაც ხალხი მხურვალე ოვაციებით შეხვდა. ქალაქის ჩინურ ნაწილში ჩამოსულთა პატივსაცემლათ გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია. დემონსტრანტები გაურბოდენ უცხოელთა კონცესიის ტერიტორიაზე გადასვლას. არავითარ გაუგებრობას უცხოეთის წარმომადგენლებთან ადგილი არ ჰქონია. (ადს).

მთავრობა მუშაობს

პეკინი, 17 დეკემბერი. კანტონის **მთავრობამ განაცხადა, რომ მისი უჩანში გადასვლის შემდეგ, გუან-დუნის პროვინციის სათავეში იქნება პროვინციალური მთავრობა,** რომელიც განახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს. სხვათა შორის, მთელ რიგ პროვინციაში ის დაარსებს ცენტრალურ ბანკის განყოფილებებს, რომელნიც იმუშავებენ საგლეხო ბანკების სახით. (ადს).

სახალხო არმიის შეტევა

პეკინი, 17 დეკემბერი. სამხედრო მოქმედებები ხენანის პროვინციაში თანდათან მეტ ყურადღებას იპყრობს. **ლიუ-ჩენ-ჩუა (უ-პეი-ფუს მომხრე) სასტიკად დამარცხდა.**

სახალხო არმიის ჯარებმა შანსის და სენანის პროვინციების საზღვარზე ხელში ჩაიგდეს გასასვლელი ხეობა და გაემართენ ხენანისაკენ. ლინბაო (შანსის და სენანის პროვინციების საზღვარზე) უკვე დაკავებულია სახალხო არმიის ნაწილების მიერ, რომელთაც ეს ქალაქი უეცარი იერიშით აიღეს. სახალხო არმიის ნაწილები მდინარე ხუან-ხოზე (ყვითელი მდინარე) მიისწრაფვიან ტივებით.

არმიამ უკვე დაიკავა ჩჟან-ჩჟოუ (ლუნ-ხაისის რკინისგზის უკანასკნელი პუნქტი).

ლუ-ჩენ-ხუას ჯარები უარს აცხადებენ სახალხო არმიის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

უ-პეი-ფუმ უბრძანა თავის გენერლებს ხელი შეუშალონ სახალხო არმიის ნაწილების შეერთებას გენერალ ფან-შიმინის (რომელიც აწარმოებს ბრძოლას უ-პეი-ფუს წინააღმდეგ ხენანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში) ჯარებთან, რომელთაც დაკავებული აქვთ ნან-ანი და შეაჩერონ სახალხო არმიის შეტევა სამხრეთ მიმართულებით.

ჩჟილი-ხენანის საზღვარზე გრძელდება მუკდენის სამხედრო ნაწილების კონცენტრაცია.

ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული ცნობები ხენანის პროვინციაში მუკდენის ჯარების შესვლის შესახებ. როგორც სჩანს, **უ-პეი-ფუ და სხვა გენერლები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ მუკდენის ჯარების შესვლას ხენანში.**

პროვინცია ჩჟე-ცზიანის მდგომარეობა სულ უფრო მძიმე ხდება სუნ-ჩუან-ფანისათვის. **ცნობების მიხედვით, ჩჟე-ცზიანელი გენერლები მოლაპარაკებას აწარმოებენ კანტონის სარდლობასთან და მზად არიან გადავიდნენ კანტონის მთავრობის მხარეზე.** იაპონიის სააგენტოს—ტოხოს მიერ შანხაიდან მიღებული ცნობებით, **ჩჟე-ცზიანის დივიზიის სარდალი ჩჟოუ-ფენ-ჩი უკვე გადავიდა კანტონელების მხარეზე და მიიღო კიდეც კანტონის ჯარების სარდლობა ჩჟა-ეც-ცზიანში.** სუნ-ჩუან-ფანის მიერ დანიშნული თანამდებობითი პირები სტოვებენ ხანჩჟოუს (პროვინცია ჩჟე-ცზიანის მთავარი ქალაქი), იუწყებიან, რომ სუნ-ჩუან-ფანი მოლაპარაკებას აწარმოებს კანტონის სარდლობასთან და ცდილობს შეთანხმების მიღწევას ჩან-კაი-შისთან. (ადს).

პოლონეთის ჯარი

ვარშავა, 16 დეკემბერი. საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე გამოვიდა პილსუდსკი, რომელიც იცავდა სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტს. პილსუდსკიმ აღნიშნა, რომ ის პოლიტიკურ მდგომარეობას არ უყურებს ისე პესიმისტურად, როგორც ზოგიერთი სხვა ორატორები.

„ჯარი — ამბობს პილსუდსკი—არსებობს ყველგან და მით უმეტეს უნდა არსებობდეს ის პოლონეთში, რომლის უშიშროების გარანტია არავის არ მოუცია. ომის შემთხვევაში ჯარი ურეზერვოთ დარჩება, თუ ერთდროულად არ იქნა გაღებული დიდი თანხა. არსებული წესი, როცა სამხედრო სამინისტროს საშუალებები ეძლევა ყოველთვიურად, მიზანშეუწონელი და უვარგისია. მისი შეცვლა აუცილებელია".

დასასრულ პილსუდსკიმ განაცხადა, რომ ჯარში სამსახურის ვადის შემცირების საკითხი დაკავშირებულია დიდ დაბრკოლებებთან, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ ამ საკითხს გადაჭრის სამხედრო სამსახურის სხვადასხვა დარგისათვის სხვადასხვა ვადის შემოღების გზით. (ადს).

„პასუხისმგებლები კაცობრიობის წინაშე"

პარიზი, 16 დეკემბერი. საფრანგეთის მემარჯვენე პრესა გაძლიერებულ კამპანიას ეწევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ბევრს სწერენ გაზეთები „ბოლშევიკურ პროპაგანდაზე ჩინეთში" და „გერმანიის რეისხვერისათვის იარაღის მიწოდებაზე".

„მატენ"-ი ამტკიცებს, რომ აუცილებელია ყველა სახელმწიფოების გაერთიანება „ბოლშევიკებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად".

„დიდი ერებისათვის, სწერს გაზეთი, დადგა საათი, როდესაც მიღებული უნდა იქნეს გადაწყვეტილებები. სახელმწიფოებმა უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა კაცობრიობის წინაშე".

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა

დაწინაურების საკითხი

მასსებთან სახელმწიფო აპარატის დაახლოვების, ამ აპარატის გაჯანსაღების და ბიუროკრატიულ ნაშთების აღმოფხვრის ერთ-ერთ თვალსაჩინო საშუალებად სამართლიანად ითვლება მუშათა და გლეხთა ფენებიდან მუშაკების წამოყენება საპასუხისმგებლო და ხელმძღვანელ თანამდებობებზე. უმაღლეს პარტიულ ორგანოებს გარკვეული და კატეგორიული დირექტივები აქვთ გაცემული ამ მხრივ. მაგრამ დაწინაურების დარგში, მიღწევებთან ერთად, ჯერ კიდევ მრავალ ნაკლულევანებას აქვს ადგილი. საკ. კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიამ მოახდინა დაწინაურების საქმის გამოკვლევა, რომლის შედეგებზე „პრავდა"-ში ვკითხულობთ:

„სახაპარატში მუშების და გლეხების წამოყენების გამოცდილების განზოგადოებას მივყავართ შემდეგ დასკვნამდე: პირველი, გაძლიერდა სახელმწიფო აპარატის კავშირი მუშათა და გლეხთა მასსებთან; მეორე, არის მთელი რიგი შემთხვევები სერიოზულ გაუმჯობესებათა, რომელნიც დაწინაურებულ მუშაკებმა შეიტანეს, როგორც წარმოებაში, ისე მართვა-გამგეობაში; მესამე, გვაქვს მიღწევები მუშებისა და გლეხებისაგან ორგანიზატორების და ადმინისტრატორების ახალ კადრების შექმნის საქმეში, მუშებისა და გლეხებისაგან, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში [illegible] მატებით ასრულებენ თავის ფუნქციებს სახაპარატში.

საკმარისია თუ არა დაწინაურების განვითარების მიღწეული დონე. არა, არ არის საკმარისი, ის რაც ჩვენ გვაქვს, წარმოადგენს მხოლოდ დასაწყისს ჩვენი შემდეგი წარმატებისათვის ამ მიმართულებით. ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა ავიცილოთ გამოკვლევით გამოაშკარავებული ნაკლულევანებანი. მათგან უმთავრესია: გეგმის უქონლობა, არანორმალური დამოკიდებულება დაწინაურებულ მუშაკებისადმი, ხელმძღვანელობის მოუგვარებლობა, დაწინაურებულთა ცუდი აღრიცხვა და მუშაობის გაუწევლობა დაწინაურებულთა რეზერვის შესაქმნელად.

შემდეგში საჭიროა ყურადღება მიექცეს დაწინაურებულთა შემადგენლობის მოწესრიგებას და გაუმჯობესებას, გადიდებულ იქნას უპარტიო დაწინაურებულ მუშათა რიცხვი, გაძლიერებულ იქნას პარტიულ და უპარტიო გლეხების და მოჯამაგირეთა წამოყენება. საჭიროა მივაღწიოთ მოსამსახურეთა დაწინაურების შედარებითი შემცირებას (განსაკუთრებით სამრეწველო რაიონებში) და გაძლიერებულ იქნეს ქალების წამოყენება. საჭიროა, რათა მუშების და გლეხების წამოყენებამ მოიცვას მთელი აპარატი, დაწყებული ძირითადი ორგანოებიდან და დამთავრებული სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის უმაღლესი საფეხურებით. საჭიროა, რათა დაწინაურება შემდეგში იზრდებოდეს უმთავრესად ბიუროკრატიულ ელემენტების გამოაშკარავების და შეცვლის გზით, რომელი ელემენტები ჩვენს სახაპარატში ჯერ კიდევ ძრიან დარჩენილი".

ვიმეორებთ, დაწინაურებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ ეს საქმე სათანადოდ იქნება დაყენებული. მუშათა და გლეხთა ფართე ფენების აქტიური მონაწილეობა მუშაკების წამოყენებაში, დასაწინაურებელ პირთა შერჩევა, დაწინაურებულთა სწორი გამოყენება, მათთან ამხანაგური თანამშრომლობა და მათზე სწორი ხელმძღვანელობის გაწევა, დაწინაურებულთა მჭიდრო კავშირი მათ ამრჩევ ორგანიზაციებთან—, აი რა მიმართულებით უნდა გავაძლიეროთ მუშაობა.

უცხოეთის

წინააღმდეგობათა ჩიხში

გერმანია-საფრანგეთის შეთანხმების ცდა, რომელსაც დასაწყისი მისცა ტუარში ბრიანის და შტრეზემანის შეხვედრამ და რამაც „სალეროლელი აუშალა" ყველა „ჯიშის" პაციფისტებს—ეს ცდა ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით უდღეური აღმოჩნდა თვით იმ მქლე პროგრამის ნიადაგზეც, რომელიც „შეუძლია" გაატაროს ბურჟუაზიამ. ერთა ლიგის საბჭოს სესია, რომელიც ეს არის დასრულდა, თავისი „შედეგებით" ზედმეტ საბუთს იძლევა ტუარის პოლიტიკის დამარცხებისას და საზოგადოთ იმისას, რომ ბურჟუაზიას არ ძალუძს მოაწესრიგოს მშვიდობიანობისა და შეთანხმების საქმე.

„პარიზისა და ბერლინის შორის არსებული სადაო საკითხები—სწერს „ლიუმანიტე"—ვერ გადასწყდა. საფრანგეთის იმპერიალიზმი ცდილობს ხელიდან არ გაუშვას სამხედრო კონტროლი გერმანიაზე, რომლისთვისაც ეს კონტროლი აუტანელია. საფრანგეთს სურს კვლავ იყოლიოს რეინზე სამხედრო ძალები, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ყოველივე იმას, რაზედაც ლაპარაკობდენ ლოკარნოში. და მაშინ, როდესაც ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ედავებიან, ინგლისი და იტალიაც არ რჩებიან გულზე ხელდაკრეფილნი. **პირველს** სურს დაიკავოს ევროპის ეკონომიკაში და პოლიტიკაში ის ადგილი, რომელიც მან დაჰკარგა მისი შინაური და საგარეო გართულებათა გამო, დაჰკარგა მემადნეროელების გაფიცვის, დომინიონების განდგომის, ჩინეთის ამბების და ტუარში დაწყებული გერმანია-საფრანგეთის ვითომდა შეთანხმების ცდის გამო. ინგლისს სურს დაიბრუნოს თავისი გავლენა გერმანიაზე, და რომ მიაღწიოს ამ მიზანს, ის ულიმის იტალიას, რომელსაც, როგორც ამბობენ, თითქოს უთმობს კიდევაც ერთ-ერთ თავის კოლონიას. გარდა ამისა ის ცდილობს აიძულოს საფრანგეთი დათმობაზე წავიდეს გერმანიის მიმართ სამხედრო კონტროლის საკითხში და აქვეყნებს ამის შესახებ მემორანდუმს, რომელიც ეწინააღმდეგება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამას. **იტალიის** მიზანი კი არის გამოიყენოს თავისი ინტრიგებისათვის ჩრდილოეთ-აფრიკაში გერმანია-საფრანგეთის ინტერესთა წინააღმდეგობანი და სურს მოაჩვენოს საფრანგეთს, რომ უახლოვდება გერმანიას".

ასეა ჩახლართული და არეული ამ სახელმწიფოთა ინტერესთა სხვადასხვაობა, რაც ხელს უშლის არა მარტო ყველას შეთანხმებას ურთიერთშორის, არამედ შეთანხმებასაც გერმანიისა და საფრანგეთს შორის. ამ გადაუჭრელ (მათი საკუთარი ძალებით) წინააღმდეგობათა ჩიხში არიან ჩავარდნილი დიდი სახელმწიფოები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ მსოფლიოს დამშვიდებაზე, რის უფლებას მათ არც მათი ყაჩაღური ბუნების სოციალური საფუძვლები აძლევს და არც ისტორიული წარსული. მიუხედავათ ამ უკანასკნელი გარემოებისა მოიძებნებიან ქვეყნათ ისეთი ორფეხი კრეტინები (ლაპარაკია სოციალ-დემოკრატიაზე), რომლებიც ხალხს არწმუნებენ, რომ ეს შესაძლებელია და მიუთითებენ ერთა ლიგაზე...

თეთრგვარდიელთა

„უძლურთა ავადმყოფობა"

„უძლურთა ავადმყოფობა" — ეს სიტყვები ეკუთვნის კლემანსოს. მან სთქვა, როდესაც ბოლშევიკებმა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში: „ბოლშევიზმი — უძლურთა ავადმყოფობა არის". ის შესაძლებელი იყო ისეთ უძლურ ქვეყანაში, როგორიც რუსეთიაო. მილიუკოვი თავის გაზეთში „Последние Новости" მწარეთ დასცინის საფრანგეთის ყოფილ პრემიერს ბოლშევიზმის ასე ზერელად შეფასებისათვის. ის წერს:

„მას შემდეგ რაც ეს სიტყვები ითქვა კარგი ხანი გავიდა. ამ დროის განმავლობაში ბოლშევიზმი შეიქნა არა მარტო რუსეთის ცხოვრების ფაქტი, არამედ საერთაშორისო ხასიათის მოვლენაც, რომელმაც მეტისმეტად შეაფუცხუნა ევროპა და აიძულა ის ანგარიში გაეწია მისთვის. „უძლურთა ავადმყოფობა" გარდაიქცა ძალაუფლებათ, რომელიც დაეპატრონა უზარმაზარ სახელმწიფოს. ევროპა იძულებული შეიქნა ეცნო ეს ძალაუფლება და ელაპარაკა მასთან, როგორც თანაბარ უფლებიანთან.

საქმე რომ ამით გათავებულიყო, ჩვენ მაინც კიდევ გვექნებოდა საბუთი გვეთქვა, რომ კლემანსოს აზრი ბოლშევიზმის შესახებ მართალი იყო. მაგრამ შემდეგ მომხდარმა ამბებმა სულ სხვა დაგვანახვეს და ამ სხვა რამეზე მოწმობს მეორე ისეთივე სერიოზული პოლიტიკური მოღვაწე დასავლეთ ევროპის, როგორც კლემანსო არის. არავის არ მოუვა აზრათ, რომ ბრიტანეთის იმპერია უძლური იყოს, მაგრამ ერთი მოუსმინეთ რას ამბობს ინგლისის პრემიერ-მინისტრი. მისი აზრით **„რუსულმა ინფლუენციამ"** ბუდე გაიჩინა დიდი იმპერიის ცენტრში — ინგლისში. თავის სიტყვაში, რომელიც ბალდუინმა წარმოსთქვა ექიმთა სამეფო საზოგადოების ბანკეტზე აღიარა, რომ „რუსული ინფლუენცია" შეეხო ინგლისსაც და რომ „მაისის დასაწყისში (ე. ი. როდესაც საყოველთაო გაფიცვა დაიწყო) ჩვენი ავადმყოფობის ტემპერატურა აღწევდა ას გრადუსსო". თუმცა შემდეგ ის ამბობს, რომ ტემპერატურა რამოდენიმეთ დაეცა, მაგრამ იქვე უმატებს არა სანუგეშო სიტყვებს: „გაივლის კიდევ მრავალი წელი, სანამ გამოგონილი იქნება ასაცრელი წამალი ამ ავადმყოფობის წინააღმდეგო".

მილიუკოვს მოჰყავს ბოლდუინის ეს სიტყვები იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთის ლიბერალები „მართალნი იყვნენ, როდესაც აფრთხილებდნენ ევროპის ბურჟუაზიას ბოლშევიზმის „ავადმყოფობის" ხანგრძლივობის შესახებ და მოუწოდებდენ მას დახმარებისთვის ამ ავადმყოფობასთან საბრძოლველად".

მილიუკოვი გულნაწყენია, რომ ამ დახმარებას კონტრ-რევოლიუციისათვის მაინცდამაინც კარგი შედეგი არ მოუყოლია და სწუხს, რომ დღესაც ვერ ხერხდება ეს დახმარება. სწუხს და სტირის „ბაბილონის მდინარეთა ნაპირებზე".

მხოლოდ ეს ტირილია ხვედრი თეთრგვარდიელთა ემიგრაციის და ამაზე შორს ვერ მიდის, ვერც წავა ვერასოდეს მისი უილაჯობა.

უკანასკნელი ცნობები

იაპონია და საბჭოთა კავშირი

ლენინგრადი, 17 დეკემბ. ლენინგრადში ჩამოვიდა იაპონიის პარლამენტის წევრი შიროხ იმეცუხაში, რომელმაც რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა:

„საბჭოთა კავშირის დიდძალი ბუნებრივი სიმდიდრე დიდ ბაზარს ჰპოებს იაპონიაში. ამ აზრის არის იაპონიის მთავრობაც. იმედი მაქვს, რომ მოსკოვში ჩასვლის შემდეგ საშუალება მექნება გავეცნო საბჭოთა კავშირის მეურნეობას და სათანადო მოხსენება გავაკეთო იაპონიის პალატაში და სხვა ადგილებში". (ადს).

დოგენისა და ფოლის საქმე

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. 16 დეკემბერს ირჩეოდა დოგენის და ფოლის საქმე. მსხვილ მრეწველის დოგენის ბრალდებოდა ის, რომ მან ქრთამი მისცა ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ფოლს, რომელმაც დოგენს კონცესიით გადასცა ნავთიანი ადგილები ამერიკაში. ბრალდებული გამართლებულ იქნა მიუხედავათ იმისა, რომ დოგენიმ აღიარა, რომ მან ფოლს მისცა 100.000 დოლარი ნავთის კონცესიის გადაცემისათვის. (ადს).

„ტრესტი ახლო აღმოსავლეთის სამთო სიმდიდრეთა გამოსაკვლევად"

ანგორა, 16 დეკემბ. ევროპის კაპიტალისტების ჯგუფმა სახელწოდებით „ტრესტი ახლო აღმოსავლეთის სამთო სიმდიდრეთა გამოსაკვლევად" წინადადება მისცა ოსმალეთის მთავრობას იკისროს ოსმალეთში აღმოჩენილ სამთო სიმდიდრეთა ექსპლოატაცია. ამ წინადადებას ამჟამად იხილავს ვაჭრობის მინისტრი. (ადს).

დამოკიდებულება ესტონეთთან

რიგა, 16 დეკემბერი. რიგაში ჩამოვიდა ესტონეთის დელეგაციის თავმჯდომარე, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს საგარანტიო ხელშეკრულების დასადებად საბჭოთა კავშირთან. მას თათბირი ჰქონდა ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრთან. (ადს).

შეერთებული შტატების ვასალი

ნიუ-იორკი, 16 დეკემბ. კუბის პრესაში გამოქვეყნებულია ხელშეკრულება შეერთებულ შტატებსა და პანამას შორის, რომლის ძალით პანამამ მონაწილეობა უნდა მიიღოს შეერთებულ შტატების ყველა ომებში.

სოციალ-დემოკრატები მარქსის კაბინეტის წინააღმდეგი არიან

ბერლინი, 16 დეკემბ. რეიხსტაგში გამოვიდა სოციალ-დემოკრატი შეიდემანი, რომელმაც განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია რეიხსტაგში შეიტანს მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმს.

კანტონელებმა დაიკავეს ხან-ჩჟოუ

პეკინი, 16 დეკემბ. შანხაიდან ისევ იტყობინებიან, რომ კანტონელების ჯარის ავანგარდმა დაიკავა პროვინცია ჩჟე-ცზიანის დედა ქალაქი ხან-ჩჟოუ.

„უარი ეთქვას"

ვარშავა, 16 დეკემბ. ზემო სილეზიის მაღაროს მეპატრონეების დელეგაციამ შრომის მინისტრს კვიატკოვსკის განუცხადა, რომ მემაღაროების მოთხოვნილება ხელფასის 25 პროცენტით გადიდების შესახებ არ შეიძლება დაკმაყოფილებული იქნეს.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

უკანასკნელი სხდომა

მოსკოვი, 17 დეკემბერი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის უკანასკნელი სხდომა შესდგა 16 დეკემბერს საღამოთი ამხ. **ტელმანის** თავმჯდომარეობით.

ამხ. **ტან-პინ-სიანის** მოხსენებით პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია ჩინეთის საკითხის შესახებ; შემდეგ აგრეთვე ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია კომპარტიისა და პროფკავშირების ამოცანების შესახებ.

ამხ. **კუუსინენმა** გააკეთა მოხსენება იმ კომისიის მოქმედების შესახებ, რომელმაც განიხილა გერმანიის კომპარტიიდან გამორიცხული რუტ ფიშერის, შოლემის, ურბანსის და შვენის აპელიაცია.

„ამ გაკოტრებულმა ბელადებმა, ამბობს ამხ. კუსინენი, თავიანთი პასუხებით კომისიაში დასმულ კითხვებზე კვლავ გამოააშკარავეს მთელი თავისი ორპირობა, ფლიდობა და პოლიტიკური შულერობა და ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი კომინტერნის რიგებში ყოფნის ღირსნი არ არიან".

პლენუმმა ერთხმად (არავის თავი არ შეუკავებია) დაადასტურა ცეკას გარდაწყვეტილება და მიიღო რეზოლიუცია ამ პირების პარტიიდან და კომინტერნიდან გამორიცხვის შესახებ.

შემდეგ, იმის გამო, რომ გერმანიის კომისიას ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია თავისი მუშაობა და რომ კომისიაში არ წარმოშობილა არავითარი პრინციპიალური უთანხმოება, პლენუმმა, ამხ. ტელმანის წინადადებით ერთხმად დაადგინა, რომ გერმანიის კომისიის საკითხების გადაწყვეტა გადაცეს კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმს.

მოხსენება ინგლისის კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. **სემარმა**. კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია ინგლისის საკითხის შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად.

პლენუმმა მოისმინა **პეპლერის** მოხსენება ვინკოპის, როზენშტეინის და ჰოლანდიის კომპარტიის ყოფილი წევრების გამთიშავი მუშაობის შესახებ და ერთხმად დაადასტურა მათი გამორიცხვა ჰოლანდიის კომპარტიის რიგებიდან და კომინტერნიდან.

შემდეგ სუვარინის საქმის შესახებ განცხადება გააკეთა ამხ. **მერფიმ**. მერფიმ აღნიშნა, რომ სუვარინის მოქმედება გვიჩვენებს, რომ იგი ფაქტიურად უკვე გადავიდა ბარიკადების იქითა მხარეს. მერფი ინგლისის დელეგაციის სახელით მოითხოვს, რომ სუვარინი გამორიცხულ იქნას კომინტერნის რიგებიდან.

ბერნარი საფრანგეთის დელეგაციის სახელით აცხადებს, რომ მთელი დელეგაცია მთლიანად და მთელი პარტია უერთდება ინგლისის დელეგაციის წინადადებას.

შემდეგ ბერნარი დელეგაციის სახელით აცხადებს, რომ საფრანგეთის მთელი კომპარტია გმობს სიუზანა ჟიროს ოპოზიციონურ მუშაობას.

ინგლისის დელეგაციის წინადადებისა და აგრეთვე საფრანგეთის დელეგაციის განცხადების მოსმენის შემდეგ, პლენუმმა ერთხმად დაადასტურა სუვარინის საბოლოოდ გამორიცხვა კომინტერნის რიგებიდან.

ამხ. **სტრუჩკა** ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის სახელით კითხულობს რეზოლიუციის პროექტს ტალგეიმერის და ბრანდლერის საქმის შესახებ. პლენუმმა რეზოლიუცია მიიღო ერთხმად.

პლენუმის რეზოლიუციები

ბრანდლერისა და ტალგეიმერის საქმის შესახებ

კომინტერნის აღმასკომმა, — განიხილა რა ბრანდლერისა და ტალგეიმერის შუამდგომლობა კომინტერნის აღმასკომის მე-5 გაფართოებული პლენუმის იმ დადგენილების გაუქმების შესახებ, რომლითაც დაგმობილ იქნა ბრანდლერისა და ტალგეიმერის პოლიტიკური შეცდომები და რომლითაც ისინი ფრაქციული მოღვაწეობის გამო გადაყენებულ იქნენ გერმანიის კომპარტიაში და კომინტერნში მუშაობისაგან—აცხადებს: კომინტერნის აღმასკომის მე-7 გაფართოებული პლენუმი რჩება რა იმ შეფასების ნიადაგზე, რომელიც მე-5 გაფართოებულმა პლენუმმა მისცა ბრანდლერისა და ტალგეიმერის პოლიტიკურ შეცდომებს, აღნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში — კომინტერნის აღმასკომის მე-5 პლენუმიდან მე-7-დე პლენუმამდე ბრანდლერსა და ტალგეიმერს არ უწარმოებიათ არავითარი ფრაქციული მუშაობა, რითაც დაამტკიცეს სისწორე იმ განცხადებისა, რომელიც მათ გააკეთეს ცეკას სხდომაზე იმის შესახებ, რომ ისინი მომავალში უარს ამბობენ ყოველგვარ ფრაქციულ მუშაობაზე. ამიტომ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი ადგენს: გაუქმებულ იქნას კომინტერნის აღმასკომის მე-5 გაფართოებული პლენუმის სათანადო რეზოლიუციის დასკვნითი ნაწილის მე-2 და მე-5 პარაგრაფები ბრანდლერისა და ტალგეიმერის მიმართ და საშუალება მიეცეს მათ იმუშაონ კომინტერნში. საკითხი ამ ამხანაგების გამოყენების შესახებ გერმანიის კომპარტიაში, თვითონ გერმანიის კომპარტიის ცეკას მიენდოს გადასაწყვეტად.

რაც შეეხება რადეკს, მასზე არ ვრცელდება ეს დადგენილება, ვინაიდან მე-5 გაფართოებული პლენუმის შემდეგ რადეკს არ შეუწყვეტია ფრაქციული მუშაობა.

ბორის სუვარინის საკითხის შესახებ

მოსკოვი, 17 დეკემბერი. საბოლოოდ იქნას გამორიცხული კომინტერნიდან ბორის სუვარინი კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობისათვის. მონატრომერის ჯგუფის ორგანო ჟურნალი „რევოლიუსიონ პროლეტარიენ", რომელშიც თანამშრომლობს ბორის სუვარინი, ცნობილ იქნას კონტრ-რევოლიუციონურ ორგანოდ. წინადადება მიეცეს საკავშირო კომპარტიას (ბ) ცეკას, რათა ფორმალურად აუკრძალოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ყოველ წევრს, რომ ბორის სუვარინის სამსახური გამოიყენოს რაიმე სახით. აეკრძალოს ყველა კომუნისტებს რაიმე ლიტერატურული ან სხვაგვარი დახმარების გაწევა მონატრომერის ჯგუფისათვის ან ჟურნალ „რევოლ. პროლეტარიენ"-სათვის.

რუტ ფიშერის, მასლოვის და სხვათა გამორიცხვის შესახებ

მოსკოვი, 17 დეკემბერი. **რეზოლიუციაში მასლოვის, რუტ ფიშერის, ურბანსის, შოლემის და შვენის** გამორიცხვის შესახებ გერმანიის კომპარტიიდან, ნათქვამია:

გერმანიის კომპარტიიდან გამორიცხულ მასლოვის, რუტ ფიშერის, ურბანსის, შოლემის და შვენის წერილობითი პროტესტის გამო 1926 16 ნოემბერს, გაფართოებულმა პლენუმმა დანიშნა კომისია ამ საქმის გამოსაძიებლად. კომისიამ, რომლის სხდომაზე გერმანიის კომპარტიაც იყო მოწვეული, მოისმინა ჩამოსულ აპელიანტების, მასლოვის გარდა, ზეპირი განცხადება და განიხილა ის წერილობითი მასალები, რომელიც მათ გამორიცხვას შეეხებოდა.

საქმის დაწვრილებითი განხილვის შემდეგ, კომისიამ დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილება, რომელშიც ნათქვამია:

კომისიამ დაადასტურა, რომ სისტემატიური არალეგალური გზით ისინი შეეცადნენ პარტიის დაშლას, მის რევოლიუციონურ მუშაობაში ხელის შეშლას და მის კამპანიების ჩაშლას მასსებში. გერმანიის კომპარტიის რიგებიდან გამორიცხვის შემდეგ, აპელიანტებმა, მიუხედავათ მათი დაპირებისა, არ ჩააბარეს თავისი სადეპუტატო მანდატები და მოიპარეს ისინი კომუნისტური პარტიიდან იმ მიზნით, რომ პარლამენტში ფორმალურად გაერთიანებოდენ კორშს, შვარცს და კაცს, და შეედგინათ ერთი ფრაქცია „მემარცხენე კომუნისტების" ცრუ სახელწოდების ქვეშ.

აპელიანტების გამოსვლამ კომისიაში აშკარად დაამტკიცა, რომ ისინი არ არიან კომუნისტები, მუშათა მოძრაობის მებრძოლები, არამედ—პროლეტარული რევოლიუციის რენეგატები, რომლებიც უსაძაგლეს თავდასხმას აწარმოებდენ კომინტერნის, საბჭოთა კავშირის და გერმანიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ. აპელიანტები კომისიაში გამოვიდნენ უსინიდისო განცხადებით იმის შესახებ, თითქოს მასლოვს არ შეეძლოს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა, რადგან არავითარი ნდობით არ ეკიდებიან საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს. დაბოლოს, ამ რენეგატებმა პლენუმის კომისიაში მიმართეს დაუშვებელ მუქარას და გერმანიის კომუნისტური პარტიისათვის ჩირქის მოცხების ცდას ზოგიერთ „გამომჟღავნებათა" გზით.

პლენუმის კომისიაში გამართულმა დებატებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ეს აპელიანტები დაკარგული არიან რევოლიუციონურ მოძრაობისა და, საერთოდ მუშათა მოძრაობისათვის. კომისიამ, რომელშიც შევიდნენ მთელი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს კომუნისტურ

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

პარტიების წარმომადგენლები, ერთხმად დაადასტურა, რომ აპელიანტების შეხედულებები და მოქმედება ეწინააღმდეგება კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამას და პრინციპებს. თავის საქციელით აპელიანტებმა დაგვიმტკიცეს, რომ სავსებით საფუძვლიანია ის მიზეზები, რომელთაც აიძულეს კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი დაედასტურებია გერმანიის კომპარტ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მათი გარიცხვის შესახებ გერმანიის კომპარტიის რიგებიდან.

ამ ფაქტების თანახმად კომისია აძლევს წინადადება მისცეს მე-7 გაფართოებულ პლენუმს:

დაამტკიცოს **მასლოვის, რუტ ფიშერის, ურბანსის, შილემის და შვანის** გარიცხვა გერმანიის კომპარტიიდან და კომინტერნიდან;

მოუწოდოს ყველა შეგნებულ და კომუნიზმის საქმის ერთგულ პარტიის ყველა წევრთ გასწყვიტონ ყოველგვარი პოლიტიკური და ორგანიზაციული კავშირი კლასიური მტრის ამ აგენტებთან და ებრძოლონ მათ ისევე დაუნდობლად, როგორც დანარჩენ სოციალ-გამცემლებს“.

ამხ. სემარის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 17 დეკემბერი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე 16 დეკემბრის საღამოს, საბოლოო სიტყვით კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის სახელით გამოვიდა ამხ. **სემარი.**

„ამ პლენუმს, ამბობს ამხ. სემარი, უდიდესი მნიშვნელობა ექნება კომინტერნის ისტორიაში. გაუკეთეთ რა საფუძვლიანი ანალიზი საერთაშორისო მდგომარეობას, ჩვენ დავსახეთ კომპარტიის შემდეგი განვითარების პერსპექტივები და შესაძლებლობა. ჩვენ სასტიკად გავაკრიტიკეთ საკუთარი თავი და აუცილებელ საჭიროდ ვსცანით გადამწყვეტი, ბოლშევიკური ბრძოლის წარმოება ლენინიზმისაგან ყოველგვარი მემარცხენე და მემარჯვენე გადახრების წინააღმდეგ კაპიტალიზმის დღევანდელი პერიოდის სწორი ანალიზის საფუძველზე.

პლენუმი ადასტურებს მსოფლიო კაპიტალიზმის დამშლელ შემდეგ მომენტებს: ინგლისის გაფიცვა, ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ჩინეთში, კოლონიალურ ერების ბრძოლა და სოციალისტური მშენებლობა საბჭოთა კავშირში. მთავარი ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ კომპარტიებმა თავისი დაუღალავი მუშაობით ხელი შეუწყონ ამ, კაპიტალიზმის დამშლელ მომენტებს. ჩვენმა სექციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ ხელი შეუწყონ ჩინეთის რევოლიუციას და შეებრძოლონ საომარ ინტერვენციას. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ფართე მასების დასაპყრობად და სწორად გამოვიყენოთ მთლიანი ფრონტის ტაქტიკა და, ამგვარად, გავაძლიეროთ პროფმოძრაობისა და პროფინტერნის მემარცხენე ფრთა. ჩვენ ყოველმხრივ ხელი უნდა შევუწყოთ საკავშირო პროფსაბჭოს ღონისძიებებს, რომელნიც მიმართულია პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობისაკენ მასების დაპყრობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ჩვენ მედგრად ვივლით ლენინიზმის გზით. ამ მოსაზრებით სუვარინის, მასლოვის, რუტ ფიშერის და კომპ. გამორიცხვა წარმოადგენს გაფრთხილებას სხვა ფრაქციონერებისათვის. რუსული ოპოზიციის ლიდერების გამოსვლა იყო ფრაქციული ბრძოლის გაგრძელების ცდა საერთაშორისო მასშტაბით. ოპოზიციამ ამ პლენუმზე ისეთივე დამარცხება იგემა, როგორიც საკ. კომპარტ. (ბ) მე-15 კონფერენციაზე.

კომინტერნი სრულ ნდობას უცხადებს საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას და მოუწოდებს ყველა სექციებს ყველა საშუალებებით იბრძოლონ საკ. კომპარ. (ბ) მთლიანობის დასაცავად.

გაუმარჯოს ლენინის საერთაშორისო პარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! (მქუხარე ტაში).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სამეცნიერო ყრილობა

ნოვო-სიბირსკი, 17 დეკ. 15 დეკემბერს გაიხსნა ციმბირის პირველი სამეცნიერო ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა ორას მეცნიერზე მეტი და აგრეთვე 200-მდე დაზგის მუშა. ყრილობის მიზანია საფუძველი ჩაუყაროს ციმბირის სიმდიდრეთა ფართო სამეცნიერო გამოკვლევას.

აღწერა მოსკოვში

მოსკოვი, 17 დეკემბერი. დღეს დაიწყო აღწერა კრემლში. აღწერა სწარმოებდა უცხოეთის საკონსულოებშიაც. საღამოს გამოირკვა, რომ საერთო აღწერა მოსკოვში წარმატებით მიმდინარეობს. მშრომელები სიამოვნებით იძლევიან ცნობებს. გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია.

ვიატკიდან, ყაზანიდან, ნოვოროსიისკიდან, კურსკიდან, დონის როსტოვიდან სხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები აღწერის შესახებ. (ადს).

დახმარება გაფიცვის მსხვერპლთ

მოსკოვი, 17 დეკემბერი. მემაღაროეთა საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტმა დაადგინა ყველა მის მომხრე ორგანიზაციებს მოუწოდოს ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვის მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენისაკენ. კომიტეტი აღნიშნავს, რომ გაფიცვის დამარცხების გამო უმუშევრობა ინგლისელ მემაღაროეებს შორის 3—4 ჯერ გაიზარდა, უმუშევართა რიცხვი 400.000 კაცს უდრის. საერთაშორისო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებს ყველა სანახშირო რაიონებში და მაღაროებში შეუდგენ შემოწირულებათა შეგროვებას ინგლისის გაფიცვის მსხვერპლთა სასარგებლოდ. (ადს).

დახმარება მემაღაროეთ

მოსკოვი, 17 დეკემბერი. ქალთა კომიტეტმა, რომელიც სისტემატიურ დახმარებას უწევს ინგლისის მემაღაროეთ, მოსკოვში მოაწყო მხატვარ ბროდსკის სურათის—„ბაქოს 26 კომუნარის მოკვლა“—გამოფენა. სურათმა მრავალი მაყურებელი მოიზიდა—90.000 კაცამდე. მთელი შემოსავალი—3.240 მან. გადაეცა საკავშირო პროფსაბჭოს. ახლამად სურათი გადაგზავნილია ლენინგრადში. (ადს).

სინათლის ენერგიის ელექტრონად გამოყენება

ლენინგრადი, 17 დეკემბერი. ზომაწონის პალატის მოსამსახურემ ბოიკომ მოაწყო ახალი ფოტოელემენტები, რომლითაც შესაძლებელია სინათლის ენერგიის ელექტრონად გადაკეთებისა. ამ აპარატის შემწეობით შესაძლებელია სინათლის ენერგიის გამოყენება პრაქტიკული მიზნებისათვის. (ადს).

წითელი ჯვარი

მოსკოვი, 17 დეკემბერი. 16 დეკემბერს დაიხურა წითელი ნახევარმთვარისა და წითელი ჯვრის კავშირის საბჭოს მე-2 სესია. უკანასკნელ სხდომაზე არჩეულ იქნა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი. რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოებიდან კომიტეტის შემადგენლობაში შევიდა **სოლოვიევი,** ამიერ-კავკასიის ფედერაციიდან—**ენუქიძე,** უკრაინის ორგანიზაციიდან— **ივანოვი,** ბელორუსიის ორგანიზაციიდან—**ბარსუკოვი,** უზბეკისტანის—**მეპურნუტოვი.** აღმასკომის წევრის გამოგზავნა თურქმენისტანიდან მიენდო თურქმენისტანის ორგანიზაციასვე. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია **ენუქიძე,** აღმასკომის პასუხისმგებელ მდივნად **გლადკოვსკი.** (ადს).

„ვოლხოვსტროი“

ლენინგრადი, 17 დეკემბერი. ვოლხოვის ჰიდროელსადგურის ამუშავებისათვის საალმშენებლო კომისიამ გაუკეთა ჯამი ამ სადგურზე დახარჯულ მთელ თანხას. მთელი მუშაობა გამონანგარიშებულია 97 ნახ. მილ. მან. დარჩენილი მასალა და ქონება, რომელიც გადაირიცხება სახელმწიფო ფონდში, შეფასებულია 7—8მილ. მ. ამნაირათ მთელი შესრულებული სამუშაოს საბოლოო ღირებულება დაწყებული ვოლხოვის სადგურიდან და გათავებული ქვესადგურით ლენინგრადში, შეადგენს 90 მილ. მან. ვოლხოვის ენერგიის თვითღირებულება არ გადააჭარბებს 1 ნახევ. 2 კაპ. თვითეულ კილოუატ-საათში, რაც წელიწადში მოგვცემს 9 მილ. მან. ეკონომიას. თუ ზემოაღნიშნულ თანხას გამოვაკლებთ არხებზე დახარჯულ თანხას, 15 მილიონ მანეთს, მაშინ აღმოჩნდება, რომ ვოლხოვის ჰიდროელსადგურებზე წმინდათ დაიხარჯა 75 მილ. მანეთი. (ადს).

ლენინგრადი, 17 დეკემბერი. „ვოლხოვსტროი“-მ აამუშავა მესამე 6.000 კილოვატიანი ტურბინა. დაიწყო უკანასკნელ მეოთხე ტურბინის გამოცდა. ახალ წლამდე „ვოლხოვსტროი“-ს სადგურის პირველი ნახევარი ლენინგრადს მისცემს 27.000 კილოვატს (ადს).

საკავშირო პროფკავშირთა ყრილობა

16 დეკემბრის დილის სხდომა

მოსკოვი, 17 დეკემბერი. პროფკავშირთა ყრილობის 16 დეკემბრის დილის სხდომაზე **ვლადიმიროვმა** მოხსენება გააკეთა პროფკავშირთა სატარიფო მუშაობის შესახებ. ვლადიმიროვი იცავდა ამ თეზისებს, რომელიც საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წარუდგინა მეშვიდე ყრილობას პროფკავშირთა სატარიფო მუშაობის შესახებ. რადგანაც საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ამ თეზისების მუხლს სამუშაო ხელფასის გადიდების საერთო მოწესრიგების შესახებ და მუხლს სპეციალისტ - მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის მოწესრიგების შესახებ მეშვიდე ყრილობის ზოგიერთი წევრები პრინციპიალურად ეწინააღმდეგებიან, პრეზიდიუმმა შეიტანა წინადადება გაიხსნეს საერთო კამათი თეზისების ამ პუნქტების გარშემო.

ხსენებულ მუხლების წინააღმდეგ მოსაზრების გამოსათქმელად სიტყვა მიეცა **კროლს** (გემო - კაიბის მუშაკთა ცეკა) და, **გინზბურგს** (ციმბირი); საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს წინადადების დასაცავათ გამოვიდნენ ამხ. **ტომსკი** და **ანდრეევი.**

კროლის აზრით სამუშაო ხელფასის გეგმიანი გადიდება, რომელიც დაშვებულ იქნა მთავრობის კომისიის მიერ წარმოადგენს კოლექტიურ ხელშეკრულებების სისტემის ფაქტიურ ლიკვიდაციის დასაწყისს.

ანდრეევმა აღნიშნა, რომ ცხოვრება პროფკავშირებს უყენებს მოთხოვნილებას კოლექტიურ ხელშეკრულებათა სისტემის დაკავშირების შესახებ სახალხო მეურნეობაში გეგმიანობის გაძლიერებასთან. თვით პროფკავშირები უკვე შეუდგენ სამუშაო ხელფასის გეგმიან მოწესრიგებას. მიღებულია მრავალი რეზოლიუციები შრომის ამა თუ იმ დარგის გათანასწორების შესახებ ხელფასის მხრივ უფრო დაწინაურებულ დარგებთან. ყრილობამ სრული სინათლე უნდა შეიტანოს ამ საკითხში, რათა შემდგომი სატარიფო მუშაობა არ იქნას დაბრკოლებული.

გინზბურგი ამბობს, რომ ის არ არის წინააღმდეგი მრეწველობის საერთო დაგეგმვისა, რომელშიაც ერთ - ერთი ელემენტის სახით შედის სამუშაო ხელფასის დაგეგმვაც.

ტომსკი ამბობს, რომ სამუშაო ხელფასის დაგეგმვა და ცენტრალიზაცია ქმნილი მოწესრიგება არ ნიშნავს სახელმწიფოებრივ ნორმით განსაზღვრას. არავინ არ ფიქრობს სამუშაო ხელფასის დაგეგმვის სახალხო მეურნეობის საერთო გეგმიდან გამოყოფას. მიმდინარე წელს საკონტროლო ციფრები არ ითვალისწინებდენ სამუშაო ხელფასის გადიდებას და ეს უნდა გამოგვესწორებია. თუ არ იქნება ცენტრალიზაცია ქმნილი მოწესრიგება, არავითარი საშუალება არ გვექნება სამუშაო ხელფასის მხრივ ჩამორჩენილი დარგები გავათანასწოროთ შრომის სხვა დარგებთან. ამ მოწესრიგების ადგილობრივ გატარება ძნელია, რადგან პროფკავშირთა ცენტრის—საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს დაუხმარებლათ ადგილები გაცილებით ნაკლებ შედეგებს მიაღწევენ. აუცილებელია ცენტრის გადაწყვეტილებათა საერთო შეთანხმება.

რაც შეეხება მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგებას, თეზისებში ის წამოყენებულია, როგორც ცდა. კიდევ მეტი, აქ საკითხი იმაში მდგომარეობს, მოაქვს თუ არა ზიანი ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგებას მოსამსახურეთა მასისათვის. სრულიადაც არა, ის საზიანოა პროტექციონისტებისა და პრივილეგიებით აღჭურვილთათვის. მუშათა კლასის მდგომარეობას ის მხოლოდ და მხოლოდ აუმჯობესებს.

ხმების დიდი უმრავლესობით 135 ამის წინააღმდეგ ყრილობამ პრინციპიალურად მოიწონა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს თეზისები.

შემდეგ პროფკავშირების ეკონომიურ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ანდრეევმა.**

ამხ. ანდრეევმა აღნიშნა, რომ ამჟამად პროფკავშირები შედიან ეკონომიურ მუშაობის მესამე პერიოდში, როცა სამეურნეო საკითხები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. სამეურნეო მუშაობაში იზრდება გეგმიანობის ელემენტები. პროფკავშირების როლი სახალხო მეურნეობის მოწესრიგების საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ხდება. პროფკავშირებმა ამიერიდან უმთავრესი ყურადღება სამეურნეო აღმშენებლობის საკითხებს უნდა მიაქციონ. ეს მუშაობა სასურველ შედეგებს მოგვცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში ჩავაბამთ თვით მუშათა მასას. პროფკავშირთა მასების აქტიური მონაწილეობა ეკონომიურ მუშაობაში უზრუნველყოფს პროფკავშირთა აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობის დაგეგმვის და განვითარების საქმეში. საწარმოო თათბირები მუშათა მასების სამეურნეო აღმშენებლობაში ჩაბმის საუკეთესო სისტემაა. საწარმოო თათბირების პრაქტიკამ სამეურნეო მუშაობით დაინტერესა ათეული ათასი მუშები. საწარმოო თათბირების გატარების გამოცდილება გვიკარნახებს მუშათა დროებით საკონტროლო კომისიების შექმნის აუცილებლობას. ხსენებულ კომისიებმა მუშათა მასებს უნდა გააცნონ წარმოებათა მუშაობა. მრეწველობის ცალკე დარგების საწარმოო კონფერენციების პრაქტიკამ სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა. ამ კონფერენციების ძირითადი ნაკლია მათი გადაწყვეტილებების ბუნდოვანი ხასიათი. ჩვენი ამოცანაა საწარმოო კონფერენციების მუშაობა უფრო კონკრეტული გავხადოთ.

ამხ. ანდრეევის მოხსენების გარშემო რეზოლიუციის შემუშავება დაევალა განსაკუთრებულ კომისიას.

პროფკავშირთა კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ევრეინოვმა.

პროლეტარიატის პოლიტიკური და კულტურული ზრდა და მისი აქტივობის გადიდება პროფკავშირებს უკარნახებს კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას. ამასთანავე ერთად სწარმოებს მრეწველობაში მუშების ახალი ფენების ჩაბმა სოფლიდან. პროფკავშირების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — ამ მუშათა ფენების პოლიტიკური და კულტურული აღზრდა. პროფკავშირებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ მასების ყოველგვარ კულტურულ მოთხოვნილებებს და ფართე გასაქანი უნდა მისცენ კავშირის წევრთა თვითმოქმედებას და ინიციატივას.

ამხ. **ევრეინოვის** მოხსენების გარშემო რეზოლიუციის შემუშავება დაევალა კომისიას.

16 დეკემბერს საღამოს დაიწყო ყრილობის სექციების სხდომები. ყრილობის უკანასკნელი სხდომა შესდგება 19 დეკემბერს. (ადს)

მოსკოვი, 17 დეკემბერი. 17 დეკემბრის პროფკავშირთა ყრილობის პლენარული სხდომა არ შემდგარა. მთელი დღე სექციების მუშაობას მოუნდა. სექციების მუშაობა გაგრძელდება 18 დეკემბერსაც. საბოლოო სხდომა 19 დეკემბერს შესდგება. (ადს).

დანიშვნები

მოსკოვი, 17 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ამხ. **იანსონი** დამტკიცებულ იქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის პირველ მოადგილედ, ამხ. **იაკოვლევი**—საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის მეორე მოადგილედ.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ამხ. **კრჟენცევი** დამტკიცებულ იქნეს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს გამგის პირველ მოადგილედ.

ამხ. **კვირინგის** საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის გამო, საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა განთავისუფლოს ის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დამტკიცებულ იქნეს ამხ. **სერებროვსკი.** (ადს).

დროებითი მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობები

მოსკოვი, 17 დეკემბერი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება დროებით მუშა-მოსამსახურეების შრომის პირობების შესახებ და გადაუგზავნა საკავშირო ცაკს დასამტკიცებლად. კანონ-პროექტის თანახმად დროებით მუშა-მოსამსახურეებათ ითვლებიან ის მუშები და მოსამსახურეები, რომელნიც დაქირავებული არიან არა უმეტეს ორი თვის ვადისა და აგრეთვე ის პირები, რომელნიც დროებით წასულ მუშაკების მაგიერ მუშაობენ არა უმეტეს 4 თვის ვადისა. დროებით მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ საანგარიშო წიგნაკები მიუხედავათ დაქირავების ვადისა. (ადს).

აღწერის გარშემო

„აღწერა დაიწყო“

მოსკოვი, 17 დეკემბერი. ცენტრალური სტატისტიკის სამმართველოს განყოფილების გამგე ამხ. ოსინსკი წერილში „აღწერა დაიწყო“ სწერს:

17 დეკემბერს სალაშქროდ გამოდის ჩვენი საკავშირო საადწერო არმია. ეს არმია სამხედრო მასშტაბითაც კი დიდია. მასში შედის 200 ათასი მორიგი აღმწერი, რომლებსაც მეთაურობს სტატისტიკური მეთაურთა შემადგენლობის სათანადო რიცხვი. მრავალ ჩვენს აღმწერს მოუხდება ნამდვილი მოგზაურობის ჩატარება, ისიც ხშირად ნეტად მძიმე პირობებში. ჩვენი აღმწერები სალაშქროდ გამოდიან, რომ შეასრულონ უდიდესი კულტურული ამოცანა, რომელიც იმავე დროს სოციალისტური აღმშენებლობის უძლიერესი იარაღია. ამიტომ სრულიად უაზროა ლაპარაკი, რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ ჩვენი ყველაზე უფრო ჭკუამოკლე „ობივატელებისა“ და ყველაზე უფრო შეუგნებელ მოქალაქეებს შორის იმაზე, თითქოს აღწერა გარდა წმინდა კულტურულ ამოცანებისა კიდევ სხვა რაღაცა მიზნებს ისახავს. აღწერის მნიშვნელობა იმდენად დიდია და მისი ამოცანები იმდენად ფართო, რომ საადწერო ოპერაციის დამორჩილება, ვსთქვათ, თუ გინდ სახადასახადო მიზნებისათვის უბრალო შეუთანაბრობა იქნებოდა ოპერაციის მასშტაბსა და მის მიზანს შორის.

ჩვენ იმედი გვაქვს და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საადწერო მუშაკების რთულ, ხშირად მეტად მძიმე მუშაობას ერთსულოვან დახმარებას გაუწევენ ყველგან. გლეხობა ჩვენს აღმწერებს უნდა შეხვდეს ისე, როგორც რევოლიუციის შემდეგ იგი ხვდებოდა აგრონომს ანდა ექიმს. აღმწერი იმუშავებს მხოლოდ და მხოლოდ მათი კეთილდღეობისათვის, იმისათვის, რომ დაეხმაროს ჩვენს მუშაობას, რომელიც მიმართულია კარგი გზების გაყვანისაკენ სკოლების (განსაკუთრებით სხვადასხვა ეროვნების სკოლების) ქსელის გაფართოვებისაკენ, საავადმყოფოთა ქსელის გაუმჯობესებისაკენ და სოციალური უზრუნველყოფის და საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების საქმის განვითარებისაკენ.

აღმწერი დიდ კულტურულ და საერთო სასარგებლო საქმეს შეასრულებს შეუმჩნეველი საშუალებით—პატარა რუხი ბარათის შევსებით. თუ ეს ბარათები შევსებული იქნება სრულად და სწორად, მაშინ უზრუნველყოფილი იქნება დიდი წარმატება და დიდი სარგებლობა როგორც მთელი ჩვენი სახელმწიფოებისათვის, ისე ყველა მისი ცალკე მოქალაქეებისათვის.

მაშ, წინ აღმწერების რაზმებო, გაუმარჯოს თქვენს გზას.

დეე თვითეულმა შეგნებულმა მოქალაქემ გითხრათ თქვენ „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, დეე თქვენი მუშაობა წარმატებით დამთავრდეს, დეე ამ მუშაობის ნაყოფმა გააძლიეროს ჩვენი ქვეყნის ნივთიერი და სულიერი სიმდიდრე“.

აღწერის პრაქტიკული საკითხი

გუშინ საქართველოს ყველა კუთხეში სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები შეუდგნენ როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მოსახლეობის აღწერას. მუშაობა პირველი ცნობების მიხედვით ნორმალურათ მიმდინარეობს.

აღწერის მსვლელობაში სიძნელეს იწვევს ზოგიერთი საკითხი.

საჭიროთ ვსცნობთ ამ საკითხებზე შევჩერდეთ, ვინაიდან ხშირად აღმწერი და მოსახლეობაც ვერ ერკვევა კარგათ მათში. ამ აღწერაში ცენტრალური ადგილი უჭირავს საკითხს მოსაქმეობის შესახებ (კითხვა № 12. პირადობის ბარათის).

მიმდინარე აღწერაში ეს საკითხი მეტად რთულად არის დაყენებული.

1926 წლის აღწერაში მოსაქმეობის კითხვა ისე არის დასმული, რომ ჩვენ საშუალება გვეძლევა გავიგოთ მოსახლეობის შემადგენლობა მოსაქმეობის, საარსებო წყაროების და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით.

ჩვენ უნდა შევკრიბოთ ცნობები დაკითხულ პირზე მისი მოსაქმეობის შესახებ, რა ადგილი უჭირავს მოსაქმეობაში, და რა შრომის დარგში მუშაობს. ცნობები უნდა შევკრიბოთ აგრეთვე როგორც მთავარ, ისე დამატებით მოსაქმეობის შესახებ.

ჩვენი ინსტრუქციის თანახმად მე-12-18 კითხვაში აღინიშნება **ის მოსაქმეობა, რომელიც შემოსავალს აძლევს დაკითხულს,** ამიტომ შინა მეურნეობაში მუშაობა აქ არ აღინიშნება. მთავარ მოსაქმეობათ ითვლება ის მოსაქმეობა, რომელიც უმთავრეს შემოსავალ წყაროს იძლევა.

ჩვენ რეგისტრატორებს და მთელ მოსახლეობას უნდა ახსოვდეს, რომ თანახმად ინსტრუქციისა, დაკითხვის დროს გამორკვეულ უნდა იქნეს არა მარტო მთავარი მოსაქმეობა, არამედ დამატებითი მოსაქმეობაც და უკანასკნელი უნდა ჩაიწეროს დამატებით მოსაქმეობის სვეტში.

სოფლად, სადაც გლეხობა, გარდა თავის ძირითად მოსაქმეობისა სასოფლო მეურნეობაში, თავისუფალ დროს, განსაკუთრებით მინდვრის სამუშაოების შეწყვეტის დროს, შინა - მრეწველობას ეწევა (ხალიჩების ქსოვა, შალის, კალოთების, ჭურჭლეულის კეთება და სხვა). დამატებითი სამუშაო გამორკვეულ და აღნიშნულ უნდა იქნეს პირადობის ბარათში ზედმიწევნითი სიზუსტით. ამ მიზნით ინსტრუქტორი არკვევს თუ რა შინა - მრეწველობა არის გავრცელებული მის უბანში, თუ შესაძლებელია სოფლების მიხედვით, და თავის რეგისტრატორებს შესაფერის დარიგებას აძლევს.

დამატებით მოსაქმეობიდან აღინიშნება მხოლოდ ისეთი, რომელიც შემოსავალს იძლევა. იმ შემთხვევაში, როცა დაკითხულ პირს ორი ან მეტი დამატებითი მოსაქმეობა აქვს, უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ ერთი, რომელიც სხვა დამატებით მოსაქმეობასთან შედარებით მეტ შემოსავალს აძლევს დაკითხულს.

ძნელი შესათვისებელია აგრეთვე პირადობის ბარათის მე-18 კითხვა **უმუშევრობის** შესახებ. ამ კითხვის საშუალებით ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ უმუშევრობის ხასიათი.

კითხვათა მთელი რიგის დაყენება, როგორც მაგალითად: თუ უმუშევარია: ა) რამდენი ხანი, ბ) რა საქმეს ეწეოდა უმუშევრობამდე: ხელობა, სარეწავი, სამუშაო, თანამდებობა და სპეციალობა, გ) რა ადგილი ეჭირა ამ მოსაქმეობაში (მოსამსახურე, მუშა, პატრონი და სხვა). დ) დაწესებულების საწარმოს დასახელება, სადაც მუშაობდა — საშუალებას გვაძლევს ჩვენ გამოვარკვიოთ არა მარტო ხალასი ფაქტი უმუშევრობისა, არამედ მისი ხანგრძლივობა, პირველად ეძებს სამუშაოს თუ უწინაც ჰქონდა სამუშაო, რომელ წრიდან არის გამოსული უმუშევარი, მისი კვალიფიკაცია და სხვა.

ინსტრუქციის თანახმად, რომელიც მიეცა ყველა რეგისტრატორებს, უმუშევრად ითვლება მხოლოდ ის პირი, რომელსაც სრულებით არ აქვს სამუშაო ამჟამად და ეძებს სამუშაოს. ვისაც აქვს შემოსავალი (თუ გინდ დროებითი არა მისი პროფესიის მიხედვით) — ითვლება მოსაქმეობის მქონედ.

ამ საკითხში გამოჩენილ იქნა განსაკუთრებული სიფრთხილე. სულ მცირედ გადახვევამ ინსტრუქციიდან, ან არა სწორ გაგებას, შეუძლიან მოგვცეს სრულებით ყალბი სურათი უმუშევრობის შესახებ.

სეზონური ხასიათის მუშებს სოფელ - ადგილებში შეცდომით შეუძლიათ თავი უმუშევრებს მიაკუთვნონ. თუ ჩვენ იმათ უმუშევართა სვეტში შევიტანთ, სურათი უმუშევრობისა სწორი არ იქნება.

ამას ანგარიში უნდა გაუწიონ ჩვენმა რეგისტრატორებმა და სწორად შეასრულონ ინსტრუქცია, სადაც ნათქვამია, რომ სოფლად სასოფლო მეურნეობაში მომუშავენი, რომელნიც აღწერის დროს თავს უმუშევრად სთვლიან მათი მოსაქმეობის სეზონური ხასიათის გამო, არ ჩაიწერებიან უმუშევრებათ.

არის მეორე საფრთხეც, რომელსაც ეხლავე უნდა გაუწიოთ ანგარიში. პენსიონერებს, სახლის მეპატრონეთ, რომელნიც შემოსავალს იღებენ თავის მამულიდან, შეუძლიანთ თავისი თავი უმუშევართ მიაკუთვნონ.ისინი, რასაკვირველია, არ ჩაითვლებიან უმუშევრებათ, არამედ უნდა გამოყოფილი იქნენ ცალკე ჯგუფათ და უპასუხებენ მე-14 კითხვაზე. ინსტრუქციის თანახმად. ისინი ვისაც მოსაქმეობა არ აქვს, მაგრამ თავისი შემოსავლით სცხოვრობენ, მაგალითად დახმარება სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატიდან, შემოსავალი სახლიდან და სხვა, აჩვენებენ მე-14 კითხვაში სახელდობრ რა შემოსავლით ცხოვრობენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების ხარჯზე მყოფნი (თავშესაფარი, ინვალიდების სახლი, საბავშვო სახლები, საბავშვო ბაღები, სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში მყოფნი, სასჯელის მოსახდელნი საპყრობილეში, საავადმყოფოში მოსარჩენად განწესებულნი და სხვა), რომელნიც არ უპასუხებენ მოსაქმეობის კითხვებზე, მხოლოდ მე-14 კითხვაში აღნიშნავენ დაწესებულების სახელწოდებას, სადაც იმყოფებიან და იმ კატეგორიას, რომელსაც ეკუთვნიან (ინვალიდი, ავათმყოფი, საპყრობილეში მყოფნი და სხვა).

ამავე კითხვაში აღინიშნება ის პირები, რომელთა შემოსავლის წყაროს შეადგენს სასამართლოს მიერ დანიშნული ალიმენტები.

საყოველთაო აღწერის მნიშვნელობა მეტად დიდი და საპასუხისმგებლო საქმეა.ჩვენ იმედი გვაქვს ამას ანგარიშს გაუწევენ აღმწერელი მუშაკები და ყოველ ღონეს მიიღებენ იმისათვის, რომ პირნათლად და უნაკლოდ შეასრულონ მათი მოვალეობა.

ა. რუხაძე.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

დელეგატების გაგზავნა

ბაქო, 17 დეკემბერი. მოსკოვში 2 იანვრისათვის მოწვეულ პროლეტარული სტუდენტობის სრულიად საკავშირო კონფერენციაზე აზერბეიჯანის პროლეტარული სტუდენტობა გზავნის 5 დელეგატს. (ადს).

ნუხის ჰიდრო - ელსადგური

ბაქო, 17 დეკემბერი. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ სახელექტრო - ტრესტს შეუკვეთა ჰიდრო - ელსადგურის მოწყობილება ნუხის ელსადგურისათვის. (ადს).

სომხეთი

ხე-ტყის სახერხი ქარხანა

ლენინაკანი, 17 დეკემბერი. ლენინაკანის აღმდგენი კომიტეტის საჭიროებისათვის, სავაჭრო-სამრეწველო სამმართველოს მექანიკური ქარხანა აშენებს ხე-ტყის სახერხ ქარხანას ქარხანასთან მოწყობილი იქნება ხე-ტყის 2 საწყობი. მუშაობა დასრულდება ორი თვის შემდეგ. (ადს).

ლენინაკანში

ლენინაკანი, 17 დეკემბერი. აღწერასთან დაკავშირებით, ყველა სასწავლებლებში, გარდა რკინის გზის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის, შეწყვეტილია მეცადინეობა 1927 წლის 3 იანვრამდე.

ერევანში

ერევანი, 17 დეკემბერი. ღამით 16—17 დეკემბერს, ღამის 12 საათიდან ერევნის აღმწერლები შეუდგენ მოსახლეობის აღწერას ქარვასლებსა და ღამის გასათევ ბინებში. ამ ღამესვე აღწერილ იყო ის პირები, რომელთაც არა აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ბინები, და ისინი, ვინც უპატრონო არიან (ქუჩის ბავშვები). 17 დეკემბერს შეუდგენ სასტუმროებისა და დახურულ დაწესებულებების (ამერიკული კომიტეტი, სამხედრო უწყება) აღწერას. მაზრებიდან მიღებულია დეპეშები წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის დასრულებისა და აღწერის დაწყების შესახებ. ლენინაკანში აღწერა გადადებულია 2 დღით, რადგან შეცვლილ იქნა პირვანდელი გეგმა მარტო დემოგრაფიული აღწერის ჩატარების შესახებ მიწისძვრისაგან დაზარალებულ რაიონებში. ლენინაკანის რაიონში შევსებული იქნება, აგრეთვე, მეურნეობრივი და ქონებრივი ფორმულიარები. (ადს).

უცხოეთში

ნახშირის ბაზრის მდგომარეობა ინგლისში

ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვა, რომელიც შვიდ თვეს გაგრძელდა, შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს.

მსოფლიო ეკონომიური პრესა ჯამს უკეთებს ამ გაფიცვის სამეურნეო შედეგებს. ერთ მთავარ საინტერესო საკითხთაგანს წარმოადგენს ინგლისის ნახშირის ბაზრის მდგომარეობა.

გაფიცვამდი ინგლისში ყოველკვირეულად იღებდენ საშუალოდ 5 ნახ. მილიონ ტონა (300-330 მილიონ ფუთ) ნახშირს. გაფიცვა რომ არ ყოფილიყო, პირველი მაისიდან პირველ დეკემბრამდი ამოღებული იქნებოდა 150 მილიონ ტონაზე (მილიარდ ფუთზე) მეტი ნახშირი. ფაქტიურად კი ამ ხნის განმავლობაში ამოიღეს 15 მილიონი ტონა ნახშირი. დანაკლისი, ამ რიგად, შეადგენს 135 მილიონ ტონას. ნორმალურ პირობებში, ამ რაოდენობიდან 30-35 მილიონი ტონა ნახშირი გაიტანებოდა უცხოეთში. დანარჩენი 100 მილიონი ტონა მოხმარდებოდა შინაურ საჭიროებას. აქედან გამომდინარეობს მეტად საინტერესო კითხვა—როგორ იქნა შევსებული ნახშირის ეს უდიდესი დანაკლისი?

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ნახშირის შემოტანა უცხოეთიდან. ინგლისი—მემაღაროეთა გაფიცვის დროს—ნახშირის ექსპორტიორიდან გადაიქცა იმპორტიორად. არა თუ შეწყდა ნახშირის გატანა ინგლისიდან, არამედ დიდძალი ნახშირი შემოიტანეს უცხოეთიდან. პირველი მაისიდან 31 ოქტომბრამდი ინგლისში უცხოეთიდან შეიტანეს 14,3 მილიონი ტონა ნახშირი. ეს მოსახერხებელი გახდა სხვადასხვა ქვეყნების ტრანსპორტის მუშათა რეფორმისტული ბელადების მოღალატეობის წყალობით.

არაჩვეულებრივად გაიზარდა აგრეთვე ნავთის პროდუქტების შეტანა ინგლისში. პირველი მაისიდან 31 ოქტომბრამდი ინგლისში შეტანილ იქნა 250 მილ. გალლონით (გალლონი უდრის 4.5 ლიტრს) მეტი ნავთი, ვიდრე 1925 წ. იმავე პერიოდში. ამრიგათ გაფიცვის გამო ინგლისის მრეწველობის ნაწილი თხელი საწვავი მასალის მოხმარებაზე გადავიდა.

მაგრამ ვერც შემოტანილი ნახშირი და ვერც ნავთის პროდუქტი ვერ შეავსებდენ 100 მილიონი ტონა ნახშირის დანაკლისს. ყველაზე უარესს მდგომარეობაში ჩავარდენ მრეწველობის ის დარგები, რომლებიც დიდი რაოდენობით ხარჯავდენ ნახშირს. ასეთ დარგებს ეკუთვნის პირველ ყოვლისა ლითონის მრეწველობა. ერთი ტონა თუჯის გამოსადნობათ საჭიროა საშუალოდ ერთი ტონა ნახშირი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მემაღაროეთა გაფიცვის გამო თუჯის გამოდნობა მიმდინარე წლის პირველი ათი თვის განმავლობაში შეადგენდა 2,3 მილიონ ტონას, ნაცვლად 5,2 მილიონი ტონისა წარსული წლის იმავე პერიოდში; ფოლადის გამოდნობა კი 6,1 მილიონიდან შემცირდა 3,1 მილიონ ტონამდი. შემცირდა მრეწველობის სხვა დარგების პროდუქციაც, მაგრამ ყველაზე უფრო იზარალა ლითონის მრეწველობამ.

მაღაროებში მუშაობის განახლების შემდეგ ინგლისის ნახშირის მრეწველობას დროებით ბრწყინვალე პერსპექტივები ეძლევა წინ. არა მარტო ინგლისის, არამედ მსოფლიო ნახშირის ბაზარი ნახშირის დიდ ნაკლებობას განიცდის.

გაფიცვამდი ინგლისი თავის ნახშირს უცხოეთში ყიდდა 1 გირვ. სტერლინგათ ტონას. შემოტანილი, უფრო მდარე ხარისხის ნახშირი ინგლისს უჯდებოდა საშუალოდ 2 სტერლინგი ტონა. ინგლისელი ექსპორტიორებისა და მაღაროების პატრონებს პირველ ხანებში დიდი მოგება მოელის.

მაგრამ როგორც კი ბაზარი გაივსება ნახშირით, უნდა ველოდეთ მეტოქეობის გამწვავებას ნახშირის ექსპორტიორ სახელმწიფოებს შორის. ინგლისი წააწყდება უდიდეს კონკურენციას იმ სახელმწიფოების მხრივ, რომლებმაც გაფიცვის დროს ხელში ჩაიგდეს ის ბაზრები, სადაც წინად ინგლისური ნახშირი სადდებოდა. ასეთი სახელმწიფოებია პირველ რიგში—გერმანია და პოლონეთი. პირველი მაისიდან ნოემბრამდი გერმანიამ 16 მილიონ ტ. მეტი ნახშირი გაიტანა უცხოეთში, ვიდრე წარსული წლის იმავე პერიოდში. პოლონეთმა მემაღაროეთა გაფიცვის დროს თავისი ექსპორტი 600.000 ტონიდან 2 მილიონ ტონამდი გაადიდა (თვიურად).

არც გერმანია და არც პოლონეთი უბრძოლველად არ დასთმობენ დაპყრობილ პოზიციებს. ამ ბრძოლაში ინგლისის ნახშირის მრეწველობის მხარეზე ის უპირატესობა იქნება, რომ მათ შესამჩნევათ შეამცირეს ხარჯები მუშა-ხელზე (თუ მხედველობაში მივიღებთ სამუშაო დღის გახანგრძლივებას და შრომის ხელფასის შემცირებას, გამოვა, რომ ხარჯები მუშა-ხელზე შემცირებულია 25 პროცენტით). ეს საშუალებას მისცემს ინგლისს დასწიოს ფასებს ნახშირზე. კონკურენტები თავის მხრივ ამათვე უპასუხებენ და შეეცდებიან შეამცირონ ხარჯები მუშა-ხელზე.

კაპიტალის საყოველთაო იერიში მემაღაროეებზე და უკანასკნელთა საარსებო პირობების გაუარესება—ასეთია ინგლისელ სამთა-მადნო მუშების დამარცხების აუცილებელი შედეგი.

გ. ჯ.

ინგლისის ნავთის მრეწველობის მოგება

ინგლის-სპარსეთის ნავთის საზოგადოების („ენგლიშ-პერშიან-ოილ“) ანგარიში (1926 წ. 31 მარტამდი) პირდაპირ სარეკორდოა მოგების რაოდენობის მხრივ. მთელი მოგება უდრის—57.663.900 მანეთს, ნაცვლად 46.098.570 მანეთისა წინა წელში. გადასახადების გამოკლებით წმინდა მოგება 40 მილიონ მანეთს აღემატება.

კანადის სასოფ.-სამეურ. კოოპერატივების გაერთიანება

ამჟამად კანადა ხორბლის მთავარი ექსპორტიორია მსოფლიო ბაზარზე. ბაზარზე გამოტანილი ხორბლის უმრავლესობა მოდის კანადის სამი პროვინციიდან: მანიტობა, სასკაჩევან და ალბერტა. ამ პროვინციების ფერმერები შეკავშირებული არიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაერთიანებაში და ერთიანი ფრონტით გამოდიან პურის გასაღების დროს. გაერთიანებაში 125.000 წევრი შედის. თუ რა გავლენით სარგებლობს ეს გაერთიანება. ამას ნათელყოფს თუგინდ ის ფაქტი, რომ წარსულ წელს მათ დათესეს 13,2 მილიონი აკრი მიწა 21 მილიონი აკრიდან, რომელიც უჭირავს პურის ნათესებს ამ სამ პროვინციაში.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ოპოზიცია ლენინიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს

გუშინ საღამოს 6 საათზე შესდგა ქალაქის რაიონის შემდეგი უჯრედების ჯგუფური კრება. თბილისის აღმასკომის 1 და 2 სტამბა, პოლიგრაფტრესტის 1, 2, 3, 4 სტამბისა, ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა, პოლიგრაფსკოლა, გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, „ტემპა“, ცეკავშირის სტამბა, „წითელი მებრძოლი“-ს სტამბის და ამიერ-კავკასიის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს.

კრებამ მოისმინა ამხ. ი. დარახველიძის მოხსენება ოპოზიციის გამოსვლის შესახებ კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა ამხ. დარახველიძის მოხსენება, ჯგუფური კრება აღშფოთებით აღნიშნავს, რომ ოპოზიციონურ ბელადების ზინოვიევის, ტროცკის და კამენევის ახალი გამოსვლა—ეს არის ფრაქციული ბრძოლის გაგრძელება პარტიის და ლენინიზმის წინააღმდეგ.

კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციის ბელადებმა თავისი გამოსვლებით კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე ცხადჰყვეს, რომ მათ არა თუ დაარღვიეს 16 ოქტომბერს პარტიის წინაშე დადებული ვალდებულებანი, არამედ ისინი სულ უფრო და უფრო შორდებიან პარტიას.

კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიცია თავის ფრაქციულ მუშაობაში ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. ჯგუფური კრება მთელს პარტიასთან ერთად ერთხელ და სამუდამოთ მოითხოვს: დეე ოპოზიციამ აშკარად სთქვას—ვის მხარეზეა ის, პარტიის, ლენინიზმის, თუ ტროცკიზმისა და ოტო ბაუერის?

ვინც პარტიის წინააღმდეგ გამოდის, ის გამოდის ამავე დროს ლენინიზმის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) და კომინტერნის მთლიანობას!

გადამწყვეტი ბრძოლა გაკოტრებული ოპოზიციის წინააღმდეგ!

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტ. საკონტ. კომისიის პლენუმი ოპოზიციის წინააღმდეგ

ბაქო, 17 დეკემბერი. ბიუჯეტის შესახებ კამათის დამთავრების და ამხ. ალიევის საბოლოო სიტყვის შემდეგ ცეკას და ცენტრ. საკონტ. კომისიის პლენუმმა მოისმინა ამხ. მირზოიანის ცნობა ოპოზიციის ახალი გამოსვლის შესახებ კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე.

პლენუმმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის სხდომამ მოისმინა რა მოხსენება ოპოზიციის უკანასკნელი გამოსვლის შესახებ კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე, სცნო:

1) ოპოზიციის გამოსვლა კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე არის იმავე დროს საკავშირო კომპარტიის კონფერენციის გადაწყვეტილებათა გასაჩივრება და დისკუსიის საერთაშორისო მასშტაბით გადატანის ცდა;

2) ოპოზიცია თავის გამოსვლით პლატფორმას აძლევს მთელ ოპოზიციას კომინტერნში, (მაგ., პარტიიდან გამორიცხულ კორშს, რუტ ფიშერს და მასლოვს გერმანიაში, სუვარინს და როსმერს საფრანგეთში, ბორდიგას იტალიაში) კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. კორში, რუტ ფიშერი და სუვარინი, რომელნიც გამორიცხული არიან პარტიიდან, გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის და ჩვენი რევოლიუციის წინააღმდეგ.

ზინოვიევის, ტროცკის და კამენევის გამოსვლა ობიექტიურად არის მხარის დაჭერა იმ ვაჟბატონებისათვის, რომელნიც ბრძოლას აწარმოებენ კომინტერნის წინააღმდეგ;

3) ოპოზიციამ თავისი გამოსვლით დაარღვია მიცემული შეპირება ყოველგვარი ფრაქციული ბრძოლის შეწყვეტის შესახებ საკავშირო კომპარტიისა (ბ) და მისი ცეკას წინააღმდეგ. ოპოზიციის ბელადებმა არა თუ არ შესწყვიტეს ბრძოლა საკავშირო კომპარტიის (ბ) წინააღმდეგ, არამედ გადაიტანეს ეს ბრძოლა საერთაშორისო მასშტაბში, შეეცადენ ამით, რომ კომინტერნის წინააღმდეგ აემხედრებიათ მისი მთავარი სექციები, საკავშირო კომპარტია (ბ) და უცხოეთის პარტიების ყველა ოპოზიციონური ძალები;

4) აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისის პლენუმი კატეგორიულად გმობს ოპოზიციის ახალ ცდას, რომ დისკუსია გამართოს საერთაშორისო მასშტაბით იმ საკითხების ირგვლივ, რომელნიც უკვე გადაწყვეტილ იქნენ მე-15 პარტკონფერენციის მიერ. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 კონფერენციამ ოპოზიციის შეხედულებანი ჩვენი რევოლიუციის ხასიათისა და სოციალიზმის ჩვენს ქვეყანაში აღმშენებლობის შესახებ დაახასიათა, როგორც სოციალ-დემოკრატიული გადახრა.

იმ დროს როცა ჩვენი პარტია გამოდის იქიდან, რომ ოქტომბრის რევოლიუცია არის სოციალისტური რევოლიუცია, ოპოზიცია ჩვენი რევოლიუციის სრულიად სხვა ხასიათიდან გამოდის, იმ დროს, როცა ოპოზიციის ბანაკში არის უიმედობა და იჭვი სოციალიზმის საბჭოთა კავშირში აღმშენებლობის შესაძლებლობაზე პარტია გამოდის იქიდან, რომ ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს და ავაშენებთ კიდეც.

ოპოზიციის უიმედობას და მისი სოციალ-დემოკრატიულ გადახრას პარტია უპირდაპირებს ლენინურ დასმას საკითხისა იმის შესახებ, რომ ჩვენ გვაქვს ყველა აუცილებელი პირობები სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის.

5) აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმი გამოსთქვამს რა თავის აღშფოთებას ოპოზიციის ახალი ანტილენინური ცდის წინააღმდეგ დარწმუნებულია, რომ კომინტერის აღმასკომი, საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 პარტკონფერენციის მსგავსად, ერთსულოვან პასუხს გასცემს ამხ. ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის და სხ. სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებებს. საკავშირო კომპარტია (ბ) მთელ კომუნისტურ ინტერნაციონალთან ერთად, ოპოზიციონერთა „პორაჟენცული“ პოზიციის მიუხედავად წავა სოციალიზმის აღმშენებლობის გზით და სძლევს ყველა შინაგან წინააღმდეგობებს“. (ადს).

ოპოზიციის ახალი გამოსვლების წინააღმდეგ

ხარკოვი, 17 დეკემბერი. ხარკოვის წარმოებებში მოხდა უჯრედების კრებები. რომლებმაც ერთხმად დაგმეს დარღვევა ოპოზიციის მიერ იმ ვალდებულებათა, რომელნიც მათ იკისრეს 16 ოქტომბრის განცხადებით.

საოკრუგო კონფერენციები მოგილევსა და ბაროსოვში მიღებულ რეზოლიუციებში აცხადებენ პროტესტს ოპოზიციის ახალი გამოსვლის წინააღმდეგ და მოუწოდებენ ძმურ კომპარტიებს სასტიკი პასუხი გასცენ ტროცკიზმს.(ადს)

მოსკოვის მუშების ხმა

მოსკოვი, 17 დეკემბერი. მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებათა უჯრედების კრებებზე სასტიკი რეზოლიუციები იქნა გამოტანილი ოპოზიციის ახალი გამოსვლების გამო კომინტერნის პლენუმზე.

კრასნოპოლიანის უჯრედის (მოსკოვის მაზრა) კრება გმობს ოპოზიციას და მოუწოდებს ყოველ წევრს საკავშირო კომპარტიის ცეკას ირგვლივ დარაზმვისაკენ.

ასეთივე რეზოლიუციები იქნა მიღებული ქარხანა „წითელი პროლეტარის“, ჩითის ფაბრიკის უჯრედების და ლენინგრადისა და სხვა ქალაქების პარტკრებების მიერ. (ადს).

პარტკონფერენციები

ლენინის რაიონის მე-7 პარტკონფერენცია.

17 დეკემბრის საღამოს სხდომაზე გრძელდება კამათი თბილისის კომიტეტის ანგარიშის გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ნოზაძემ, ვარლამოვმა, ვუნტიკოვმა, ურიველაძემ, ლაშქარაშვილმა ვაშაკიძემ, ანდრიანოვმა და სხ. ამხანაგები, უმთავრესად, ეხებოდენ: საბინაო კოოპერატიულ მშენებლობას, ბიუროკრატიზმთან ბრძოლას, სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციას, პარტიის ზრდის მოწესრიგების საკითხებს და სხვა.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ხვანიძის საბოლოო სიტყვა. მან ამომწურავი პასუხი გასცა მოკამათე ამხანაგებს.

ხვანიძის სიტყვის შემდეგ კონფერენციამ თბილისის კომიტეტის მუშაობის გარშემო მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ლენრაიონის მე-7 პარტკონფერენცია მოისმინა რა თბილისის კომიტეტის მუშაობის ანგარიში მის ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ხაზს სცნობს სწორად, წარმოებულ მუშაობას კი დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ რაიკომის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ლენრაიკომის მდივანი ამხ. **ქავთარაძე.** მომხსენებელი ეხება ლენინის რაიონის წარმოებებს, უმთავრესად საყუდს და სახელოსნოებს. 1923 წელში მთავარ სახელოსნოებში მუშაობდა 2226 მუშა, წელს მათი რაოდენობა აღწევს 2682-ს. საყუდში 1923 წელში მუშაობდა 1624 მუშა, 1926 წელს კი 2551. რაიკომის მიერ ყურადღება ექცეოდა საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცოცხლებას. რაც შეეხება რაიონის პარტორგანიზაციას, მასში სულ ირიცხება 1893 წევრი და 775 კანდიდატი. შარშან კი ორგანიზაციაში გვყავდა 1509 წევრი და 775 კანდიდატი. ქალების რაოდენობა ორგანიზაციაში ასეთია: 60 წევრი და 74 კანდიდატი. მუშების რაოდენობა არის 2088—ანუ 78 პროცენტი, დანარჩენი კი არის მოსამსახურეები და გლეხები. რაიონული კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს და გეგმიან მუშაობაზე გადასვლას. უჯრედებს უკვე შედგენილი აქვთ როგორც სამთვიური სამუშაო გეგმა, ისე ყოველთვიური კალენდარული გეგმა. რაც შეეხება უჯრედებთან უშუალო კავშირს, ეს საქმე კარგად იყო დაყენებული. კომკავშირზე ხელმძღვანელობაც რაიკომის მხრივ დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ძირითად უჯრედებში მოისუსტებს. საკლუბო მუშაობა წინად მოისუსტებდა, უკანასკნელ ხანებში რაიკომმა ამასაც მიაქცია შესაფერი ყურადღება და დღეს საკლუბო მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ხშირად ვიწვევდით აგრეთვე აქტივის კრებებს,სადაც ვსვამდით პარტცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს. პარტორგანიზაციის გავლენა უპარტიო მასაზე იზრდება; მთავარ სახელოსნოებში 2632 მუშაა.

ბორჩალოს სამაზრო პარტკონფერენცია

ლიუქსემბურგი, 17 დეკემბერი. გაიხსნა ბორჩალოს სამაზრო პარტკონფერენცია. დღის წესრიგშია: მოხსენება მე-15 პარტკონფერენციის შედეგებზე, სამაზრო კომიტეტის ანგარიში და სხ. საკითხები. (ადს).

რა გააკეთა ლენინის რაიკომმა

საორგანიზაციო მუშაობა

საქ. კომ. პარტ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების მუშაობა ტარდებოდა გეგმის მიხედვით. მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს თვით. უჯრედების გადასვლა გეგმიან მუშაობაზე და პარტორგანიზატორთა ინსტიტუტის შემოღება. რაიონის 148 პარტორგანიზატორი მჭიდროთ აკავშირებს პარტორგანიზაციას უპარტიო მასასთან.

ამას წინედ მოწვეულმა ორგანიზატორთა თათბირმა დაამტკიცა თავისი ცხოველმყოფელობა. ამ თათბირზე, მთელ რიგ სხვა საკითხებს გარდა, მოსმენილ იქნა უჯრედთა მდივნების ან. ლენ. კომკავშირის, მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილების ანგარიში და სხ. მოხსენებების ირგვლივ იძლეოდენ პრაქტიკულ შენიშვნებს და მითითებებს

უჯრედებთან ცოცხალი კავშირის გაბმის მიზნით, რაიკომის ყველა ინსტრუქტორები და განყოფილებათა გამგეები მიმაგრებული არიან ცალკე უჯრედებზე.

ლენრაიონის ორგანიზაციაში ითვლება 2.668 კომუნისტი, მათგან პარტიის წევრები შეადგენენ 70,9 პროცენტს, ქალები—2,2 პროცენტს. წლის განმავლობაში ორგანიზაცია გაიზარდა 19,2 პროცენტით. პარტიის წევრთა და კანდიდატთა რიცხვის შეფარდება ეხლა უფრო ნორმალურია. მუშათა პროცენტის ერთგვარი შემცირება (3.3 პროცენტით) და მოსამსახურეთა პროცენტის გადიდება აიხსნება ხელახალი აღრიცხვით და რაიონის შევსებით დაწესებულებებში ახალ შემოსულ პარტიულების ხარჯზე. რაიკომმა უკვე აიღო მუშათა პროცენტის გადიდების კურსი ახლად შემოსულთა ხარჯზე.

ასაკის მიხედვით—პარტიულთა უმრავლესობა 1895წ. და ადრე დაბადებულნი, ე. ი. ორგანიზაციის ზრდა სწარმოებს უფრო საშუალო ასაკის და სათანადო საწრმოო სტაჟის მქონე მუშების ხარჯზე.

ძირითადი პარტიული მასა, პარტიული სტაჟით 1924-26 წლ. (69,7), ამტკიცებს პარტიის გავლენის ზრდას და მისდამი ლტოლვას. დაზგის მუშა-პარტიული—69,5 პროც., გლეხი—30,5 პროც..

მუშაობა პარტდისციპლინის ასამაღლებლად მიდის ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარების გზით. გამონაკლისს ძალიან იშვიათ შემთხვევაში აქვს ადგილი.

პრაქტიკულ მუშაობაში პარტიული, პროფესიონალური, კოოპერატიული და სხ. ხაზით მონაწილეობას ღებულობს 1.535 პარტიული, ე. ი. 57,5 პროც. რაიონში 29 პირია დაწინაურებული. შედგენილია დაწინაურების გეგმა. არსებობს სპეციალური კომისია დაწინაურებულთა აღრიცხვისათვის და დაწინაურებულის შემდგომში განვითარებისათვის; რაიკომმა 2-ჯერ მოაწყო დაწინაურებულთა თათბირი.

კომკავშირზე ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში რაიკომს აღებული აქვს კურსი კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულ ინსტიტუტის გამოჯანსაღებისა, პარტგავლენის გაძლიერებისა და კომკავშირში პარტაქტივის გაზრდაზე.

პროფმუშაობაზე ხელმძღვანელობა გამოიხატა დელეგატთა ინსტიტუტის რეორგანიზაცია-გადახალისებაში, საამქროში ბიუროების რეორგანიზაციაში, რკ. გზის პროფკავშირთა საუბნო კომიტეტთან ერთად შეთანხმებული ბრძოლის წარმოებაში უმუშევრობის წინააღმდეგ და სხვა.

უპარტიოთა შორის მუშაობა მიდის, უმთავრესად მათი მოზიდვის ხაზით უჯრედების სხდომებზე (210 კრებას 20.000 მეტი უპარტიო დაესწრო) და პრაქტიკულ მუშაობაში მათი ჩაბმით (14,7 პროცენტი).

პარტგავლენა რაიონში საშუალოდ 27 პროცენტს უდრის, ხოლო მთავარ სახელოსნოებში ის 46 პროცენტამდეა ასული.

აგიტ-პროპ-მუშაობა

რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობის დამახასიათებელ მომენტებს საანგარიშო პერიოდში წარმოადგენდა: 1) პარტაღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება, 2) მიმდინარე პოლიტიკურ კამპანიების ჩატარება, 3) მოხალისე ორგანიზაციების პარტაღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება და მათი ჩამოყალიბება, 4) მუშა-აგიტატორთა და პროპაგანდისტთა კადრის მომზადება და 5) კომკავშირის და პროფკავშირების პოლიტგანმანათლებელ მუშაობაზე პარტხელმძღვანელობის გაძლიერება. ყველა ამ პუნქტების განსახორციელებლად გატარებულ იქნა მთელი რიგი ორგანიზაციული ზომებისა.

ამ საანგარიშო პერიოდში ჩამოყალიბდა საა-გიტაციო კოლეგია, რომელსაც ჰქონდა 16 სხდომა, სადაც გაარჩია 74 საკითხი.

საგიტაციო მუშაობა. საგიტაციო მუშაობის მხრივ ძირითად მიღწევად უნდა ჩაითვალოს კამპანიების გარშემო წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის პრაქტიკულად გატარება. ამით აიხსნება ჩატარებულ კამპანიებში მუშა-მოსამსახურეთა მეტი მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია: კლუბებში 13 აგიტკამპანია, საუჯრედო და ჯგუფურ კრებებზე 20 საგიტაციო პოლიტკამპანია. აღსანიშნავია როგორც პარტიულთა, ისე უპარტიოთა უფრო მეტი აქტიური მონაწილეობა.

მე-14 პარტყრილობის დადგენილებათა შესასწავლად რაიონში მოწყობილია 6 სპეციალური პარტწრე, 88 მსმენელით.

აგიტატორთა შემადგენლობა რაიონში ასეთია: რაიონული მასშტაბის აგიტატორი—58, საშუალო საუჯრედო მასშტაბის აგიტატორი 170, ჩვეულებრივი აგიტპროპაგანდისტი—202 და პროპაგანდისტი—34.

საპროპაგანდო მუშაობა. წარსულ სასწავლო წელში მთელ რაიონში მოწყობილი იყო 44 სკოლა, 1004 მსმენელით. პოლიტსკოლის მუშაობაში შემდეგ ნაკლულევანებებს ჰქონდათ ადგილი: უჯრედების პარტგანმანათლებელი მუშაობის საკმაოდ შეუფასებლობა, მტკიცე საპროპაგანდო დღეების უქონლობა, სათანადო შენობების უქონლობა, პროპაგანდისტთა კადრის ნაკლებობა და 1-ლ და მე-2 საფეხურის სკოლებისათვის ქართულ ენაზე საჭირო მასალების უქონლობა. ყველა ამ ნაკლის წინააღმდეგ რაიკომის საგ.-საპრ. განყოფილებამ მიიღო საჭირო ზომები. ამ ნაკლულევანებათა აღმოფხვრაში არა ნაკლები როლი შეასრულა მეთოდიურმა და საინსპექციო ბიურომაც.

წარსულ სასწავლო წელში 43 სკოლიდან გამოშვებულ იქნა 644 მსმენელი. 1926-27 სასწ წ. პოლიტსკოლების ქსელის გაფართოებისათვის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ივლისიდანვე შეუდგა.

ამ ჟამად მოქმედობს 35 პოლიტსკოლა, პირველი საფეხურის 12 სკოლა, მეორე საფეხურის 16 და 7 საბჭოთა პარტსკოლა, 1062 მსმენელის საერთო რაოდენობით. დეკემბერში განზრახულია 2 ლენინური წრის მოწყობა, 60 მსმენელით. საერთო ნაკლად უნდა აღინიშნოს მსმენელთა სუსტი დასწრება მეცადინეობაზე და, აგრეთვე, არა დამაკმაყოფილებელი მოწყობილობა.

საკლუბო მუშაობა. პარტხელმძღვანელობის გასაძლიერებლად საკლუბო მუშაობაზე კლუბების გამგეობებთან მოწყობილია კომუჯრედები, ხოლო საერთო ხელმძღვანელობისათვის —საკლუბო კომისია რაიკომის საგ.-საპრ. განყოფილებასთან. თუ საანგარიშო წლის დასაწყისში პლეხანოვის სახელობის კლუბში ითვლებოდა 1500 წევრი, ამჟამად მათი რიცხვი 3000 ავიდა; ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, სადაც ითვლებოდა 700 წევრი, ხოლო ამჟამად ითვლება 1500.

კლუბის წევრთა შორის სწარმოებს როგორც მასიური, ისე კულტურულ-განმანათლებელი და, აგრეთვე, სწრეო მუშაობა. წრეებში ჩაბმულია 507 წევრი. რაც შეეხება კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, სურათი ასეთია: ჩატარებულია 17 ლექცია, 5 ექსკურსია, 49 ფასიანი კინო-სურათი, 12 უფასო კინო-სურათი, 21 ფასიანი და 60 უფასო წარმოდგენა.

ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობა. რაიონში მუშაობს 4 საზოგადოება: სოფლისა და ქალაქის კავშირის, წერკუმსი, რემედასი და ავიაქიმი. მოიკოპლებს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ამ საზოგადოებათა წევრებს შორის. სოფ. და ქალ. კავშირის საზ-ბა აერთიანებს 5148 წევრს, ავიაქიმი—4528, წერკუმსი—3000 და რემედასი—6000. წერკუმსი შედარებით ახალგაზრდა საზოგადოებაა და ამიტომაც ნაკლებ წევრებს ითვლის. ყველა ამ საზოგადოებებს ხელმძღვანელობს თბილ. კომიტ. საგ.-საპრ. განყოფ. ჩამოყალიბებულ ფრაქციების საშუალებით.

კომკავშირელთა, პიონერთა და მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობა. აგიტკამპანიის ჩატარებაში მუშა და გლეხ-ქალთა შორის, რაიკომის აგიტპროპი ღებულობდა უშუალო მონაწილეობას დირექტივების მიცემით და ამ კამპანიის ჩასატარებელი გეგმების შედგენით. რაც შეეხება ხელმძღვანელობას კომკავშირის მუშაობაზე, რაიკომის აგიტპროპმა სათანადო ყურადღება მიაქცია პოლიტგანმანათლებელ მუშაობას, პროპაგანდისტთა გამოყოფით და სათანადო დირექტივების მიცემით. არა ნაკლები ყურადღება მიექცა, აგრეთვე, ახალგაზრდა პიონერთა შორის მუშაობას. ორჯერ მოწვეულ იქნა პიონერ-კოლექტივებზე მიმაგრებულ პარტიულების თათბირი. გამოკვლეულ იქნა აგრეთვე პიონერ-კოლექტივების ხელმძღვანელი შემადგენლობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პიონერ-ორგანიზაციების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გ. პ.

—:—

ლენინურ ცეკასთან ერთად

10 დეკემბერს შესდგა დუშეთის სამაზრო მერვე პარტკონფერენცია, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. ჯაფარიძის მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ. მოხსენების შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის ორგანიზაციის მერვე სამაზრო პარტ-კონფერენცია ქ. დუშეთის კომუჯრედების წევრთა თანადასწრებით, მოისმინა რა მას ამხ. ჯაფარიძის მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ, სავსებით და მთლიანად იწონებს და უერთდება საკავშირო კ. პ. (ბ) მე-15 პარტ-კონფერენციის ყველა გადაწყვეტილებებს, რომელნიც აგებული არიან ლენინიზმის პრინციპებზე.

სამაზრო პარტ-კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) მე-15 პარტ-კონფერენციამ სავსებით სწორათ სცნო საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას პოლიტიკა და მის მიერ წარმოებული მუშაობა, როგორც საშინაო სოციალისტურ აღმშენებლობის ისე საგარეო საკითხებში.

მე-15 პარტ-კონფერენციამ ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა და დაადასტურა, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა არის ერთად-ერთი სწორი ლენინიზმის საფუძველზე აშენებული პოლიტიკა, რომელმაც განამტკიცა მუშების და გლეხების კავშირი და რომელიც საშუალებასაც გვაძლევს მნიშვნელოვანი მიღწევები სოციალისტურ აღმშენებლობაში და კერძოთ კი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში.

მე-15 პარტ-კონფერენციის მიერ ერთსულოვანი გადაჭრა ყველა საკითხების აშკარა გამომხატველი არის პარტიის ბოლშევიკური რიგების სიმტკიცის და უდრეკი რწმენის, რომ შესაძლებელია სოციალიზმის შენება ერთ ქვეყანაში და რომ ჩვენ მას უკვე ვაშენებთ.

კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ის სასტიკი მარცხი, რომელიც განიცადა ახალმა ოპოზიციონურმა ბლოკმა, მაჩვენებელი არის პარტიული მასების საკმაო პოლიტიკური მომზადების და პარტიის აბსოლიუტური მთლიანობის, რომლის მტკიცე და შეურყეველ კედლებზე დაიმსხვრა ოპოზიციონური ბლოკი.

კონფერენცია კმაყოფილებას გამოსთქვამს ახალი ოპოზიციონური ბლოკის ლიდერების განცხადების გამო, რომლითაც ისინი უარს აცხადებენ ანტი-პარტიულ გამთიშავ ფრაქციულ მუშაობის წარმოებაზე, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ ახალი ოპოზიციონური ბლოკის ლიდერებმა თავის განცხადებაში არ უარყვეს მათი პრინციპიალური შეცდომები და როგორც განცხადებიდან, ისე მათი კონფერენციაზედ გამოსვლებიდან აშკარათ სჩანს, რომ ისინი ფიქრობენ მომავალშიც დაიცვან თავისი შემცდარი იდეური შეხედულებანი.

სამაზრო პარტ-კონფერენცია სთვლის, რომ ეს შეხედულებანი მე-15 პარტ-კონფერენციის მიერ სავსებით სწორათ იქნა შეფასებული, როგორც სოციალ-დემოკრატიული გადახრა.

ოპოზიციონური ბლოკის შეფასება სოციალიზმის მშენებლობის შეუძლებლობის შესახებ ერთ ქვეყანაში, გლეხების როლის და მასთან პროლეტარიატის დამოკიდებულების საკითხში, ეჭვს გარეშეა, სოციალ-დემოკრატიული გადახრა არის და უარყოფა ლენინიზმის მოძღვრებისა.

რჩება რა ოპოზიცია შემცდარ პრინციპიალურ შეხედულებებზე, შესაძლებლობას იტოვებს კვლავ განაახლოს ბრძოლა პარტიაში თავის შემცდარ იდეური შეხედულებების დასაცავათ, რითაც ის შეიტანს არევ-დარევას პარტიაში და შეაფერხებს პარტიის შემოქმედებითი მუშაობის წარმატებით მსვლელობას. ამიტომ კონფერენცია საჭიროთ სცნობს გაგრძელებული იქნეს დაუნდობელი ბრძოლა ოპოზიციონური ბლოკის შემცდარ იდეურ შეხედულებების წინააღმდეგ, მანამ სანამ ოპოზიცია უარს არ განაცხადებს თავის პრინციპიალურ შეცდომებზე და სანამ აღდგენილი არ იქნება პარტიაში სრული იდეური მთლიანობა.

კონფერენცია აღშფოთებას გამოსთქვამს ადგილობრივი ოპოზიციის ზოგიერთ ხელმძღვანელების განცხადების გამო, რომლითაც ისინი უარს აცხადებენ ანტიპარტიულ ფრაქციულ გამთიშავ მუშაობაზედ, მაგრამ ამავე დროს რჩებიან ოპოზიციონური ბლოკის შემცდარ პრინციპიალურ შეხედულებაზე და შესაძლებლობას იტოვებენ გაავრცელონ პარტიაში უიმედობა სოციალისტური აღმშენებლობისადმი და პანიკიორობა.

კონფერენციას საჭიროთ მიაჩნია გაგრძელებული იქნეს ბრძოლა ადგილობრივ ოპოზიციონერების შემცდარ შეხედულებების წინააღმდეგ. პარტია შესძლებს დაუმტკიცოს და განუმარტოს ადგილობრივ ოპოზიციის ხელმძღვანელთ, რომ ისინი ასცდენ ლენინურ გზას და აიძულებს მათ სცნონ თავისი პრინციპიალური შეცდომები და დახდგნენ სწორ ლენინურ გზაზე.

კონფერენცია იმედს გამოსთქვამს, რომ სანამ გვიან არ არის, ადგილობრივი ოპოზიცია სცნობს თავის შემცდარ პრინციპიალურ შეცდომებს, დაუბრუნდება პარტიას და ჩაებმება მასთან ერთად მიმდინარე აღმშენებლობითი მუშაობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიამ უნდა მიიღოს მათ წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები, რათა საბოლოოთ აღმოფხვრილი იქნეს პარტიაში ყოველგვარი ანტი-ლენინური გადახრები.

კონფერენცია მოუწოდებს დუშეთის ორგანიზაციის ყველა კომუჯრედებს და პარტ-ამხანაგებს, რათა დაუყოვნებლივ შეუდგნენ მე-15 პარტ-კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესწავლას, ხელი შეუწყონ და შეუდგნენ მის პრაქტიკულათ ცხოვრებაში გატარებას.

კონფერენცია აღუთქვამს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას, რომ დუშეთის პარტ-ორგანიზაცია ცეკასთან ერთად იქნება ყოველგვარ ანტი-პარტიულ და ანტი-ლენინურ გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას! გაუმარჯოს პარტიის შემოქმედ მუშაობას!

გაუმარჯოს პარტიის კოლექტიურ ხელმძღვანელს საკავშ. კ. პ. (ბ) ლენინურ ცეკას!“

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

კომკავშირის ზრდა

ქუთაისი, 17 დეკემბერი. ახ. ლენ. კომკავშირის ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციაში 1-ლ დეკემბრისათვის ითვლებოდა 4.194 წევრი და 847 კანდიდატი. (ადს).

ფ. მახარაძის სახელობის კლუბი

ქუთაისი, 17 დეკემბერი. 15 დეკემბერს ქუთაისის რკინის გზის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა ქუთაისის რკინის გზის მუშათა კლუბს—„ხელოვნებას" უწოდოს ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის კლუბი. (ადს).

ფოთის ნავთსადგურში

ფოთი, 16 დეკემბერი. ნოემბრის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურში მოვიდა 7 უცხოეთის გემი, რომელთაც უცხოეთში გაიტანეს 3500 ტონა ძირ-ტკბილა. (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

საწარმოო-ეკონომიური კომისიები

ცხინვალი, 17 დეკემბერი. ყველა წარმოება-დაწესებულებებთან შექმნილია საწარმოო-ეკონომიური კომისიები. ამ კომისიების ამოცანაში შედის შრომის ნაყოფიერების ამაღლება ყველა-წარმოება-დაწესებულებებში საშუალებათა და ენერგიის მაქსიმალური მომჭირნეობის გზით. (ადს).

ახალი საავადმყოფო

ცხინვალი, 17 დეკემბერი. ორთევის რაიონის სასოფლო საბჭო შეუდგა საავადმყოფოს აგებას საავადმყოფოს აშენება დაჯდება 10.000 მან., და უნდა დასრულდეს 1927 წლის ზაფხულს.

ორთევის რაიონში არსებული საფერშლო პუნქტი გადაკეთდება სამკურნალო პუნქტად საცალოიო სადგურით. (ადს).

წერილები

დაკვრითი ამოცანა

უკვე დაიწყო მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ამ აღწერის მნიშვნელობაზე ბევრი დაიწერა და ითქვა. ეხლა დრო აღარ არის ამაზე სიტყვის გაგრძელებისა. საჭიროა მუშაობა და დაუღალავი მუშაობა, რომ აღწერა წარმატებით ჩატარდეს.

განსაკუთრებით ძნელია საადმწერო მუშაობა სოფლის პირობებში. მოსახლეობის დაქსაქსულობა, ცუდი გზები, ზოგან ზამთრის სუსხი, თოვლი და სხვა, ყველაფერი ეს სერიოზულ დაბრკოლებებს წარმოადგენს აღწერისათვის სოფლად. ამას თან ერთვის საადმწერო აპარატის რიცხობრივი სიმცირე და მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენილობა. ეს მოსაზრებები თავიდანვე იქნა გათვალისწინებული და აღწერის ვადა სოფლად ერთი ორათ იქნა გადიდებული.

მიუხედავად ამისა სოფელი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. მოწინავე გლეხობა, სოფლის ყველა კულტურული ძალები, ყველა საზოგადოებრივი და საბჭოთა ორგანოები ფეხზე უნდა დადგენ ამ ხნის განმავლობაში და ყოველ მხრივ უნდა შეუწყონ ხელი აღწერის წარმატებით მსვლელობას.

პირველ რიგში აქ პარტია და კომკავშირი უნდა იდგეს. ეს ორგანიზაციები როგორც ყოველთვის, ეხლაც უნდა გახდენ აღწერის ხელმძღვანელებათ. ბევრ შემთხვევაში აღწერის ჩამტარებელ ორგანოებს დასჭირდებათ სხვადასხვა სახის დახმარება ადგილობრივ საბჭოთა, სამეურნეო თუ კულტურულ დაწესებულებებისაგან. პარტიამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ ეს საჭიროება დაუყოვნებლივ იქნას დაკმაყოფილებული.

სოფლის ინტელიგენტური ძალების უმრავლესობა უშუალოდ ჩაბმულია აღწერაში. მაგრამ ისიც არის, რომ ნაწილი ამ ინტელიგენციისა საადმწერლო მუშაობის გარეთაა დარჩენილი. საჭიროა ამ უკანასკნელების ამოძრავებაც. საჭიროა მათ გააჩაღონ საპროპაგანდო მუშაობა. რომ მათ აღმწერლებს გაუადვილონ მათზე დაკისრებულ საქმის შესრულება.

უნდა გაიგოს ყველამ, უნდა შეითვისოს მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ, რომ აღწერა ხდება ამავე მშრომელთა საკეთილდღეოთ, ჩვენი ეკონომიური და კულტურული წინმსვლელობისათვის ხელის შესაწყობათ. საყოველთაო აღწერაში მონაწილეობა არის იგივე საზოგადოებრივი მუშაობა. ამ მუშაობაში ჩარევა არ უნდა დაიზაროს არც ერთ შეგნებულმა მშრომელმა, მით უფრო, რომ ეს მუშაობა [illegible] და დაკვრითი ხასიათისაა.

რაზიკა.

ჩვენი ცხრაწლედი

(წერილი გარე-კახეთიდან)

საგარეჯოს ცხრაწლედს არა აქვს დიდი ისტორია, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში მან მიიპყრო თემის ყურადღება. ამჟამად საგარეჯოს ცხრაწლედში არის 21 ჯგუფი, ერთი საბავშო ბაღით. მასწავლებელთა რიცხვი უდრის 27, მოწაფეთა კი 918. მეცადინეობა სწარმოებს ორ წყებად. ღარიბ გლეხების შვილები 75 პროცენტამდეა, დანარჩენი მოწაფეები მოსამსახურეების და სხვების შვილებია. სკოლას აქვს ქიმიის და ფიზიკის კაბინეტები. საჭიროა და შესაძლებელიც სხვა კაბინეტების მოწყობა. მაგრამ ბინის სივიწროვე გასაქანს არ იძლევა. სკოლა მოთავსებულია სამ შენობაში და შეიცავს მთელ 12 ოთახს. სკოლას თითქმის ყველა დარგში დიდი მიღწევები აქვს. სასოფლო სამეურნეო განხრას შეიძლება არსად ისეთი ნაყოფი არ გამოეღოს, როგორიც საგარეჯოს ცხრაწლედში. სკოლას აქვს ბაღი. სივრცით 1 დეს. და 900 კვ. საჟენი: ეს ბაღი სკოლამ შეიძინა, ააშენა იქ სახლი. ბაღი დაგეგმილია და შიგ გაშენებულია სხვადასხვა მცენარეები: საცდელი, სამყენი, სადედე, ბოსტნეულობა და სხვა.

სკოლამ გასულ წელს საკუთარი საშუალებით გააკეთა 6 ღუმელი („პარნიკები"). ამჟამად სკოლას აქვს გასაყიდი ნამყენი ვაზი 1.000 მანეთის, გამოწერილია სკოლის ხარჯით 30.000 მანეთის ამერიკული ლერწი. ამ დღეებში სკოლამ დაიწყო თავის საშუალებებით და დაამთავრა კიდეც არანჟერეის დიდი ქვის და აგურის შენობა. ეს მიღწევები აიხსნება სკოლის ადმინისტრაციის კარგი ხელმძღვანელობით, მასწავლებლობის აქტიურობით და მაზრის განათლების განყოფილების განსაკუთრებული ყურადღებით.

ამჟამად სკოლა განიცდის ბინის უკიდურეს სივიწროვეს. სკოლის ადმინისტრაციის, ადგილობრივ ხელისუფლების და მოსახლეობის მთელი ყურადღება აქეთკენაა მიქცეული. არჩეულია საამშენებლო კომისია, რომელიც შეუდგა მუშაობას, მაგრამ მუშაობის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა, რადგანაც სკოლის ეზო არ იტევს ორ, გინდ ერთ ოთახის მომატებასაც კი. ამისათვის საამშენებლო კომისია, მოსახლეობაც და ადგილობრივი ხელისუფლებაც დადგა სხვა გზას, რაც ეცნობა თბილისის აღმასკომს. უკანასკნელის მიერ გამოყოფილია საგარეჯოს 9-წლედის მდგომარეობის გამაუმჯობესებლად კომისია ამხ. ლადო სუხიშვილის თავმჯდომარეობით. გარეჯელები ამ საქმით დიდად დაინტერესებულნი არიან.

მუშურ-გლეხური მთავრობა შესძლებს დახმარება გაუწიოს საგარეჯოს 9-წლედის შენობის აგებაში.

იერემი იმნაიშვილი.



საგარეჯოს 9-წლედის ახლად აგებული არანჟერეა

მუშათა ცხოვრება

საჭიროა გამოცდილი აგენტები

9 დეკემბერს 21 ს. 45 წ. სადგ. ნავთლუღმა გამოგზავნა სადგ. თბილისში მატარებელი № 452. გადმოცემის სახით შემადგენლობაში იყო 46 დატვირთული რონოდა, რომლის წონა შეადგენდა 52.000 ფუთს. ეს ნავთლუღმა იმ დროს გამოგზავნა, როდესაც სადგ. თბილისის მორიგი აგენტის მიერ სად. ნავთლუღს ქონდა სამატარებლო ელწერით მიცემული გაფრთხილება, რომ ადგილის უქონლობის გამო გადმოცემას თბილისი ვერ მიიღებდა. თბილისს შეეძლო მიეღო მხოლოდ ორთქლმავალი, ამას ატყობინებდა სად. თბილისი ელწერილი № 57, 46 და 59-ით.

მაგრამ ამ გაფრთხილებას არ მიაქცია ყურადღება სადგ. ნავთლუღის მორიგე აგენტმა და გამოგზავნა მატარებელი № 452, ამ მატარებელს უკან გამოაყოლა ორთქლმავალი მიმოწოლის სახით. ამასთან რამოდენიმე წუთის შემდეგ გამოგზავნა მეორე მატარებელი № 722 და ორთქლმავალი ას სენალის ჩიხში, ორთქლმავალმა ჩიხიდან წამოიღო კიდევ 8 დატვირთული რონოდა. ამას ატყობინებს სამატარებლო ელწერილი № 60.

ვინაიდან სადგ. თბილისს არ ქონდა ადგილი და ამაზე არ მიეცია ცოდნა სადგ. ნავთლუღისათვის, ამიტომ ნიშანსვეტი თბილისს არ გაეღო. მატარებელი მიუახლოვდა სადგურს. სადგ. თბილისის მემთავრემ გამოიღო ნიშანსვეტი და შემოიყვანა კიდეც სადგურში.

აქ შეიძლებოდა იყო უბედური შემთხვევა დატრიალებულიყო. მაგრამ უფროსი მორიგე მესრის მიერ და მემანქანის დიდი სიფრთხილით მატარებელი 1-ლი ისრის საგუშაგოზე იქნა შეჩერებული, რის გამო აცილებულ იქნა თავიდან მოსალოდნელი უბედური შემთხვევა.

ამას შემდეგ დათვალიერებულ იქნა სადგ. თბილისის ნიშან სვეტი და აღმოჩნდა, რომ ნიშანსვეტი გაფუჭებული იყო.

საინტერესოა, ის, თუ როგორ გამოუშვა ეს მატარებელი სად. ნავთლუღმა; აშკარაა, რომ სად. ნავთლუღმა მატარებელი № 452 შეუთანხმებლად გამოუშვა სად. თბილისში და კიდევ მის კვალზე მეორე მატარებელი გამოუშვა. აქ აშკარად დამნაშავეა სად. ნავთლუღის მორიგე მოქ. მეტრეველი, მასში რომ მან გამოუშვა მატარებელი № 452 მიმწოლით. ამას კიდევ მოჰყოლა (ისიც ღამით) მატარებელი № 722 და სხ. მასთან მოქ. მეტრეველს მემანქანისათვის არ მიუცია გაფრთხილება, რაც ყოვლად დაუშვებელია.

უკანასკნელ ხანებში წესების დარღვევამ სისტემატიური ხასიათი მიიღო, რაც ტრანსპორტს ანადგურებს და საჭიროა ასეთ უთავბოლობას ბოლო მოეღოს.

ი. არუსპირელი.

ვის შეამცირებენ

შტატის შემცირება უხარიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ისარგებლებს ამ შემთხვევით და უმიზეზოდ (თუმცა მიზეზს გამოაცხობენ) კარში გაიდევნიან ისეთებს, რომლებიც ხელს უშლიან მათ არა კანონიერ მოქმედებას. ზოგიერთი შეეცდება პირველად შტატს გარეშე მოჰყოლოს მუშკორები, როგორც მათთვის „ხელშემშლელნი".

შემდეგ არასიმპატიური ელემენტები, როგორც არის მაგალითად ხანშესული მოსამსახურეები, ქალია ის თუ კაცი. ეს იმიტომ, რომ მოხუცები ვერ იმსახურებენ თავიანთ ქუაზე.

ამ შტატის შემცირების შესახებ თბილისის [illegible] გავრცელებულია მუშა-მოსამსახურეებში ხმები, თუ ვინ უნდა იქნეს კარში გაგდებული. მე ჯერ ჯეროვნით თავს ვიკავებ მათი სახელობრ აღნიშნვაზე.

ყოველ შემთხვევაში ზოგიერთები, ვისაც შემოკლების გატარება ევალებათ, უნდა იქნენ გაფრთხილებული, რომ პატიოსანი და ერთგული მუშაკები არ იქნენ კარში გაყრილნი.

მუშკორს არაფერი არ დაემალება და ვნახოთ რითი გათავდება საქმე.

მუშკორი ლევ· გუნია.

ელექტრო-მანტიორების კურსები

ა. წ. დასაწყისში რკ. გზ. საუბნო პროფკავშირმა რკ. გზ. მთავარ სახელოსნოებში მუშებისათვის გახსნა ელექტრო-მანტიორების ექვსთვიანი კურსები. ხსენებულ კურსების ხელმძღვანელად დაინიშნეს საუკეთესო ელექტრონობის მცოდნე ინჟ. ი. დ. თაქთაქიშვილი. კურსის პირველ გახსნის დროს მსმენელები იყვნენ 40-მდე კაცი, რომლებიც სარგებლობდენ მუშაობის შემდეგ თავისუფალი დროით. ამა წლის ნოემბერში გამოცდაზე გამოცხადდა 24 კაცი, რომლებმაც დააკმაყოფილებლად ჩააბარეს გამოცდები, ზოგმა ელმანტიორებისა და ზოგიერთმა ელ-მანტიორის თანაშემწის.

მსმენელები თეორიულად საკმაოდ მომზადებულნი არიან. მადლობის ღირსია, როგორც რკ. გზ. საუბნო პროფკავშირი, ისე ხელმძღვანელი ინჟინერი თაქთაქიშვილი, რომელიც არაფერს ზოგავდა და ხშირად დანიშნულ დროზე მეტ დროს ანდომებდა მსმენელებთან მეცადინეობას.

აქ აღსანიშნავი ისაა, რომ ელექტრო მანტიორი კი არ თავდება მარტო თეორიული ცოდნით. აქ პრაქტიკაცაა საჭირო.

ამას კი უნდა მიაქციოს ყურადღება რკინის გზის საუბნო პროფკავშირმა და ყველა ეს ხალხი დაუშვან, სადაც ეს მოსახერხებელია, პრაქტიკული ცოდნის შესაძენად.

მუშა ხიონელი.

თქვენ წერეთ, ჩვენ კი ვკითხავთ

ასე ამბობენ ზოგიერთი სადგურის მორიგეები. დიახ, ჩვენ ვწერთ დაკონკრეტებულ თითებით და პასუხსაც მოვითხოვთ. პასუხს მოვსთხოვთ ყველა იმ პირებს, რომლებიც ხელს უშლიან წესიერ მოძრაობას, აჩერებენ ორთქმავლებს, აკავებენ შემადგენლობის გუნდებს და გადაზიდვა-გადმოზიდვას.

აი მაგალითიც.

9 დეკემბერს ორთქლმავალი № 2180 გამოვიდა საყუდიდან 4 საათზე. მემანქანე სტაროსტინი იდგა სადგურის ჩიხში 11 ს. და 15 წუთი. შემდეგ ჩააყენეს შემადგენლობის ქვეშ.

მეორე შემთხვევა, იმავე დღეს ორთქლმავალ № 1036 მემანქანე ვ. მანთაშევი საყუდიდან გამოვიდა 6 საათ. გაიგზავნა მხოლოდ 11 ს. და 5 წუთზე № საგეზო 319.

გეკითხებით მოქალაქე მორიგეებო, ეს წესიერი მუშაობაა თქვენს მიერ? ეკითხეთ რაც სისტემატიურად თქვენს შესახებ იწერება და მოვალეობაში დაიწერება. ყოველ შემთხვევაში სხვები კი კითხულობენ და სათანადო ზომებსაც ღებულობენ.

სცდობს თქვენს წარმოებას თვალყური ადევნოთ, ჩვენ ვწერთ, თქვენ კი უნდა წაიკითხოთ და წაკითხულს კარგად ჩაუკვირდეთ...

მუშკორი შავსოფლელი.

მუშათა ქრონიკა

კავშირებში

— **სარევიზიო კომისიების კონფერენცია.** სამშაბათს, 21 დეკემბერს საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის ახალ დარბაზში დანიშნულია საერთო საქალაქო კონფერენცია სარევიზიო კომისიის წევრებისა. აღნიშნულ კონფერენციაზე საყოველთაოა დაესწრონ ფაბკომადგილკომების, კავშირების ი. გამგეობის და პროლეტარულ სტუდენტების ორგანიზაციების სარევიზიო კომისიის წევრები.

— **420 მანეთის დახმარება.** ა. წ. 15 დეკემბერს სამეოფსაბჭომ მიიღო ინგლისის ვაჭრულ მემაღაროეების სასარგებლოთ 420 მანეთი.

— **პროფ-სკოლის მოწყობა.** კომუნალურ მეურნეობის კავშ. ც. გ. სასურველად სცნო მიმდინარე სამოსწავლო წლიდან მოაწყოს ორი პროფსკოლა: რუსულ და ქართულ ენებზე.

— **დახმარება.** აფხაზეთის პროფსაბჭომ ა. წ. 4 დეკემბერს გადმოგზავნა საქ. პროფ-საბჭოში ლენინაკანის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ 450 მანეთი და ინგლისის მემაღაროეთა დასახმარებლათ 300 მან.

მოსახლეობის აღწერა

მუშა-გლეხ კორესპონდენტთა მოვალეობა

(საყოველთაო აღწერის გამო)

დღეიდან საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკების თვალუწვდენელ სივრცეზე იწყება მოსახლეობათა აღწერა, რომელსაც პირველად აწყობს მუშურ გლეხური რესპუბლიკა. რა მოვალეობანი გვაწევს მუშკორებსა და გლეხკორებს აღწერის დროს? ვინაიდან მუშკორ-გლეხკორთა მასა წარმოადგენს საზოგადოების მოწინავე რაზმს და მას უშუალო კავშირი აქვს როგორც ფაბრიკა-ქარხნებთან, ისე სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან, ამიტომ აღწერის დროსაც მუშკორ-გლეხკორები აქტიურად უნდა დაეხმარონ იმ პირებს, რომლებიც დაგზავნილი იქნებიან ხელისუფლების მიერ აღწერის ჩასატარებლად.

ქალაქად მცხოვრებთა უმეტესობისათვის გასაგებია აღწერის ჩატარების მიზანი და მიმართულება, ვინაიდან ქარხნებში მუშათა მასები წინასწარ უკვე გაცნობილი არიან აღწერის მნიშვნელობას.. ჩვენ ვიცით, რომ ქალაქის მუშები და საზოგადოების საუკეთესო ნაწილი თავიანთი აქტიური მონაწილეობით და დახმარებით ხელს შეუწყობენ აღმწერელთა რაზმების მუშაობას და გაჰფანტავენ ყველა იმ ჭორებს, რომლებსაც შეიძლება განგებ ავრცელებენ ზოგიერთი მოჩხირკედელავე პირები. მუშკორებს, მაშასადამე, ევალებათ გასწიონ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა ფართო ფენებში სათანადო აგიტაცია, რომ დაწყებული მოსახლეობის აღწერა ნაკარნახევია მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიერ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რათა სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში ნათლად იქნეს გამორკვეული ის ნაკლი, რაც აქამდე ჯერ კიდევ ჩვენთვის უცნობია და გაუგებარია მოსახლეობის სწორი აღწერის უქონლობის გამო.

სულ სხვა სურათს წააწყდებიან აღმწერლები სოფლად. სოფლებში ბლომად არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც გარკვეულნი არ არიან აღწერის მნიშვნელობაში. ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით, ყოფილი თავად-აზნაურობა მტრულადაც არის განწყობილი მშრომელთა ხელისუფლებისადმი. ასეთ ელემენტებს შეუძლიათ სახელი გაუტეხონ აღწერას და სულ სხვა მიზნები მიაწერონ მას. „კულაკები" შეეცდებიან გლეხობას, სხვანაირად, თავისებურად განუმარტონ მოსახლეობის აღწერის საკითხის და მას სხვანაირი შინაარსი მიაკუთვნონ., სოფლებში მოკალათებული „კულაკებსა" და სხვა საბჭოთა წესწყობილებისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს შეუძლიათ განიმეორონ იგივე ზღაპრები აღწერის შესახებ, როგორც ამას სჩადიან ქალაქის წვრილფეხა და მსხვილფეხა სპეკულიანტები, რომელთაც დღე და ღამ მარტო გადასახადი აკერიათ პირზე და იმით აშინებენ ზოგიერთ შეუგნებელ მცხოვრებთა ნაწილს.

ამიტომ სოფლად გლეხკორი აღწერის მთელი კამპანიის დროს ფხიზლად უნდა იდგეს თავის სადარაჯოზე და ხელი შეუწყოს აღმწერლებს. მან უნდა შეაგნებინოს გლეხთა ფართო მასას, რა მნიშვნელობა აქვს თვით გლეხის ოჯახისათვის მომავალ აღწერის სწორად, უტყუარად ჩატარებას.

გლეხკორის მოვალეობაა, როგორც სოფლის მოწინავე ელემენტის და საზოგადო მოღვაწის, განუმარტოს გლეხობის იმ ნაწილს, სადაც მისი სამოქმედო ასპარეზია, აღწერის მნიშვნელობა და ამასთან დაკავშირებული ის შედეგები, რომლებსაც მისცემს მოსახლეობის აღწერა საბჭოთა ხელისუფლებას მომავალი უფრო გეგმიანი მუშაობის გაცხოველების საქმეში.

მუშკორ-გლეხკორთა მასები აღწერის კამპანიის ჩატარების საქმეში, სხვებთან ერთად მოწინავე რაზმს უნდა შეადგენდენ.

მუშა შ. ჯაში.

საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან

მოსკოვი, 17 დეკემბ. ყველა კუთხეებიდან მოდის ცნობები აღწერის დაწყების შესახებ. ოდესაში აღწერა ბაკებში და ღამის გასათევ ადგილებში, რომელიც ღამით დაიწყო, წარმატებით ჩატარდა.

ხარკოვიდან იტყობინებიან, რომ აღწერა დაიწყო უკრაინის სოფლებში. ნიკოლაევში უპატრონო ბავშვთა და უთვისტომოთა აღწერა დაიწყო ღამით. ბალტიდან იტყობინებიან, რომ მოლდავიის ყველა ქალაქებში ჩატარებული იქნა აღწერა სასტუმროებში და ღამის გასათევ ადგილებში.

ლენინაკანის მაზრაში

ლენინაკანი, 17 დეკემბ. აღწერის ჩასატარებლად მაზრაში გაიგზავნა 16 ინსტრუქტორი. ქალაქში 26 ინსტრუქტორია. ღამით დაიწყო უპატრონო ბავშვთა აღწერა. სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები ყოველგვარ დახმარებას უწევენ აღმწერლებს.

სოხუმში

სოხუმი, 17 დეკემბ. გუშინ საღამოს ჩატარებული იქნა უპატრონო ბავშვთა აღწერა. დღეს დილით აღწერა დაიწყო სოხუმში.

სტატ. ცენტრალ. განყოფილ. სამმართ. ცნობა

ადგილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, აღწერა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მოსახლეობისა მთელ საქართველოში დაიწყო 17 დეკემბერს ღამის 12 საათიდან.

აღწერა ყველგან ნორმალურათ მიმდინარეობს. შტატი დამაკმაყოფილებელია. აღწერა, ზამთრობით მიუვალათ ცნობილ ადგილებზედაც დაიწყო. რეგისტრატორები შედიან ზემო-სვანეთში, ხევსურეთში და ფშავეთში. მცხოვრებლები ყველგან დიდის ხალისით ხვდებიან აღწერას.

მთავრობისა, პარტიისა და სახელმწიფო სტატისტიკის ცენტრალურ ორგანოების ხელმძღვანელობით და აგრეთვე პროფორგანიზაციების და ადგილობრივ ხელისუფლების მხურვალე დახმარებით სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოს მიერ ჩატარებული წინასწარი მუშაობა იძლევა რწმენას, რომ აღწერა საუცხოვოთ ჩატარდება.

თბილისში აღწერა დიდის ხალისით მიმდინარეობს. ქალაქის ყველა რაიონებში გაკრულია მთავრობის მოწოდებები, აფიშები და პლაკატები. პლაკატებით მორთულია ტრამვაის რონოდებიც. აგიტაციისათვის გამოყენებულია კინოც, სადაც ეკრანზე უჩვენებენ სხვადასხვა ლოზუნგებს.

აღწერა თბილისში

თბილისი გამოყოფილია ცალკე საადწერო ერთეულათ. აღწერას ხელმძღვანელობს თბილისის აღმასკომის სტატისტიკური სამმართველო. ქალაქი დაყოფილია 12 რაიონად. 16-დან 17 დეკემბერს ღამით დაიწყო მოსახლეობის აღწერა სასტუმროებში, თავშესაფარებში და დახურულ სახლებში.

საადწერო შტაბი სისტემატიურად აძლევს ყოველგვარ განმარტებებს, დარიგებებს და გაფრთხილებებს აღმწერლებს, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევენ კონტროლიორები.

საქართველოს ყველა კუთხეებიდან მოდის [illegible] დეპეშები, რომ აღწერა კარგად მიმდინარეობს. საადწერო შტაბი ყოველ საათში გზავნის დეპეშებს ადგილებზე და დაკავებული აქვს პროვინციასთან მჭიდრო კავშირი.

თბილისის ტრამვაის ვაგონებზე, სახლებზე და საზოგადოებრივ ადგილებზე გაკრულია სააგიტაციო პლაკატები.

მუშაობა სწარმოებს მთელი დღე და ღამის განმავლობაში.

დილიდანვე აღმწერლები შეუდგენ მინდობილ უბნებში აღწერის ჩატარებას და საადწერო ფორმულიარების შევსებას.

მარტო მეოთხე რაიონში პირველ დღესვე შეუვსიათ 1400 საპირადო ფურცელი ანუ საშუალოთ თითო აღმწერელს 55 ცალი.

გუშინდელი აღწერის შედეგები საღამოს კიდევ არ იყო გამორკვეული. ყველა აღმწერელს რომელმაც რამე ვერ გაიგო, ან ცუდათ გაიგო ეძლევა ახსნა-განმარტება და დარიგება. აღწერაზე გასვლამდე მათ მიეცათ უკანასკნელი დარიგებანი და ყველამ საქმეს მიაშურა. ინსტრუქტორები განუწყვეტლივ დადიან თავ-თავიანთ უბნებში და თვალყურს ადევნებენ თუ როგორ

აღწერის ხელმძღვანელთა თათბირი

17 დეკემბერს საღამოს შესდგა თბილისის საადწერო უბნების ხელმძღვანელთა თათბირი. რომელზედაც მოხსენებებით გამოვიდნენ აღწერის ხელმძღვანელები პირველ დღეს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ორატორები აღნიშნავენ უბნებში აღწერის ჩატარების პირობებს, რეგისტრატორთა შრომის უნარიანობას. ყველანი გამოსთქვამენ იმედს, რომ ეს აღწერა ჩატარებულ იქნება ყველა აღწერებზე უკეთ და სრულად.

მოხსენებების დასრულების შემდეგ შემოტანილ იქნა მრავალი შეკითხვები, რაზედაც პასუხი გასცა ამხ. არჩ. რუხაძემ.

ამხ. რუხაძე აღნიშნავს, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ და გადავლახოთ ყოველგვარი დაბრკოლებები, რაც ხელს შეგვიშლის აღწერის წარმატებით ჩატარებაში. ისეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობას არ ესმის არც ქართული და არც რუსული ენა მონახულ უნდა იქნენ თარჯიმანები. გაურკვეველი საკითხები, ორატორის სიტყვით, გაშუქებული იქნება პრესაში და ინსტრუქტორებმა და ხელმძღვანელებმა უნდა ისარგებლონ ამ მასალებით.

დასასრულ ამხ. რუხაძე აღნიშნავს იმ ოპტიმისტურ განწყობილებას, რომელიც შეიქნა აღწერის პირველი დღიდან და რაც, მისი აზრით, იმედს იძლევა აღწერის ბრწყინვალეთ ჩატარებისას.

თბილისის მაზრაში საადწერო საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. შ. კვატაშიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ მაზრის სოფლებში აღწერაზე მომუშავე შტატს უხდება ბევრი დაბრკოლების გადალახვა. მაგრამ მიუხედავად ამისა იმედია აღწერის უნაკლოთ ჩატარების.

აღწერა გუშინ დილიდან დაიწყო მაზრის ყველა ადგილებში. აღმწერლები უმთავრესად მასწავლებლები არიან, რომლებიც თავისუფლად ერკვევიან აღწერის საკითხებში.

განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს აღწერა თბილისის მახლობელ რაიონებში, სადაც უფრო კარგად მომზადებული შტატია.

ამით დასრულდა ხელმძღვანელთა თათბირი.

აღწერის ქრონიკა

ქუთაისში

ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ტყიბულში და მაზრის ყველა ადგილებში დაიწყო აღწერა 17 დეკემბრის დილით.

ხალხი დიდის აღფრთოვანებით ხვდება აღმწერლებს.

რაჭაში

გუშინ ცენტ. სტატ. სამმართველოს აღწერის განყოფილებამ დეპეშა მიიღო ონიდან, რომ აღწერა დაიწყო რაჭის ყველა რაიონებში.

გურიაში

17 დეკემბერს დილიდან აღმწერლები შეუდგენ გურიის ყველა სოფლებში აღწერის დაწყებას. მიუხედავათ განუწყვეტელი წვიმებისა, აღწერა მაინც წარმატებით მიმდინარეობს.

სენაკის მაზრაში

სენაკიდან მიღებული დეპეშის თანახმად მთელ მაზრაში აღწერას შეუდგენ, ამინდი ცუდია.

ლანჩხუთში

ლანჩხუთში დაიწყო მოსახლეობის აღწერა, რომელიც სრულიად ნორმალურად მიმდინარეობს.

სამხ.-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთის საადწერო განყოფილება იტყობინება ცხინვალიდან, რომ აღწერას შეუდგენ ყველა კუთხეებში.

მოსახლეობის დამოკიდებულება აღწერისადმი კარგია.

მაღლობ ადგილებზე ამინდი ხელს უშლის აღწერის ჩატარებას.

შორაპნის მაზრაში

ჭიათურიდან იტყობინებიან: 17 დეკემბერს დილით მაზრაში დაიწყო აღწერის ჩატარება. ამინდი ხელისშემწყობია.

მოსახლეობა მხურვალე თანაგრძნობით ეგებება აღწერას.

—:—

სტატ. სამმართველოს საყურადღებოთ

მეთორმეტე უბანში მოსახლეობის აღწერის ხელმძღვანელათ დანიშნულია ვიღაც ლანდია, რომელმაც მოადინა „რეფორმა" ძველი აღმწერლების დათხოვნით და 12 ახალის თავისი „ძმა-ბიჭების" მიღებით. როდესაც მასთან მიდიან თანამშრომლები განმარტებისათვის—ის ყვირის, ღრიალებს და უხეშათ იქცევა.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება.

გ—თ.

იოდი

მოსკოვის ქიმიო-ფარმაცევტიული ინსტიტუტის სამეცნიერო ტექნიკურ საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ბაქოს მახლობლად მდებარე იოდის საცდელ ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელი ტუმილო-დენისოვის მოხსენება ქარხნის მიერ იოდის მოსაპოვებლად წარმოებულ მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა იმ ამოცანების სიძნელე და სირთულე, რომელიც ხვდა ამ პირველ იოდის ქარხანას საბჭოთა კავშირში. ამ ჟამად ქარხანა რეგულარულად ამუშავებს დღეში ოთხ კილოგრამ იოდს; მცირეოდენი მოწყობის შემდეგ ქარხნის დღიური ნაყოფიერება აყვანილ იქნება 10 კილოგრამამდე.

საბჭომ სავსებით შესაძლებლად და მიზანშეწონილად სცნო იოდის მოპოვება აპშერონის ნახევარ კუნძულის [illegible] წყლებში; ამავე დროს საბჭომ უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია დიდი ქარხნის აგება რომანის სურახანის არეთან, სადაც იოდის ყოველწლიური მარაგი 450.000 კილოგრამს აღემატება. საბჭომ საჭიროდ სცნო იოდის მოსაპოვებლად საცდელი მუშაობის გაგრძელება. ამასთანავე გადასწყვიტა დაიწყოს მუშაობა ახალი ქარხნის პროექტის შესადგენად, რომლის ნაყოფიერება უნდა იქნეს 50.000 კილოგრამი. საბჭოთა კავშირი საჭიროებს სულ 100—150 ათას კილოგრამს. ამ ჟამად თითო კილოგრამი იოდი ღირს 40 მან.

კრედიტები

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მიიღო დადგენილება საკრედიტო ამხანაგობებისათვის სესხის გაცემის შესახებ; ეს სესხი საკრედიტო ამხანაგობებმა უნდა გაანაწილონ შემდეგნაირად.

მუშა-საქონლის შესაძენად—25.000 მანეთი. სასოფლო-მეურნეობისათვის საჭირო მანქანა-იარაღების შესაძენად—80.000 მანეთი, სასოფლო-სამეურნეო შენობების ასაგებათ—25.000 მანეთი და სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად—50.000 მანეთი.

მოკლევადიანი სესხის სახით საგლეხო მეურნეობის გასაუმჯობესებლად გაიცემა სულ 125.000 მანეთი, გრძელვადიანი სესხის სახით კი—85.000 მანეთი.

გარდა ამისა, სუბტროპიკულ მცენარეების კულტურის გასაძლიერებლად ბანკი გასცემს 10.000 მანეთს, მესაქონლეობისათვის—38.000 მანეთს, მეცხვარეობისათვის—15.000 მანეთს, აბრეშუმის თესლის დასამზადებლად—40.000 მანეთს, მერძეობისათვის—30.000 მანეთს, მეღვინეობისათვის—46.000 მანეთს და სახელმწიფო მეურნეობისათვის 27.000 მანეთს.

ა.-კავკ. ავიაქიმის ყრილობა

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს 6 საათზე ა.-კ. ავიაქიმის ბინაზე (კალოუბნის ქ., № 7), გაიხსნა ა.-კ. ავიაქიმის ყრილობა.

ამხ. მ. ორახელაშვილის სიტყვა

ყრილობა გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. მამია ორახელაშვილმა, რომელიც შესავალ სიტყვაში შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას და ავიაქიმის მიზნებს და ამოცანებს.

ამხ. მამია ამბობს, რომ ავიაციისა და ქიმიის მნიშვნელობა ძალიან დიდია. გარდა საკითხის წმინდა სამხედრო მხარისა, ავიაციას და ქიმიას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენი მეურნეობისათვის. ამისათვის მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია ავიაციისა და ქიმიისათვის სერიოზული ყურადღების მიქცევა და მათი განვითარებისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობა.

ამხ. მ. ორახელაშვილის სიტყვის შემდეგ, ყრილობა ირჩევს: საქმიან და საპატიო პრეზიდიუმებს, სამდივნოს, სამანდატო კომისიას, ამტკიცებს დღის წესრიგს და იმუშავებს რეგლამენტს.

ამხ. ლევანდოვსკის წინადადებით, ყრილობა საქმიან პრეზიდიუმში ირჩევს: ამხ. ორახელაშვილს, ლევანდოვსკის, ევიკოვს, სარქისიანს (სომხეთი)), აბაშიძეს (საქართველო), შუკიუროვს (აზერბეიჯანი), ჩარჩიანს (სომხეთი), მელნიჩენკოს (აზერბეიჯანი) და ტროფიმოვიჩს (თბილისის ორგანიზაცია).

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. სტალინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, კალ.ინინი და უნშლიხტი.

პრეზიდიუმების არჩევას, ყრილობა მქუხარე ტაშის ცემით შეეგება.

პირველ სხდომას თავმჯდომარეობს ამხ.ლევანდოვსკი.

ა.-კ. ავიაქიმის საქმიანობა

სამდივნოს, სამანდატო კომისიის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ, ყრილობა ისმენს ა.-კ. ავიაქიმის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. ბზეკალავას მოხსენებას, საზოგადოების მუშაობის შესახებ. მოხსენება შეიცავს საზოგადოების საქმიანობის დახასიათებას, საჰაერო ფლოტის და ქიმიის მრეწველობის მეგობართა საზოგადოებების გაერთიანებიდან—1926 წლის დეკემბრამდე.

მომხსენებელი ამბობს, რომ ა.-კ. ავიაქიმის მუშაობა განიყოფება ორ პერიოდათ—ზემოაღნიშნულ საზოგადოებების შეერთების მომენტიდან—ა. წ. თებერვლამდე და მის შემდეგ.

პირველ პერიოდს ახასიათებს ადგილებზე მაქსიმალური ინიციატივის გამოჩენა, ხოლო მეორეს კი მატერიალურ კრიზისის დასაწყისი საზ-ბაში ამჟამადაც ორგანიზაცია განიცდის მატერიალურ ხელმოკლეობას.

ეხება რა მუშაობის ცალკე მხარეების დახასიათებას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ წევრთა რიცხვი ა.-კავკასიის მასშტაბით უდრის 70.052 კაცს. სამივე რესპუბლიკაში საზოგადოებას ჰყავს—1204 უჯრედი, სამაზრო განყოფილებები, ავიაქიმის კუთხეები და წრეები.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას ჩაუტარებია კამპანიები: საზღვარ-გარეთის გადაფრენებისა, წევრების გადარჩევის, 14 ივლისი (ავიაქიმის დღე) და სხვა. გადაფრენების კამპანიის ჩატარების დროს შეუკრებიათ სულ—3.443 მან., აქედან მარტო საქართველოში შეკრებილია—2603 მან. მთელი თანხა გადაგზავნილია ცენტრში.

საზოგადოებას ამასთანავე ჩაუტარებია მუშაობა ავიასპორტის სფეროში და ნაწილობრივი მიღწევები ამ მხრივ აღსანიშნავია.

პოლონეთის გენერალური კონსული თბილისში

გუშინ ღამით თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის გენერალური კონსული თბილისში ბ. ზიგმუნდ მოსტოვსკი და ვიცე-კონსული ბ. ვდზენკოვსკი.

რამოდენიმე დღის შემდეგ თბილისში ჩამოვა საკონსულოს მდივანი და ტექნიკური პერსონალი, რის შემდეგაც საკონსულო მუშაობას დაიწყებს.

ახალი კონსული, როგორც მან განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, დაიბადა ლიუბლინის გუბერნიაში, ქ. პლავახში. დაამთავრა კიევის პირველი გიმნაზია და ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტი ლვოვის უნივერსიტეტში. ომამდი მუშაობდა პუბლიცისტად ლვოვის და ვარშავის ორგანოებში.

1920 წელში მუშაობა დაიწყო გარეშე საქმეთა სამინისტროში, სადაც უკანასკნელ ხანებში მსახურობდა საერთო დეპარტამენტში. ბ. მოსტოვსკი კონსულის თანამდებობაზე თბილისში დაინიშნა მიმდინარე წლის აგვისტოში.

საბინაო მშენებლობა

ა. კ. საგეგმო კომისიამ მიიღო საკავშირო დადგენილების პროექტი მუშათა საბინაო შენობების შესახებ, რომელშიდაც შეიტანა ზოგიერთი ცვლილებები.

ა. კ. საგეგმო კომისიის აზრით მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან არა ნაკლებ 75 პროცენტისა უნდა გადაირიცხოს მუშათა საბინაო მშენებლობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სახელმწიფო საკრედიტო დამზღვევ დაწესებულებათა ანუ წარმოებათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდები სავსებით უნდა გადაირიცხოს მუშათა საბინაო მშენებლობის ცენტრალიზაცია ქმნილ ფონდში.

იმ დაწესებულებათა სიაში, რომელნიც აწარმოებენ ანარიცხების შეტანას მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდში, ა. კ. საგეგმო კომისიამ შეიტანა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი კომუნალური წარმოებანი.

ამჟამად მოქმედ კანონმდებლობის ძალით მუშათა საბინაო კოოპერატივები განთავისუფლებული არიან სარეწაო და საშემოსავლო გადასახადებისაგან; აგრეთვე ის გარიგებანიც, რომელნიც დადებულია მშენებლობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, განთავისუფლებულია საგერბო ამონაღებიდან.

ახალი პროექტით შეღავათები რამოდენიმედ შეცვლილია. ა. კ. საგეგმო კომისია საჭიროდ სცნობს ამჟამად მოქმედი შეღავათების დატოვებას საბინაო კოოპერაციის ყველა დარგებისათვის.

საგეგმო კომისია საჭიროდ სთვლის აგრეთვე დაზღვევის შეღავათიანი ტარიფის გავრცელებას სახლების კაპიტალურ შეკეთებისათვის წარმოებულ მუშაობაზე.

წყალსადენი

თბილისის წყალსადენის სამმართველო ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში აწარმოებს მუშაობას წყალსადენის შესაკეთებლად. უკვე დამთავრებულია წყლისმიმღები სათავის შეკეთება და მოწყობა ფარების სისტემის, რომელიც მიმართულებას აძლევს წყლის მდინარებას წყალსადენში. მიმდინარე თვიდან სწარმოებს სათავის ყოველთვიური გაწმენდა, რისთვისაც შეზიდულია 9.000 ფუთი ახალი მიწა. სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს მინიმუმამდე შეამციროს მტკვრის წყალის რაოდენობა. ამ მიზნით განზრახულია გამოყენებულ იქნეს თბილისის ახლო მდებარე ყველა წყაროები. ამჟამად ვლდანის წყალთან უკვე აგებულია საკაპტაჟო კედელი, რაც წყალსადენს საშუალებას აძლევს მიიღოს აქედან 270 ათ. ვედრო დღე-ღამეში. სუფთა წყლის მისაღებად წყალსადენის სამმართველო აწარმოებს აგრეთვე მუშაობას მტკვრის ძველ კალაპოტში,—ქალაქის საწრეტის მახლობლად, სადაც მტკვრის წყალში მიმდინარეობს ნიადაგ ქვეშ-ქვეშაში. აქ წყალი განიცდის ბუნებრივ ფილტრაციას და არის მეტად სუფთა. წყლის დებეტი ამ მიდამოებში ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ ვარაუდით იგი 100 ათას ვედროზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ამჟამად თბილისში მოწოდებულ წყლის 33 პროცენტს წარმოადგენს წყაროს წყალი, მტკვრის წყალი კი შეადგენს 67 პროცენტს ე. ი. 1.100.000 ვედროს.

ყავარი

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციამ განიხილა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული პროექტი დადგენილებისა საქართველოს ტყეებში ყავრის დამზადების აკრძალვის შესახებ.

ამ საკითხის განსახილველად მოწვეული იქნა თათბირი, რომელსაც დაესწრენ სახალ. კომისართა საბჭოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირმა დადგენილების პროექტი მიიღო ზოგიერთი ცვლილებებით.

ვინაიდან ყავარი ზოგიერთ რაიონებში ერთად ერთ სახურავ მასალას წარმოადგენს და მისი დამზადების აკრძალვა შეაფერხებს სახლების აღმშენებლობას, თათბირმა სასურველად სცნო კრამიტის ქარხნების აღმშენებლობისათვის ხელის შეწყობა სხვადასხვა შეღავათების მინიჭების გზით. ამასთანავე სასურველად იქნა ცნობილი კრამიტის წარმოების სარეწაო, საშემოსავლო და სხვა გადასახადებისაგან განთავისუფლება 3—5 წლის ვადით.

კრამიტის ქარხნების ასაგებათ საჭირო სატყეო მასალა, თათბირის აზრით, გაცემული უნდა იქნეს უფასოდ. ქარხნების ასაგებად და ასამუშავებლად საჭიროა აგრეთვე სათანადო სესხი.

სამაზრო აღმასკომებს ევალებათ აკრძალონ ხე-ტყის გაცემა ყავრის დასამზადებლად. მათვე დავალებული აქვთ მიიღონ ზომები, რომ მაზრის ფარგლებში მცხოვრები მოსახლეობა ყავრის მაგივრად უზრუნველყონ სხვაგვარი სახურავი მასალით (კრამიტი, თუნუქი და ქვადაფი).

პოლიტკატორღელებში

საკავშირო პოლიტკატორღელთა საზ. საქ. განყ. საზოგადოების საბჭომ [illegible] 12 დეკემბრის [illegible] დაადგინა, სხვა საკითხებთა შორის, შემდეგი: საქ. „რემედას"-ის ცეკასთან ერთად 1-ლ იანვარს 1927 წ. გამართული იქნება უფასო საღამო პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში, ლენინის რაიონში, 1905 წლის რევოლიუციის აღსანიშნავად. საღამო იქნება შემდეგი პროგრამით: 1905 წ. რევოლიუციონური საერთო მიმოხილვა დიაპოზიტივებით; პოლიტკატორღელთა მოგონებანი გადასახლებულთა და რევოლ. საიდუმლო მუშაობაზე 1905 წ.; კაპიტალის ქვეყნებში პოლიტტუსაღთა მდგომარეობის მიმოხილვა; პროლეტარულ მწერალთა და მუშა-პოეტების გიგო ხეჩუაშვილის, შაქრო ნავთლუღელის, შინატებულის და სხვ. გამოსვლა საკუთარი ლექსებით. დასასრულ ლურჯხალათების გამოსვლა სხვადასხვა ნომრებით.

გარდა ამისა, კრებამ კონკრეტულად გადასწყვიტა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გაიშლიერონ მუშაობა საზ. „რემედას"-ში. ამის დამიხედვით გამოყოფილია 14 წევრი საზოგადოებისა და ისინი განაწილებულია სამუშაოდ შემდეგნაირად: 1-ლ რაიონში 3 კაცი, მე-2—2, მე-3—2, მე-4—2, „რემ." კომიტ.—2 და ცეკაში—3.

საბჭოს კრებამ გამოჰყო 2 ამხანაგი, რომელთაც დაევალა შეკრიბონ და დაამუშაონ საარქივო-რევოლიუციონური მასალები იმ მიზნით, რათა ისინი გამოყენებული იქნეს კრებულ—„კატორღა და გადასახლება"-ში დასაბეჭდათ.

პოლიტკატორღელთა საზ. საბჭოს განზრახული აქვს შეძლებისდაგვარად მართოს უფასო საღამოები სხვადასხვა რაიონებში.

შ—ხი.

ხელფასის მომატება

მეღითონეთა კავშირმა ახალი კოლექტიური ხელშეკრულებები დასდო ქარხანა „თემქა"-სთან, კომუნალური მეურნეობის მექანიკურ სახელოსნოებთან და თბილისის ელსადგურების სამმართველოსთან.

„თემქა"-სთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულების ძალით, ქარხნის ხარჯ სამუშაოზე 50 პროც. გავრცელებულია შავ მუშებზე და დამხმარე პერსონალზე. ხელშეკრულებაში შეტანილი იყო ერთი მუხლი, რომლის ძალით ნარდათ მომუშავეებს უნდა მისცემოდათ უქმე და დასვენების დღეების წინადღის ორი საათის ხელფასი, მაგრამ ადმინისტრაცია ამაზე არ დათანხმდა; საკითხი გადატანილი იქნა საარბიტრაჟო კომისიაში, რომელმაც იგი მუშების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ვინაიდან კომუნალური მეურნეობის მექანიკურ სახელოსნოებში შრომის ხელფასი ჩამორჩენილია, ამიტომ კავშირის მიერ წამოყენებულ იქნა საკითხი ხელფასის ფონდის გადიდების შესახებ. ადმინისტრაცია არ დათანხმდა ამაზე. საკითხი გაირჩა არბიტრაჟში. ამ უკანასკნელის დადგენილების თანახმად, ხელფასი გადიდებულია 5 პროცენტით. შავი მუშების ხელფასი აყვანილია 33 მანეთამდე.

ელექტრო-სადგურების სამმართველოში სადგურებზე მომუშავე ელექტრო თარგის მუშების ხელფასი ჩამორჩენილად იქნა ცნობილი. ახალი კოლექტიური ხელშეკრულებით პირველი თანრიგის ხელფასი გადიდებული იქნა 15 პროც.; მომატება არ ეხება მექანიკოსებს, რომლებთანაც დადებულია ინდივიდუალური ხელშეკრულებები, და აგრეთვე იმ სახელოსნოებს. სადაც მუშები ნარდათ მუშაობენ.

გადიდებულია კონტროლიორების შვებულება ორი კვირიდან სამ კვირამდე.

ამ ჟამათ სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დასადებად ლითონის ტრესტთან და საფაბრიკო-საქარხნო სკოლასთან.

კანაფი

ა. კ. საგეგმო კომისიამ სასურველად სცნო კანაფის სათესი მოედნის გაფართოება ამიერ-კავკასიაში. სახელმწიფო მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელის ყრილობის საბჭოს წინადადება,—განთავისუფლებულ იქნეს კანაფის პლანტაციები სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, ა. კ. კომისიამ მიუღებლად სცნო რადგან ეს საშუალება კომისიის მიზანშეუწონლად მიიჩნია.

ერთად-ერთ ღონისძიებად, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს კანაფის კულტურის გავრცელებას, საგეგმო კომისიამ მიიჩნია კანაფის პროდუქტებზე რიგიანი ფასების დაწესება. კანაფზე ფასების დაწესების კრედ. გაცემის წესის გამომუშავების დროს, კომისიის დასკვნით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამჟამად ბამბაზე დაწესებული ფასების და ავანსის გაცემის პირობები, იმ მიზნით, რომ კანაფის კულტურის განვითარებამ არ გამოიწვიოს ბამბის ნათესების შემცირება მებამბეობის რაიონებში.

საზიზღარი მკვლელობის გარშემო

15 დეკემბერს მომხდარმა საზიზღარმა მკვლელობამ ვერის ხიდის მახლობლად (სანაპირო ქ. № 4) დიდი აღშფოთება გამოიწვია თბილისის მცხოვრებთა შორის.

უბედურების ადგილას აუარება ხალხი იყრის თავს. მათ აინტერესებთ ამ საზიზღარი მკვლელობის ყოველივე დეტალის გაგება.

ბინაში არავის უშვებენ, მას მცველი სდარაჯობს.

მკვლელობის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

პისკუნის ცოლი (მძიმედ დაჭრილი) ტატიანა მოთავსებულია რესპუბლიკის საავადმყოფოში მისი მდგომარეობა უიმედოა; ცნობიერება დაკარგული აქვს.

ყველა დახოცილებს მოხვედრილი აქვთ ნაგანის, მაუზერის და პარაბელიუმის ტყვიები. აღსანიშნავია, რომ ყველა მოკლულს ტყვიები მოხვედრილი აქვთ თავში.

დახოცილთა გვამები მოთავსებულია რესპუბლიკის პროზექტურაში. დღეს სპეციალური ექსპერტიზა შეამოწმებს გვამებს და გამოიტანს თავის დასკვნებს.

როგორც სჩანს, მკვლელობა საღამოთი ადრე არის მომხდარი. ყველა დახოცილები ტანზე ჩაცმულები აღმოჩნდნენ.

როგორც ეტყობა, თავდამსხმელები თავიანთი საზიზღარი საქციელის შემდეგ გადამხტარან მტკვრის მხრიდან ღობეზე და მიმალულან.

აღსანიშნავია, რომ თავდამსხმელებს თავიანთი ბოროტი ზრახვების უფრო ადვილად განხორციელების მიზნით პისკუნის ბინაში შესვლისას მოუკლავთ ძაღლი.

ამჟამად იმის თქმა, თუ რა ნიადაგზეა ეს საზიზღარი მკვლელობა ჩადენილი, გადაჭრით არ შეიძლება. ფიქრობენ, რომ ეს არის მკვლელობა ძარცვის მიზნით. ამ გარემოებას ნაწილობრივად ადასტურებს ის, რომ მომხდარი უბედურების შემდეგ ბინაში საოჯახო ნივთები ყირამალა იყო გადაბრუნებული.

ეჭვით დაპატიმრებულია რამოდენიმე კაცი.

ქრონიკა

იტალიის ელჩის გამგზავრება

16 დეკემბერს თბილისში ჩამოვიდა იტალიის ახალი ელჩი სპარსეთში ბ. დეფატანდისი.

გუშინ დეფატანდესი გაემგზავრა ბათომში, სადაც დარჩება რამოდენიმე დღე. ბათომიდან ის დაბრუნდება თბილისში და გაემგზავრება სპარსეთში.

ცვლილებები სახელმწიფო უნივერსიტეტში

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილების თანახმად სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტის სასწავლო გეგმაში შეტანილია შემდეგი ცვლილება: მეორე კურსის საგნებში—ვაჭრობა-მრეწველობის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ტრანსპორტის ეკონომიკა, რომელიც შევიდა პრაქტიკულ-პოლიტიკურ ეკონომიაში და რომელსაც წაიკითხავს ერთი ლექტორი. მეოთხე კურსის საგნებიდან სრულიად ამოღებულია: 1) წვრილი კრედიტის ორგანიზაცია, 2) საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია და პოლიტიკა და 3) სამრეწველო წარმოების ორგანიზაცია.

ზაჰესის ენერგიის ნიხრი

საბოლოოდ დამტკიცებულია ზაჰესის ენერგიის შემდეგი ტარიფი: სახელმწიფო და ქალაქის დაწესებულებებს კილოვატი მიეცემა 15 კაპეიკად; სახელმწიფო და საზოგადოებრივ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს—20 კაპ. კერძო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს—30 კ., მოტორებს—6 ნახ. კ., ტრამვაის—7 ნახ. კ., ქუჩის განათება—5 კ., წყალსადენს—3 კ., სამხედრო დაწესებულებებს (რომლებიც არის სახელმწიფო ბიუჯეტზე)—10 კ., კერძო ბინებს—10 კ.

ბამბის რაიონებში

ა.-კ. ბამბის კომიტეტის ცნობით, ა. წ. ნოემბრის თვეში ბამბის რაიონებისათვის კომიტეტის მიერ შემოზიდულია 155 ვაგონი ხორბალი. აქედან საქართველოს და აფხაზეთის ბამბის რაიონებისათვის 4 ვაგონი, სომხეთისათვის—77 ვაგონი და აზერბეიჯანისათვის—74 ვაგონი.

დახმარება კომერციულ განათლებას

თბილისის კომუნალურმა ბანკმა საქართველოს შ.-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ კომერციულ განათლების დამხმარე კომიტეტს ერთდროულ დახმარების სახით შესწირა 3000 მანეთი.

სანადირო იარაღები

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილებაში მოწვეულმა თათბირმა ნება დართო საზ. „დინამო"-ს აწარმოოს სანადირო იარაღებით ვაჭრობა საქართველოს ფარგლებში.

პაპიროსების გასაღება

ს. მ. უ. ს. ტრესტების ქუთაისის განყოფილებას ნოემბრის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში გაუსაღებია სულ 46.077 მანეთის პაპიროსები.

ნოემბრის განმავლობაში გასაღებულ იქნა 40 სულ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში სხვადასხვა სახელწოდების პაპიროსი.

თბილისის აღმასკომში

◆ **ენერგიის მიწოდება.** აბონენტებისათვის ზაჰესის ენერგიის მისაწოდებლად ქალაქში დადგმულია 50 სატრანსფორმატორო ბუდე.

◆ **უბედური შემთხვევები.** გასულ წელს ტრამვაის ხაზზე ადგილი ჰქონდა სულ 110 უბედურ შემთხვევას.

◆ **ტრამვაის ხაზი** ნაძალადევში წელს გაგრძელებული იქნება რაიონის ბოლომდე.

◆ **გზა.** თბილის-თიანეთის გზის შესაკეთებლად გადაიდო 6.570 მან.

◆ **სანიტ-განათლება.** სანიტსექციას დაევალა ებრაელთა უბნებში სისტემატიურად მოაწყოს სანიტგანათლების ხასიათის ლექცია-საუბრები.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **კოოპერატივები.** თბილისის მაზრაში ამჟამად ითვლება 16 კოოპერატივი, რომლებსაც აქვს სხვადასხვა ადგილას განყოფილებები, რიცხვით 59.

◆ **ნაწლავების გადამმუშავებელი ქარხანა,** რომელიც ეკუთვნოდა ქალაქის სასაკლაოს, გადაეცა საზოგადოება „ზაკუტილსირიოს".

◆ **ფართალი.** 6 დეკემბრამდე ბამბის მეურნე გლეხებს ამიერ-კავკასიაში დაურიგდა 7 ვაგონი ფართლეული.

განათლების სახ. კომისარიატში

◆ **თ. ღლონტის შვებულება.** სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე უნივერსიტეტის რექტორის თ. ღლონტისათვის ერთი წლის შვებულების მიცემის შესახებ.

◆ **არდადეგები უნივერსიტეტში.** სახელმწიფო უნივერსიტეტში საზამთრო არდადეგები დაწესებულია მომავალი წლის 15 იანვრიდან 1-ლ თებერვლამდე, ხოლო გამოცდების საზამთრო სესია 1-ლ თებერვლიდან 15 თებერვლამდე.

◆ **უნივერსიტეტთან არსებული სამეურნეო** კომიტეტი გაუქმებულია, ხოლო საკითხები, რომლებიც კომიტეტში ირჩეოდა, გადასაწყვეტად მიენდო გამგეობის წევრებს ი. თალაკვაძეს და პროფ. ა. რაზმაძეს.

◆ **კერძო მდგმურები.** უნივერსიტეტის გამგეობამ მიანდო ადმინისტრატიულ განყოფილებას უნივერსიტეტის შენობიდან გამოასახლოს კერძო მდგმურები.

◆ **სახელმძღვანელოები.** დაევალა კ. სულქველიძეს და ა. ცინცაძეს მოაწყოს და [illegible] უნივერსიტეტთან არსებული სახელმძღვანელო წიგნების კიოსკი და უზრუნველყოს იგი საჭირო სახელმძღვანელოებით.

◆ **კათედრების სამეცნიერო ძალებით უზრუნველყოფის** საკითხის მოსაგვარებლად არჩეულ იქნა კომისია პროფ. კეკელიძის, ა. ერქომაიშვილის და პროფ. რაზმაძის შემადგენლობით.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში

◆ **ჭლექის წინააღმდეგ** ბრძოლის გაძლიერების მიზნით, ჯანსახკომი თბილისში აწყობს ჭლექის საწინააღმდეგო ბრძოლის შემსწავლელ კურსებს საექიმო დაბალი პერსონალის მოსამზადებლად.

◆ **ექიმები.** მთელ რესპუბლიკაში ავტონომიურ ერთეულებიანათ აღრიცხულია 1443 ექიმი სპეციალისტი, მათ შორის 645 ქართველია, 400 სომეხი, დანარჩენი სხვა ეროვნების.

◆ **ვენერიულ სენთან ბრძოლის** გასაძლიერებლად გასულ წელს ჯანსახკომმა დაადგინა მაზრის საავადმყოფოებთან მოაწყოს 126 ვენეროლოგიური ახალი საწოლი.

◆ **მონასტერი-საავადმყოფო.** ბოდბის მონასტერში (სიღნაღის მაზრაში) ეწყობა საავადმყოფო.

◆ **თვალის ექიმობა.** წალკის საავადმყოფოსთან მოეწყო თვალის საექიმო კაბინეტი.

◆ **პოლიკლინიკა.** გორში ჯანსახკომმა გახსნა ახალი ამბულატორია-პოლიკლინიკა.

◆ **ბათომის მთავარ საავადმყოფოსთან** ჯანსახკომმა მოაწყო ვენერიული და თვალის სნეულებათა სამკურნალოები.

◆ **სანიტექიმები.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა 1927 წლიდან ყოველ მაზრაში თავის ხარჯით დანიშნოს თითო სანიტ-ექიმი.

◆ **კბილის სამკურნალო.** ყარაიაზში დამთავრდა კბილის სამკურნალო კაბინეტის მოწყობა.

სხვადასხვა

◆ **საავტომობილო მიმოსვლა.** საზოგადოება „საავტომობილო მრეწველობამ" სოხუმსა და ახალ სენაკს შორის მოაწყო საავტომობილო მიმოსვლა.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** შაბათს, 18 დეკემბერს საღამოს 8 საათზე ამხ. ხაჭაპურიძე გააკეთებს მოხსენებას: „შრომის სკოლა და აუცილებელი საზოგადოებრივი შრომა".

— **მოხსენება.** დღეს საღამოს 6 საათზე სამეურნეო ტეხნიკუმის დარბაზში (კამოს ქუჩა № 59) შესდგება ამხ. ფანცხავას მორიგი მოხსენება.

◆ **სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში** (ჯორჯიაშვილის ქუჩა № 5) კვირას აგრონომი სამადაშვილი წაიკითხავს მოხსენებას სასოფლო-სამეურნეო განათლების შესახებ.

— **ბეჭდვითი სიტყვის** მუშაკთა საერთო საქალაქო კონფერენცია გაიმართება კვირას, 19 დეკემბერს, დღის 4 საათზე პროფსაბჭოს ახალ დარბაზში (ყოფ. სასადილო).

დღის წესრიგში: 1. მოხსენება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ საბჭოს პლენუმის შესახებ, 2. მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ, 3. მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულებათა განახლების კამპანიის მსვლელობის შესახებ.

სასამართლო

ქალის გაუპატიურება

გასული წლის ზაფხულის თვეში ბრალდებული მიხეილ გოცირიძე თავისი მეგობრების: ალ. ჭელიძის, არშაკ აკოპაშვილის, ა. გოცირიძის და სხვების თანხლებით სოფ. აზამბურიდან (სართიჭალის თემი) მიდიოდენ მახლობელ სოფელში. „ძმა-ბიჭები" მიპატიჟებული იყვნენ ქელეხზე. როცა „მხიარული კამპანია" ქელეხიდან ბრუნდებოდა, გზაში მათ შეხვდათ ახალგაზრდა ქალები, რომლებიც თავიანთ სოფელში მიდიოდენ. ქალების დანახვაზე მიხეილ გოცირიძეს „ტრფობის ალმა" დაუარა და წინადადება მისცა მეგობრებს დაეწყოთ „მუშაობა". როცა სიტყვით ვერაფერი გახდენ, მაშინ „ძმა-ბიჭებმა" ერთი ახალგაზრდა ქალთაგანი ზინა ო—ნა ძალდატანებით გააუპატიურეს.

ამის შემდეგ ყველა ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

ზინა ო—ნამ განაცხადა ადგილობრივ მილიციაში, რომ ის ძალდატანებით გააუპატიურა ოთხმა კაცმა.

ეჭვით შეიპყრეს მიხეილ გოცირიძე. ზინა ო—მ ბოროტმოქმედი გამოიცნო.

შემდეგ დააპატიმრეს დანარჩენნი დამნაშავენიც.

ამ ჟამად საბრალმდებლო სკამზე ზის მხოლოდ მიხეილ გოცირიძე.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით დაიწყო ამ საქმის გარჩევა.

ბრალს სდებდა პროკურორი გრიგოლია., ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი შალიბაშვილი.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დანაშავედ.

სახელმწიფო ბრალდებულმა ამხ. გრიგოლიამ შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე ჭელიძის, აკოპაშვილის და ა. გოცირიძის, რომლებიც ამ ჟამად მოწმეებათ არიან გამოწვეული. პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

სასამართლომ დაადგინა: ჭელიძე, ა. გოცირიძე და აკოპაშვილი პასუხისგებაში მიეცეს ზ. ო—ნას ძალდატანებით გაუპატიურებისათვის. საქმე გადაეცეს გამომძიებელს დამატებითი გამოძიების მოსახდენად.

გუშინ ზემოთ ჩამოთვლილი ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს და გაგზავნეს სპეცდანიშნულების იზოლიატორში.

ოჯახური ტრაღედია

(მ. თვალაძის საქმე).

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. თენიეშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო მიხეილ თვალაძის (მე-4 სტამბის მკინძავი) საქმის გარჩევა.

ბრალს სდებს პროკურორი კიკაბიძე.

თვალაძეს ბრალდება დანით თავისი ცოლის—ვერას დაჭრა მოკვლის მიზნით.

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა ბრალდებული თვალაძე, რომელმაც თავის ჩვენებებში აღნიშნა, თუ რა მიზეზების გამო დასჭრა მან ცოლი.

ბრალდებული აღნიშნავს, რომ მან ცოლი შეირთო შუამავლის საშუალებით. რამოდენიმე ხნის განმავლობაში ცოლთან კარგს განწყობილებაში იყო.

მათთან სცხოვრობდა ბავშვი, რომლის შესახებ ვერა ამბობდა, რომ ჩემი დისწული არისო. მისი ცოლი სოფელში დაიარებოდა ხშირად. ქალის ასეთმა მოქმედებამ მასში ეჭვები აღძრა. მაგრამ დარწმუნებული იყო იმაში, რომ ცოლი მას არ უღალატებდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ბრალდებულმა ნაცნობისაგან ყური მოჰკრა ხმებს, რომ ვერა წინეთ სუსტი ხასიათის ქალი იყოვო.

ბრალდებულმა ცოლს მიმართა თხოვნით, ეთქვა მისთვის სინამდვილე მისი წარსული ცხოვრების შესახებ. ცოლი გამოუტყდა ქმარს იმაში, რომ მას ყოფილ ქმარისაგან ჰყავს ორი შვილი. ერთი, რომელიც მათთან სცხოვრობს, ხოლო მეორე კი გაგზავნილი ჰყავს სოფელში.

ბრალდებულს ცოლი უყვარდა და ამიტომ გადასწყვიტა შეურაცხყოფა არ მიეყენებინა ცოლისათვის ამ ნიადაგზე.

გავიდა ხანი. ხასიათით ცოლ-ქმარი ერთი-მეორეს ვეღარ ეწყობოდენ. ქალმა მეტის-მეტად ეჭვიანობა დაიწყო.

ბრალდებულს ვერა ხშირად უშვერი სიტყვებით მიმართავდა და თანაც ეტყოდა:

— მე პირვანდელ ქმარს მიტომ გავშორდი, რომ მეტად უხასიათო კაცი იყოვო.

ამის შემდეგ ცოლსა და ქმარს შორის მტრული განწყობილება ჩამოვარდა.

შემდეგ ვერას ვაჟებისაგან მოსდიოდა უსახელო წერილები ფოტოგრაფიული სურათით. როცა ქმარი ჰკითხავდა ცოლს ახალგაზრდების ვინაობის შესახებ, ცოლი ზოგს „ნათესავათ" ასაღებდა და ზოგს კი—„მეგობრათ".

ბრალდებულმა დაჟინებით სთხოვა ცოლს შეეწყვიტა აღნიშნულ პირებთან ყოველგვარი მიმოწერა. ქალი დათანხმდა.

ამის შემდეგ ბრალდებულის დაუკითხავად რაღაც „საქმისათვის" წავიდა იმერეთში. ამ დროს ბრალდებულმა მისი ცოლის სახელზე მიიღო წერილი; წერილის ავტორი უსაყვედურებდა ვერას იმას, რომ უკანასკნელმა თავი გაანება წერილების ხშირ-ხშირად წერას. როცა ბრალდებულის ცოლი სოფლიდან დაბრუნდა, თვალაძემ მოაგონა მას პატიოსანი სიტყვა, რომელიც მან ქმრის წინაშე დასდო. ვერა თავგამოდებით იცავდა თავის უდანაშაულობას. ბრალდებული მოთმინებიდან გამოვიდა და დანით ზურგში რამოდენიმე ჭრილობა მიაყენა ცოლს. როცა ვერა დასისხლიანებული დაინახა, ტირილი მორთო და ექიმის მოსაყვანად წავიდა.

ბრალდებულის ცოლი მიღებული ჭრილობებისაგან ადრე განიკურნა.

თავმჯდომარის შეკითხვაზე—ბრალდებულმა განაცხადა, რომ ვერას დაჭრა გამოწვეული იყო ოჯახის შეურაცხყოფის ნიადაგზე და თანაც დასძინა, რომ ბოროტმოქმედება მან ჩაიდინა სულიერი მღელვარების დროს.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

—:—

50.138 მანეთის ზარალი

(საყვარელიძის და კოსტენკოს საქმე)

დილის სხდომა

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა ბრალდებული გრიგოლ საყვარელიძე, რომელიც აცხადებს, რომ არავითარი ზარალი მას თამბაქოს ტრესტისათვის არ მიუყენებია. მან თამბაქოს ტრესტის გამგეს მიმართა თხოვნით მიეცათ მისთვის რამოდენიმე ათასი მანეთის პაპიროსები თურქმენისტანში სარეალიზაციოთ. პირველად ტრესტმა უარი უთხრა პაპიროსების მიცემაზე, მაგრამ სათანადო ხელშეკრულების დადების შემდეგ ბრალდებულმა მიიღო პაპიროსები სარეალიზაციოდ.

ბრალდებული აღნიშნავს, რომ პაპიროსების რეალიზაციის დროს მან იზარალა რამოდენიმე ათასი მანეთი. მიზეზათ ასახელებს იმ გარემოებას, რომ ტრესტმა დაარღვია ბრალდებულთან დადებული ხელშეკრულება. გარდა ამისა, პაპიროსების რეალიზაციის საქმეში ხელი შეუშალა ბაქოს კანტორის გამგემ.

ბრალდებული კოსტენკო აცხადებს, რომ თბილისის სახელმწიფო საშუამავლო კანტორის მოხელეობამ არ შეადგინა საქონლის ყიდვა-გაყიდვა.

ბრალდებული ამბობს, რომ თამბაქოს ტრესტთან მას უშუალო დამოკიდებულება არ ჰქონია.

ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

მოწმე მეზხი (ს. მ. უ. საბჭოს საკონტროლო განყ. გამგე) აცხადებს, რომ საყვარელიძეს სათანადო ხელშეკრულების ძალით იმ პირობით მიეცა საქონელი 10 პროცენტის ფასდაკლებით, რომ პაპიროსები უნდა გაესაღებია თურქესტანში.

მოწმე ქიქოძე (ყოფ. ამხ. „ძმობა"-ს დირექტორი) აცხადებს, რომ ის თამბაქოს ტრესტის კლიენტი არასდროს არ ყოფილა. საქონელი ნისიათ ტრესტიდან გამოიტანა მიხეილ საყვარელიძემ, მხოლოდ მან ხელი მოაწერა თამასუქებზე, ე. ი. თავდებათ დაუდგა.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე მოწმეების დაკითხვა დიდ ინტერესს იწვევს.

მოწმე მიხეილ საყვარელიძემ დაბეჯითებით განაცხადა, რომ მას პაპიროსების რეალიზაციის საქმეში გრიგოლ საყვარელიძესთან და ქიქოძესთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია.

სასამართლომ დაუპირისპირა ერთი-მეორეს მიხეილ საყვარელიძე და ქიქოძე. დაპირისპირებისას ქიქოძემ განაცხადა, რომ თურქესტანში სარეალიზაციოდ გაგზავნილი საქონელი ეკუთვნოდა საყვარელიძეს, ხოლო მას თამასუქებზე ხელი ჰქონდა მოწერილი, როგორც თავდებს.

საყვარელიძემ კი განაცხადა, რომ აღნიშნული საქონელი ეკუთვნოდა ქიქოძეს. გარდა ამისა, საქონლის გამოსყიდვა თურქესტანში მან ვერ შესძლო დამოუკიდებელ მიზეზების გამო. ამ საქმის დასრულება მიანდო ვიღაც მეგრელიძეს. უკანასკნელმა საქონელი გამოიყიდა, გაასაღა ადგილობრივ ბაზარზე და აღებული თანხა მიითვისა.

მოწმე არდაზიანი (სახელმწიფო საშუამავლო კანტორის მოლარე) აღნიშნავს, რომ ქიქოძეს კანტორის შემწეობით მოხალისეთა ფლოტიდან აესხა 5.000 მანეთი. ამ თანხიდან 2.000 მანეთი შეტანილი იქნა თამბაქოს ტრესტის კანტორაში, ხოლო 3.000 მანეთი გადაეცა თვითონ ქიქოძეს.

მოწმე პავლე მდივანი ლაპარაკობს ბრალდებულ კოსტენკოს სასარგებლოდ.

მოწმე ამბობს სასამართლოს, რომ თუ რომელიმე კლიენტი ტრესტს ვერ აუნაზღაურებდა ვალებს, იმ შემთხვევაში სახელმწიფო საშუამავლო კანტორა არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობდა. საშუამავლო კანტორას ასეთი ვალდებულებით ხელშეკრულებები არც ერთ დაწესებულებასთან არ დაუდევია.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე.

შემთხვევები

„სიყვარულის წამალი".

ანნა ივანეს ასული სავინცკაია (ჩუღურეთის შესახვევი № 12) დიდი ხანია, რაც ამზადებდა „სიყვარულის წამალს".

ამ რამოდენიმე ხნის წინათ სავინცკაიამ იშოვნა სამსახური წყალსადენის ფარდულში (19 თებერვლის ქუჩა). წყალისათვის მასთან დადიოდენ ახალგაზრდა ქალები. ერთ დღის სავინცკაიამ შეამჩნია, რომ ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის მოსამსახურე ქალი ცუდ ხასიათზეა. გამოკითხა მოწყენილობის მიზეზი და, როცა გაიგო, რომ ქალი შეყვარებულია და ვაჟს ის არ უყვარს, ურჩია ეყიდა მისგან „სიყვარულის წამალი" (ასე უწოდებდა ის „ახალ გამოგონილ" წამალს). შემდეგ სავინცკაიამ უთხრა ქალს, რომ სიყვარულის წამალი უნდა მიაღებინოს მის შეყვარებულს და უკანასკნელს ის გაგიჟებით შეუყვარდება.

ახალგაზრდა ქალმა შეიძინა „სიყვარულის წამალი", რომელშიაც მისცა 25 მანეთი და, თუ დადებითი შედეგებს გამოიღებდა—დამატებით უნდა მიეცა 25 მანეთი.

„წამალი" მიაღებინეს ქალის სატრფოს, მაგრამ ქალმა ვაჟის თანაგრძნობა მაინც ვერ დაიმსახურა.

ამ გარემოებას შედეგათ მოჰყვა ის, რომ სავინცკაია დააპატიმრეს.

გამოირკვა, რომ ამ „ზელობას" ის დიდი ხანია ეწეოდა ანგარების მიზნით.

„სიყვარულის წამალი" საანალიზოთ გაიგზავნა ქიმიურ ლაბორატორიაში. ანალიზით გამოირკვეული უნდა იქნეს, თუ რამდენათ მავნებელია ის ადამიანის ორგანიზმისათვის.

—:—

◆ **შეპყრობა.** 16 დეკემბერს ლაზარევის ქ. შეიპყრეს ორი უცნობი პირი, რომლებმაც მოქ. ეცნიაძეს ამოაცალეს საფულე.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** მე-8 უბანში გაქურდეს სუსანა ფირუმოვის ბინა.

◆ **ღვინის ქურდები.** 16 დეკემბერს ლენინის ქუჩა № 31 გაქურდეს ჯანკიევის ღვინის სარდაფი. წაიღეს რამდენიმე ვედრო ღვინო.

◆ **ამავე დღეს** წალკის რაიონში გაქურდეს მ. ბაუმისტერის, სოფიო პლიფერის და მამულ შაილის ბინები.

◆ **ზაჰესში** მეორე უბნის სამჭედლოდან მოიპარეს გრდემლი.

◆ **სახელოსნოში.** 16 დეკ. წყნეთის ქუჩაზე გაქურდეს ს. ომიაძის სახელოსნო. წაიღეს 200 მ. ნივთები.

შეშა

თბილისში, ერევანში და ლენინაკანში ამჟამად შეშის კრიზისია. კრიზისი ამ ქალაქებში შეიქმნა იმიტომ, რომ ისინი მარაგდებიან შეშით უმეტესად დასავლეთ საქართველოდან და ნაწილობრივ (30 პროცენტით) კახეთიდან. ა.-კ. რკინის გზების სურამის საუღელტეხილო უბანი კი დღეს იმდენადაა დატვირთული საექსპორტო ნავთის გაცხოველებული გადაზიდვით ბათომში, რომ დანარჩენ საქონლის გადაზიდვა შემცირებულია.

ა.-კ. გადაზიდვის მომწესრიგებელ კომიტეტის მხრივ მიღებულია ზომები შეშის კრიზისის შესანელებლად. ეხლა ხდება შეშით დასატვირთ რონოდების პროპორციონალურად განაწილება შეშის მთავარ დამამზადებელ ორგანიზაციების შორის. შეშის გადასაზიდათ დღე და ღამეში იმუშავებს 25 ვაგონი.

ეს ნორმა საკმარისი არ არის; ახლო ხანში ის ორმაგად იქნება გადიდებული.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„აიდა"

ანდღულაძისა და გარიბოვის დებიუტი.

არ შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა მომღერალი ანდღულაძე იშვიათი ნიჭის პატრონია. ისიც უდავოა, რომ მომღერალს გავლილი აქვს საუკეთესო სკოლა, რაც მას საშუალებას აძლევს გამოვიდეს დიდ საოპერო სცენებზე ფრიად საპასუხისმგებლო პარტიებში.

თამამად შეიძლება ითქვას რომ, ანდღულაძეს შეუძლია დაიჭიროს ერთი პირველი ადგილთაგანი არა მარტო თბილისის ოპერის სცენაზე, არამედ მთელი კავშირის საოპერო ცენტრებში. კარგი იყო პირველი რომანსის შესრულება. რომანსის ფინალური ფრაზა ლამაზი დახვეწით იქნა შესრულებული. პირველი აქტის ტრიოში და მეორე აქტის დიდ ფინალში შთაბეჭდილება შეკვეცილი იყო, რადგან საერთო ანსამბლის დროს მომღერლის ხმა სუსტად ისმოდა. მესამე აქტის (სცენა ნილოსის ნაპირებზე) შესრულების დროს მომღერალმა გამოამჟღავნა თავისი ხმის იშვიათი სილამაზე და სიძლიერე. აქ და შემდეგ ფინალურ სცენაში ამნერისთან და რადამესთან მსახიობის სიმღერა იყო სავსებით დამთავრებული მხატვრულად და ალსავსე გულწრფელობით. აქ მომღერალი სტოვებდა დიდი ხელოვანის შთაბეჭდილებას. მშვენიერი შესრულება, ლამაზი ბგერა, გამოკვეთილი დიქცია, დინამიურობა—არც ერთი ეს თვისება არ აკლდა მომღერალს. მსახიობს ჰქონდა მშვენიერი გრიმი და ეხერხებოდა სცენაზე თავის დაჭერა.

ფრიად დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვა მეორე დებიუტანტმა გარიბოვმა (ამონასრო). მომღერალს აქვს ლირიული ბარიტონი, მაგრამ ხმის ძალისა და სიძლიერის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მისი ხმა დრამატიულ ბარიტონადაც გადაიქცევა, თუ მომღერალი იმეცადინებს და ხმას განავითარებს. უეჭველია, მომღერალს აქვს ხმის ლამაზი ტემბრი და მუსიკალობა. იგი მოკლებული არ არის აგრეთვე ხელოვნური შესრულების ნიჭსაც. აქვს ტემპერამენტი და სიდინჯე. ახალგაზრდა მომღერალს კარგად აქვს შესწავლილი თავისი პარტია.

ახალგაზრდა დებიუტანტებს დიდი აღფრთოვანებით შეხვდა, როგორც აუდიტორია, ისე მსახიობთა კოლეგია.

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ფასების დაკლება ბილეთებზე.** 18 დეკემბერს სახელმწიფო ოპერის თეატრის ბილეთები გაიყიდება დაკლებულ ფასებში.

◆ **ლადო კავსაძის იუბილე.** ხელოვნების მუშაკთა კავშირი ახლო ხანში ლადო კავსაძეს გაუმართავს იუბილეს ოცი წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

◆ **„ამერიკელი ძია".** შაბათს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „ამერიკელი ძია".

◆ **„პიკის ქალი".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „პიკის ქალი".

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** კვირას გაიმართება დიდი კონცერტი.

— **პროლეტ. მწერალთა ჟურნალი.** 1927 წლის იანვრის პირველს გამოვა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი. მასალები გამოგზავნილი უნდა იქნეს ხელოვანთა სასახლეში (ზაბანის ქუჩა № 13, ოთახი № 1) ალიო მაშაშვილის სახელზე.

ფართალი

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ამ დღეებში მიიღო ცენტრიდან 35 ვაგონი ფართალი. მიმდინარე კვარტალის მეორე ნახევრისათვის, ფართლის გასანაწილებლად კომისარიატში მოწვეულ იქნა თათბირი, რომელმაც აღნიშნული ფართალი სავაჭრო ორგანიზაციებს შორის შემდეგნაირად გაანაწილა:

საკავშირო საფეიქრო სინდიკატის განკარგულებაში გადაიდა 11 ვაგონი ფართალი, ა.-კ. ცენტრ. კოოპერატივთა კავშირს მიეცა—7.75 ვაგონი, მუშკოოპს—14,5 ვაგონი, ხოლო სატრანსპორტო კოოპერაციას—1.75 ვაგონი.

კინო

სახკინმრეწვში

მმართველობის რეორგანიზაცია

სახელმწიფო კინო-მრეწველობის აქციონერთა საბჭოს დადგენილებით, მოხდა სახკინმრეწვის მმართველობის რეორგანიზაცია. კოლეგიალური მმართველობის მაგიერ შემოღებულია ერთპიროვნული მმართველობა.

ძველი გამგეობა მთლიანად განთავისუფლებულია, ხოლო სახკინმრეწვის ახალ გამგეთ დანიშნულია ამხ. გრიგ. არუსტამოვი, მის მოადგილეთ ამხ. გ. გოგიტიძე.

ახალი მმართველობა თავის მოვალეობათა შესრულებას შეუდგა 17 დეკემბრიდან.

ახალი სურათები

„იბრაგიმ გორდეზი".

სახკინმრეწმა მიავლინა ზაქათალის რაიონში კინო-ექსპედიცია სურათ „იბრაგიმ გორდეზის" გადასაღებათ. სურათს სდგამს შ. ბერიშვილი.

სურათში დახასიათებული იქნება ინგილოთა ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი.

„გიულ"

ახლო ხანში ბორჩალოს მაზრაში გაიგზავნება კინო-ექსპედიცია სურათ „გიულ"-ის გადასაღებათ. სურათი აღებულია ბორჩალოს მაზრის ცხოვრებიდან; მისი დადგმა დავალებული აქვს ახალგაზრდა რეჟისორს კ. შენგელაიას.

ცირკი

კვირას, 19 დეკ. იხსნება საქ. დამსახურებულ არტისტების ძმ. ტანტების ცირკის საზამთრო სეზონი.

პირველ დღის პროგრამაში შეტანილია ოხუნჯების კარნავალი, რომლებშიაც სხვებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ძმ. ტანტები.

წრევანდელ დასში მოწვეულია ახალი ძალები. მსახიობები მოწვეულია ლენინგრადიდან, მოსკოვიდან, ხარკოვიდან და საზღვარგარეთიდან.

დასის ნაწილი უკვე ჩამოსულია, ნაწილი ჩამოვა დღეს კრასნოდარიდან და გროზნოდან. ცირკს ყავს გაწვრთნილი ცხენები და აქლემები.

ერთი თვის შემდეგ საგასტროლოდ ჩამოვა დუროვი თავისი ცხოველებით. დუროვის გასტროლების დამთავრების შემდეგ გაიხსნება ფრანგული ჭიდაობის ჩემპიონატი. ცირკის დირექციას ხელშეკრულება აქვს დადებული საბჭოთა კავშირის ყველა გამოჩენილ მოჭიდავეებთან. მოწვეულნი იქნებიან კლემენტი ბული, ჩემპერ ცინი, ბაშკიროვი, ქვირიანი, რაიგო და სხვა მოჭიდავეები.

ჩემპიონატის ხელმძღვანელი იქნება არბიტორი „ძია ვანო" (ლებედევი).

პარტიული კალენდარი

— ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ შაბათს, 18 დეკემბერს დღის 3 ნახ. საათზე, საგიტ-საპროპ. განყოფილების შენობაში მოწვეულია ქალაქის რაიკომის ყველა ტიპის პოლიტ-სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი. პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს 18 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის ზემო დარბაზში შესდგება მე-2 რაიკომის ახალი შემადგენლობის პლენუმი.

რაიკომის ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ შაბათს 18 დეკემბერს საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება ქალთა კომისიებისა და ქალთა ორგანიზატორების თათბირი, მე-3 რაიონიდან თბილისის საბჭოში მყოფ ქალთა თანდასწრებით.

ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

საქ. რემედასის ცეკა იტყობინება, რომ დღეს 18 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე საქ. რემედასის ცეკას ბინაზე შესდგება რემედასის ცეკას პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა:

ზ. ჩოდრიშვილი, ჯიჯაძე, იმედაძე, ბელიაშვილი, მუმლაძე, ნაცვლიშვილი, არაბიშვილი, არრუხაძე, გენიაძე, ატაბეგოვი ტუმანი.

ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ შაბათს 18 დეკემბერს საღამოს 7 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში მოწვეულია 1-ლ და მე-2 საფეხურის პოლიტსკოლების ხელმძღვანელების თათბირი, უჯრედების აგიტ-პროპ ორგანიზატორების თანდასწრებით. დღის წესრიგშია: „კომუჯრედის და პოლიტსკოლების მუშაობა". (მოხსენება ამხ. ბუდილევისა).

ყველა უჯრედის საავიტ-საპროპ. განყოფილებათა გამგეების დასწრება სავალდებულოა.

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საკონტროლო კომისია იუწყება, რომ დღეს 18 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, ს. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 30) ეშსდგება თბილისის კომიტეტის საკონტროლო კომისიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა საკონტროლო კომისიის ყველა წევრებისა და აგრეთვე იმ პირთათვის, რომელთა განცხადება გაირჩევა.

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მეუღლე გრიგოლ სიოს ძე კობიძე პაწაწინა შვილები მარლენ და გივით მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ძვირფასი ცოლის

მარგარიტა (მარგოს)

უდროოდ დაკარგვას—გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან პლეხანოვის გამზირი № 172 კვირას 19 დეკემბერს დღის 12 საათზე.

3—1 960

გულდათუთქული და მწუხარებით აღსავსე მეუღლე გრიგოლ სიოს ძე კობიძე, პაწაწინა შვილები მარლენ და გივი, დედამთილი ესმა კობიძე, მულები: ნარო, ნატაშა, ქეთო, მამა სუმბათი, სიძეები: ლავრენტი დუმბაძე და ვალიკო ქუთათელაძე, დიდედები: მაშო და ეგრონუა, მულის შვილები: შურა, ფლორენცია, ოდიკო და დიოგენი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს მათთვის უსაყვარლეს ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე ადამიანის

მარგარიტას (მარგოს)

მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობით დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 5 საათზე საკუთარ ბინაზე პლეხანოვის გამზირი № 172. დაკრძალვა კვირას, 19 დეკემბერს, ნიკოლოზის სასაფლაოზე, გამოსვენება საკუთარ სახლიდან დღის 12 საათზე. 959

გულდამწვარნი: დედა ელენე, ცოლი თებრონე მალხაზის ასული, შვილები ილია, თამარ და შალვა, ძმები: ვიქტორ და აკაკი, რძლები: ივლიტე, ოლია და გუნარა, ძმისშვილები ნინო კანდელაკისა, ელენე ჩიქოვანისა, ოლია, ქეთო, ლიზო და შალვა მაცაბერიძეები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და ყოველ წუთში მოსაგონარი პირველის შვილი, მეორისი ქმარი, მესამესი მამა, შემდეგის მაზლი და უკანასკნელის ბიძა

გიორგი დავითის-ძე
მაცაბერიძე

დასაფლავება კვირას, 19 დეკემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან. პანაშვიდი საღამოს 5 საათზე, ტ. ხნ. ქუჩა № 7. ნ. 369 2—1

ღრმად დამწუხრებული ძმა ლუარსაბი, ძმისწულები: ვლადიმერი, ვარლამი, ვალერიანე, ფატმანი, რძლები: ზუზანა, ფატი მგალობლიშვილები, სიძე ივანე იაშვილი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 15 დეკემბერს, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

გრიგოლ მარკოზის-ძე
მგალობლიშვილი

პანაშვიდი ყოველდღე 5 საათზე საავადმყოფოში (ყოფ. მიხეილის) დაკრძალვა მოხდება 19 დეკ. კვირას, 1 საათზე. გამოსვენება იმავე (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოდან. კუკიის სასაფლაოზე. 969

ღრმად დამწუხრებული მისწულები: ტასია ფირცხალაიშვილისა, ეკატერინე ხაზარაძისა, ლიზა მეძღლიშვილისა, ლიუბა ქლენტისა, სიძეები: თომა ფირცხალაიშვილი და ალექსანდრე მეძღლიშვილი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში, 15 დეკემბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

გრიგოლ მარკოზის-ძე
მგალობლიშვილი

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 5 საათზე, მიხეილის საავადმყოფოში. ცხედრის გამოსვენება ამავე საავადმყოფოდან (კუკიის) წმინდა ნინოს სასაფლაოზე 19 დეკემბერს, კვირას 1 საათზე. 972

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინა ივანეს ასული შვილებით აბრამ, მარიამი, ვახტანგი და შოთათი, და ნინო აბრამის ასული შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 15 დეკემბერს, დღის 5 საათზე გარდაიცვალა მათთვის მუდამ სახსოვარი, საყვარელი ტკბილი. პირველისა მეუღლე, მეორესი მამა, მესამესი ძმა, უკანასკნელებისა ბიძა

ლადო აბრამის-ძე ხვთისიაშვილი

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე, ალექსანდროვის ქუჩა № 11. გამოსვენება 19 დეკემბერს, დილის 10 საათზე. ნიკოლოზის ეკლესიაში. (ჩუღურეთში). დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 945 4—1

ღრმად დამწუხრებულნი: სიმამრი ივანე გიორგის-ძე სიყმაშვილი და სიდედრი ანა აუწყებენ ყველა ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 15 დეკ., დილის 5 საათზე გარდაიცვალა მათთვის მუდამ სახსოვარი და დაუვიწყარი სიძე

ლადო აბრამის-ძე
ხვთისიაშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. 947

ღრმად დამწუხრებულნი: ქვისლი ლუკა ანტონის-ძე ხელაშვილი, ოლია ივანეს ასული ხელაშვილისა, ნინა ლუკას ასული ხელაშვილი, ეკა ხელაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ქვისლი, ამხანაგი, [illegible]

ლადო აბრამის-ძე
ხვთისიაშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე. 2—1 946

ღრმად დამწუხრებულნი მეგობრები: ალექსანდრე ვლადიმერის-ძე ვაჩნაძე, ეშო ილიას-ძე გოდერძიშვილი, ნიკოლოზ დიმიტრის ძე მახარობლიძე და ელიოზ ძოწენიძე აუწყებენ ყველა მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 15 დეკემბერს, დილის 5 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი მეგობარი, ტკბილი ადამიანი და ნათლიმამა

ლადო აბრამის-ძე ხვთისიაშვილი

პანაშვიდი ყოველდღე 5 საათზე, საკუთარ ბინაზე ალექსანდროვის ქუჩა № 11, გამოსვენება კვირას, 19 დეკემბერს, დილის 10 საათ. 971

შვილები გივი და არჩილი მურვანიშვილები, ძმები რომან და გიორგი ჩიკოიძეები ცოლშვილით, მაზლები მიხეილ და ივანე მურვანიშვილები დედით და ოჯახობით, მული დარია ქაზაძისა ქმარშვილით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 19 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე გარდაცვლილ

გაიანე ალექსანდრეს ასულის
მურვანიშვილის

ორმოცი დღის აღსანიშნავათ, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება პანაშვიდი. 966

გულდათუთქული და სამუდამოდ დამწუხრებული მამა ვლადიმერ გრიგოლის-ძე კანდელაკი, ერთად-ერთი ძმის დაკარგვით დაჩაგრულნი დები ვერა თავისი ქმრით ვასიკო კვინიკაძით, პაწია შვილები რეზოთი და ლეილათი, ლიუბა თავისი ქმრით კოლა რცხილაძით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ მათი საყვარელი უდროოთ წუთისოფელს მოწყვეტილი

ვალიკო კანდელაკის

გარდაცვალებიდან წლის თავი აღნიშნული იქნება სამოქალაქო პანაშვიდით კვირას, ამა დეკემბრის 19, დღის 12 საათზე საკუთარ ბინაზე, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 130 და 1 ნახ. საათზე კი წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 962

ღრმად დამწუხრებული დედა სარა ფრიდონის ასული მაჭავარიანისა აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მისი ერთად ერთი ვაჟიშვილის

შალიკო ალექსის-ძე მაჭავარიანის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო კვირას, 19 დეკემბერს, ნაშუადღევს 1 საათზე ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. დ.

ღრმად დამწუხრებულნი ქ. ბათომის აფთიაქებში მომუშავე ამხანაგები და მეგობრები აუწყებენ ნაცნობთ, მეგობრებს და ნათესავებს, რომ კვირას, 19 დეკემბერს, დილის 11 ნახ. საათზე სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი

რაჟდენ ლუკას-ძე გრიგოლიას

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო. 365

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 18 დეკემბერს, ნ. შიუკაშვილის.
ამერიკელი ძია
ორიგინალური კომედია 4 მოქ. და 3 ინტერმედიით.
დადგმა ალ. ახმეტელისა.

კვირას, 19 დეკემბერს ანტონოვის
მზის დაბნელება საქართველოში
კომედია 3 მოქმ. დადგმა: კოტე მარჯანიშვილისა.
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
4—1 ნ. 353

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 18 დეკემბერს აბონიმენტის გარეშე. დაკლებულ ფასებში **პიკის ქალი**
მონაწილეობენ: ბოგოლეპოვა, ვოლჩანეცკაია, მაყაშვილი, ვიტინგი, ვენაძე, ქარცივაძე.
დირიჟორობს ს. სტოლერმანი.
ნ. 366
კვირას, აბონიმენტის გარეშე მეორეჯერ **მაზეპა**

ცირკი
ძმ. ტანტების
3—1 ნ. 362

კვირას, 19 დეკემბერს გრანდიოზული
გახსნა ექსცენტრიული ცირკის
ს.ს.ს. რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობების ძმ. ტანტების გამგებლობით და მონაწილეობით
დასაწყისი 8 ნახ. საათზე. დაწვრილებით აფიშებში.
ხელმძღვანელი ადმინისტრატორი მ. ი. ტაძე

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)
0—14 ნ. 287

პირველათ ეკრანზე „სიყვარულის სიმღერა"
კოვანკოს და მატოს მონაწილეობით.
სოლო ვიოლონჩელზე—მ ა ლ ჩ ი ს ე ვ ი.

ნახატრული საუკეთესო სურათი
„უკანასკნელი განცდა"
მილტონ სილსის მონაწილეობით,

პირველათ თბილისში „ჰო ან არა"
ლუიზა ვილსონის მონაწილეობით.

„მკვლელის დაღი"
უკანასკნელი 3—4 სერიის ერთად

ანონსი: ორშაბათიდან, 20 დეკ. „ს ა ვ უ რ ს ა ფ ლ ა ვ ი"

კინო
აპოლო
არფასტო

ორშაბათიდან
20 დეკემბრიდან
ყოველ დღიურად

თეატრებში:
სოლეი
დარბაზი

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი
„სავურ საფლავი"
რეჟისორი ივ. ნ. პერესტიანი.
ოპერატორი ა. დ. დიღმელოვი.

1927 წ. პირველ იანვრიდან იწყებს გამოსვლას
განათ. სახკომისარიატის ხელოვნების განყოფ.
ორკვირეული ჟურნალი
„საბჭოთა ხელოვნება"
კინო: თეატრი: მხატვრობა: მუსიკა: კრიტიკა: ბიბლიოგრაფია:
პ. მ. რედაქტორი ზ. დედუშაძე.
ჟურნალში თანამშრომლობენ ხელოვნების ყველა დარგის საუკეთესო ძალები. ჟურნალს ჰყავს საკუთარი თანამშრომლები მთელ საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში
თითო ნომერი—32—48 გვ., ფასი 35 კაპ.
რედაქციის დროებითი მისამართი: ქ. თბილისი სახელმწიფო საოპერო თეატრი, ხელოვნების განყოფილება, რედ. „საბჭოთა ხელოვნება".
5—1 ნ. 368

იბეჭდება იმედაშვილის უცხოსიტყვათა
ლექსიკონი
პროფესორ გ. ახვლედიანის რედაქციით.
ფასი ხელისმომწერთათვის იანვრიდან 4. მან. ცალკე გასაყიდი ფასი 6 მან. ვინც 14 ხელისმომწერს იშოვნის მე-15 წიგნი
უფასოდ მიეცემა
მისამართი, ლენინის ქ. № 6 ხილ. თავართქილაძეს

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1927 г. на ЖУРНАЛЫ:

САМЫЙ РАСПРОСТРАНЕННЫЙ ЖУРНАЛ **„ОГОНЕК"** ЕЖЕНЕДЕЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛ

с приложениями (3 АБОНЕМЕНТА) с приложениями:

1 абон.: 52 номера богато иллюстрированного журнала „ОГОНЕК" с 1 приложением (только годовым и полугодовым подписчикам): „АЛЬБОМ СОВРЕМЕННОЙ САТИРЫ и ЮМОРА" (лучшие художники и карикатуристы)—издание большого формата, на отличной бумаге, в изящной художественной папке (в отдельной продаже альбом будет стоить 1 рубль 75 коп.). год **5 р.**, пол-года **3 р.**, 3 мес. **1 р. 20 к.**, 1 мес. **40 к.**

2 абон.: 52 номера „Огонька" с 2-мя приложениями (только годовым подписч.): 1) роскошный, богато иллюстрированный том, посвященный 10-летию Октябрьской Революции: „ДЕСЯТЬ ЛЕТ СОВЕТСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА" (промышленность, сельское хозяйство, наука, литература, искусство) 300 страниц в прочном, изящном переплете (в отдельной продаже том будет стоить 4 рубля) и 2) „АЛЬБОМ СОВРЕМЕННОЙ САТИРЫ и ЮМОРА" год **6 руб. 50 к.**

3 абон.: 52 номера „Огонька" с 3-мя приложениями (только годовым подписчикам): 1) 104 КНИЖКИ (по 2 книжки в неделю) БИБЛИОТЕКИ „ОГОНЕК" (произведения лучших русских и иностранных писателей), 2) „ДЕСЯТЬ ЛЕТ СОВЕТСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА" и 3) „АЛЬБОМ СОВРЕМЕННОЙ САТИРЫ и ЮМОРА" . . . . год **15 руб.**

На 3-й абонемент допускается рассрочка: при подписке—5 руб., к 1 апреля и к 1 июля—по 5 р. Приславшие же сразу полностью 15 руб. получат ПРЕМИЮ: Изящную английскую настольную раздвижную этажерку для „Библиотеки".

„БИБЛИОТЕКА ОГОНЕК"
Лучшие русские и иностранные авторы: художественная беллетристика, поэзия, сатира, юмор и проч.
По 2 книжки в неделю—104 книжки в год.
Год—10 руб., ½ года—5 руб., 3 мес.—3 р., 1 мес.—1 руб.
Годовые подписчики получат БЕСПЛАТНУЮ ПРЕМИЮ—изящную английскую раздвижную настольную этажерку.

Сезонные альбомы новейших заграничных мод
„МОДЫ СЕЗОНА".
Выходят 4 раза в год в 2-х изданиях:
1-е ИЗДАНИЕ: 4 альбома в год по 40 страниц, с 8-ю красочными вкладными листами и с приложением выкроек. ЦЕНА: год—10 руб., ½ года—5 р. 40 к. Отдельные №№ по 3 рубля.
2-е ИЗДАНИЕ (удешевленное): 4 альбома в год. ЦЕНА: год—3 р. 50 к., ½ года—2 р. Отд. №№ по 1 р.

Ежемесячный домашне-хозяйственный богато иллюстрированный и модный
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ"
(Единственный, выходящий в 1927 году)
12 №№ в год, с приложением выкроек в контурных листов. Год—10 р., ½ года—5 р. 50 к., 3 мес.—3 р. Отд. №—1 р. 30 к. (Годовым подписчикам допускается рассрочка: при подписке—4 руб., к 1 апреля—3 руб. и 1 июля—3 руб.).
С дополнительным приложением составленной по новейшим рецептам „КУЛИНАРНОЙ КНИГИ":
Год—10 р. 80 к., ½ года—5 р. 30 к., 3 мес.—3 р. 80 к.
Подписчики, внесшие подписную плату сразу полностью, получат БЕСПЛАТНУЮ ПРЕМИЮ: годовые—20 книжек избранных русских и иностранных авторов Библиотеки „ОГОНЕК" и полугодовые—10 книжек.

Ежемесячный журнал фото-любительства и репортажа
„СОВЕТСКОЕ ФОТО"
Год—ТРИ руб. 75 к., ½ года—ДВА руб. 10 к.

ПЕРЕВОДЫ АДРЕСУЙТЕ: МОСКВА 9, Тверской бульвар 25, Акц. Издательскому О-ву „ОГОНЕК"
На переводах точно указывайте, на какой именно журнал и абонемент переводятся деньги.
Подписка также принимается во всех почтово-телеграфных учреждениях СССР.

ნ. 336 4—2

იწყება ხელისმოწერა
1927 წლისათვის
ყოველთვიურ ჟურნალზე
„სოფლის კომუნისტი"
ორგანო ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტისა
ჟურნალი ღირს:
ერთი წლით . . . 2 მან.
ექვსი თვით . . . 1 მან.
სამი თვით . . . 50 კაპ.
ცალკე ნომერი 20 კაპ.
რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის, 22
კომპარტიის ცეკა ოთახი № 17
15—1 ნ. 355

ზაჰესის სამუშაოთა სამმართველო
ამით აცხადებს
რომ ზაჰესის ელ-გადამცემის ხაზის უკანასკნელი უბანი დიდუბე—ნაძალადევი—ავლაბარი ხუთშაბათს 16 დეკემბრიდან დაყენებული იქნება მაღალ ძაბვის ქვეშ და სადენების შეხება
სასიკვდილოა
ყველა საყრდენობზე გაკრულია სათანადო გამაფრთხილებელი წარწერები.
ზაჰესის სამუშაოთა უფროსი
3—1 ნ. 358 ინჟენერი ბ. ძინიძე

სახ. გან. კომ. სახელმწიფო
საბუღალტრო კურსები
ი. ავალიშვილის ხელმძღვანელობით
აცხადებს, რომ 1 იანვრიდან
იხსნება ახალი ჯგუფი
დავითოვის ქ. № 25. საღამოს 5 საათ. 3—1 ქვ. 961

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია აცხადებს, რომ ის 30 დეკემბერს 1926 წ. საათის 12 ქარისის ქ. № 30 მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ინჟენ. ნიკოლოზ ბროკას, მოძრავ ქონებას: სარკეების საწურს, სიმიდის საღერღა და სხვ. მანქანებს, სასწორის ალაფრებს, თუჯის ფეჩებს, შაიბს შესტერიონკებს, ფოლადის ვალცებს, ფიცრებს, რკინის და თუჯის ჯართს და სხვ. შეფასებულს 547 მან. 88 კაპ. დასაკმაყოფილებლად დამზღვევ სალაროსა და სხვათა. ვაჭრობა დაიწყება თავისუფალი ფასიდან. 864

დაკარგა პირადი წიგნაკი, ფორმა № 4, გაცემული ქ. ქუთაისის მე-3 რაიონის სამხედრო მაგიდის მიერ № 1030 ამბერკი პანტელის-ძე ებანოიძის სახელზე, ჩ. გ. 972

დაკარგა პირადი წიგნაკი № 2856 გ. კოსტავას სახელზე, ჩ. გ. 967

დაკარგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის წიგნაკი № 297, გ. ცაავას სახელზე, ჩ. გ. 963

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი
ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპ. № 18 (შესავალი წულუკიძის ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონო-თერაპია.
მიღება 6-7 საათ. სოლ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25 1 ქვ. 788

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონტდი").
კარდა საქმით, სიფილისის და კორერპულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტ. ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფ. მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა და განაახლა
ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი დილის 9—12 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე.
ლენინის (ყოფილი ოლღას) ქუჩა № 35
854 13—1

ექიმი
გ. ნ. ონიანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
დიდი ვანქის ქ. № 6.
სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მან-მდე. მშობიარობა და შემდეგ 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მან-მდე.

იყიდება
საწერი მანქანები ქართული და რუსული უნდერვუდი და რემინგტონი დიდი და პატარა ზომისა არითმომეტრი, ტიოდოლიტი და კიპრეგელი გერლიახისა. ელისაბედის ქ. № 146, ბინა 7, მე-3 სართულში დილის 9 — 10 და 4 — 5 ს. 973

ექიმი **შუხმანი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—1

დაკარგა პირადობის მოწმობა რკ. გზის № 4542, პარტიული ბილეთი № 462618, კლუბის წიგნაკი № 42389 კომპარტიული წიგნაკი № 20747 „რაზბეგი" ბილეთი თბილისიდან ბათუმამდე ივანე ათინაშვილის სახელზე, ჩ. გ. 965

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 970 არჩილ დარახველიძის სახელზე, ჩ. გ. 968

დაკარგა პარტბილეთი № 503453, მეუჭდავეთა კავშირის წიგნაკი, ალექსანდრე გიორგის-ძე ფარადაშვილის სახელზე, ჩ. გ. 972

დაკარგა კავშირის წიგნაკი ელისაბედ რაზმაძის სახელზე, ჩ. გ. 970

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.